


**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია**

**LEPL - DAVID AGHMASHENBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA**



**გზა ევროპისკენ:
გამოწვევები, მიდგომები, ახალი პერსპექტივები**

**THE ROAD TO EUROPE:
CHALLENGES, APPROACHES, NEW PERSPECTIVES**



**სერჟანტთა სამხედრო პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SERGEANTS MILITARY PRACTICAL CONFERENCE**

ბორო, 2023

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA



გზა ევროპისკენ:

გამოწვევები, მიდგომები, ახალი პერსპექტივები

**THE ROAD TO EUROPE:
CHALLENGES, APPROACHES, NEW PERSPECTIVES**

სერჟანტთა სამხედრო პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SERGEANTS MILITARY PRACTICAL CONFERENCE

ბორი, 2023

სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი

პოლკოვნიკი დავით რაზმაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოადგილე

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელის მოადგილე

პოლკოვნიკი გიორგი ლალიაშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

სარედაქციო კოლეგიის წევრები

პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის უფროსი

ალექსი ბურდულაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების პროფესორი

ნანი არაბული

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

რომეო გალდავა

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

გიორგი კაკაშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ლევან ჭოლიკიძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ ტურაშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების უფროსი

ქეთევან ჭიბრიშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების პროფესორი

რუსუდან დალაქიშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

თინათინ ჟორჟოლიანი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

© საავტორო უფლებები დაცულია

გამომცემლობა:

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია 2023

ISBN-978-9941-8-5745-4

შალვა კვეზერელი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
გივი დუჩიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ვიცე-პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების უფროსი
ლევან გეგეშიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების პროფესორი
კახა ფუტყარაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ნიკოლოზ ესიტაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
თინათინ კროპაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
ზურაბ სამხარაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
ქეთევან კვესელავა	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
რედაქტორი/კორექტორი	
ზურაბ მჭედლიშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი რედაქტორი
მთარგმნელი	
იზა ჯანიაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უცხო ენის მთარგმნელი
კომპიუტერული უზრუნველყოფა	
სალომე პოპიაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის დისტანციური სწავლების ცენტრის კურსების მთავარი სპეციალისტი

Editorial Board

Head of the Editorial Board

Colonel Davit Razmadze Deputy Rector of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Deputy Head of the Editorial Board

Colonel Giorgi Laghiashvili Head of the Scientific Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Members of the Editorial Board

Colonel Zurab Zerekidze Head of Baccaureate of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Aleksi Burduladze Professor of Informatics Program of Baccaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Nani Arabuli Associate Professors of Informatics Program of Baccaureate of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Romeo Galdava Associate Professor of Informatics Program of Baccaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Giorgi Kakashvili Associate Professor of Informatics Program of Baccaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Levan Cholikidze Associate Professor of Informatics Program of Baccaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Lieutenant Colonel Ioseb Turashvili Head of Management Program of Baccaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Ketevan Chiabrishvili Professor of Management Program of Baccaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Rusudan Dalakishvili Associate Professor of Management Program of Baccaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Tinatin Jorjoliani Associate Professor of Management Program of Baccaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

© ALL RIGHTS RESERVED

PUBLISHING:

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA 2023

Shalva Kvezereli Associate Professor of Management Program of BaccaLaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Givi Duchidze Associate Professor of Management Program of BaccaLaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Lieutenant Colonel Nikoloz Khachidze Head of Defence and Security Program of BaccaLaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Levan Gegeshidze Professor of Defence and Security Program of BaccaLaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Kakha Putkaradze Associate Professor of Defence and Security Program of BaccaLaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Nikoloz Esitashvili Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Tinatini Kropadze Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Zurab Samkharadze Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Ketevan Kveselava Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Editor/Corrector

Zurab Mchedlishvili Editor-in-Chief of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Translator

Iza Janiashvili Foreign Language Translator of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Computer Designer

Salome Popiashvili Main Specialist at Distance Learning Center of of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

სარჩევი

საქართველოს ევროპული პერსპექტივები მასტერ-სერჟანტი გენრი სიმსივე	11
საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია უფროსი სერჟანტი გიორგი ალადაშვილი	16
ქართული სახელმწიფოს გამოწვევები ევროპულ გზაზე და შესაბამისი მიდგომები მასტერ-სერჟანტი გიორგი საფარაშვილი	20
გზა ევროპისკენ - ქართველი ხალხის გაცნობიერებული არჩევანი მასტერ-სერჟანტი დავით მოსიავა	25
საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები: ისტორია და თანამედროვე გამოწვევები უფროსი სერჟანტი დიმიტრი ბალაშვარაშვილი	29
გზა ევროპისკენ და საქართველო უფროსი სერჟანტი ვალერიან აბელაშვილი	34
საქართველო ევროპული განვითარების გზაზე: არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები მასტერ-სერჟანტი თემურ მღებრიშვილი	39
საქართველოს გზა ევროპისა და ევროატლანტიკური ალიანსისაკენ უფროსი სერჟანტი ილია ჭიტაშვილი	44
საქართველოს გეოპოლიტიკა ევროკავშირთან ინტეგრაციის გასაღრმავებლად უფროსი სერჟანტი ირაკლი ხვედელიძე	50
საქართველოს, როგორც ევროპის განუყოფელი ნაწილის, კავშირში გაერთიანების გამოწვევები და პერსპექტივები უფროსი სერჟანტი კონსტანტინე გოგოლაძე	54
ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობები, გამოწვევები და შესაძლებლობები მასტერ-სერჟანტი ლაშა სახოკია	58
საქართველო-ევროკავშირის სამომავლო პერსპექტივები მასტერ-სერჟანტი მალხაზ მელიქიძე	63
გზა ევროპისკენ - გამოწვევები, მიდგომები, ახალი პერსპექტივა უფროსი სერჟანტი მიხეილ გოგიჩაშვილი	69
ევროპული პერსპექტივის საკითხი საქართველოს თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში მასტერ-სერჟანტი შაქრო მშვენიერაძე	73
ევროკავშირის ჩამოყალიბება და განვითარება მასტერ-სერჟანტი ჰამლეტ შერმადინი	78

Content

European Perspectives for Georgia Master Sergeant Genri Simsive	12
Chronology of Important Events regarding Georgia-EU Relations Senior Sergeant Giorgi Aladashvili	17
Challenges of the Georgian State on the European Path and Relevant Approaches Master Sergeant Giorgi Saparashvili	21
The Road to Europe - Challenges, Approaches, and New Perspectives Master Sergeant Davit Mosiava	26
Georgia-EU Relations: History and Modern Challenges Senior Sergeant Dimitri Balamsarashvili	30
The Road to Europe and Georgia Senior Sergeant Valerian Abelashvili	35
Georgia on the Path of European Development: Existing Problems and Solutions Master Sergeant Temur Mghebrishvili	40
Georgia's Path to Europe and the Euro-Atlantic Alliance Senior Sergeant Ilia Chitashvili	45
Geopolitics of Georgia Which Aims to Deepen its Integration With the European Union Senior Sergeant Irakli Khvedelidze	51
Challenges and Perspectives of Georgia as an Integral Part of Europe Joining the Union Senior Sergeant Konstantine Gogoladze	55
EU-Georgia Relations - Challenges and Opportunities Master Sergeant Lasha Sakhokia	59
Future Perspectives for Georgia and European Union Master Sergeant Malkhaz Melikidze	64
The Road to Europe - Challenges, Approaches, and New Perspective Senior Sergeant Mikheil Gogichashvili	70
The Issue of the European Perspective in the Modern Political Life of Georgia Master Sergeant Shakro Mshvenieradze	74
Formation and Development of the European Union Master Sergeant Hamlet Shermadini	79

საქართველოს ევროპული პერსპექტივები

მასტერ-სერჟანტი გენრი სიმსივე

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ევროპისკენ სწრაფვა მისი გამოწვევებით, მიდგომებით და ახალი პერსპექტივებით, რაც არის ქვეყნის განვითარების გზა და მოგვცემს საშუალებას ვუპასუხოთ თანამედროვე გამოწვევებს და შევქმნათ ქვეყანაში სტაბილური გარემო. ასევე აღნიშნულია თუ რა ისტორიული ნაბიჯები გაიარა ქვეყანამ დღემდე ევროპისკენ მიმავალ გზაზე. საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა (1918-1921) აქტიურად ცდილობდა წარედგინა თავი ევროპისთვის და დასავლეთში ეპოვნა მნიშვნელოვანი პარტნიორები, რისი მტკიცების კარგი მაგალითია საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარის ნოე ჟორდანიას სიტყვები, სადაც ის არ განიხილავს პარტნიორობას ჩრდილოეთთან და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პარტნიორები ქვეყანამ უნდა ეძიოს მხოლოდ დასავლეთში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე პოლიტიკურ ასპარეზზე წინა პლანზე წამოვიწიოთ ევროპასთან და ისეთ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რომელიც კიდევ უფრო დააჩქარებს ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციის პროცესს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში. ევროკავშირი არის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების გზა და ასევე მნიშვნელოვანია ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსთან ინტეგრაციის საკითხი, რაც მოგვცემს ქვეყანაში უსფრთხო და სტაბილური გარემოს შექმნის საშუალებას. ნაშრომში განხილულია ევროკავშირთან ეფექტური თანამშრომლობის და სოლიდარობის გზით მისაღები შესაძლებლობები, კერძოდ: ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი. ავტორს აღნიშნული აქვს თუ რა წვლილი მიუძღვის საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარებაში დიდი ალიანსს და მის პარტნიორ ქვეყნებს.

ავტორი დასკვნაში აღნიშნავს, რომ ევროპისკენ სწრაფვა, ევროკავშირში და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრირება მოგვცემს საშუალებას გავერთიანდეთ ალიანსის უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ და შევქმნათ სტაბილური გარემო, რაც თავისმხრივ განავითარებს ეკონომიკას და ქვეყანა შეძლებს უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს.

საკვანძო სიტყვები:

ევროპა, პოლიტიკა, ალიანსი, ევროკავშირში, საქართველო.

European Perspectives for Georgia

Master Sergeant Genri Simsive

Abstract

The article discusses the aspiration of Georgia towards Europe along with its challenges, approaches and new perspectives. It also deals with the development path of Georgia that will allow us to respond to modern challenges and create a stable environment in the country. Moreover, the paper mentions what historical steps the country has taken on the way to Europe. The Independent Republic of Georgia (1918-1921) actively tried to present itself to Europe and to find important partners in the West. A good example for this can be the words of Noe Jhordania, the Chairman of the Government of the Independent Republic of Georgia where he does not discuss partnership with the North and emphasizes that the country should search for partners only in the West. It is also important to bring to the fore the cooperation with Europe and such organizations in the modern political arena that will further accelerate the integration process of our country into the Euro Atlantic structures. The European Union is a way of political and economic development, and the issue of interaction with the North Atlantic Alliance is also important as it will give us a way to create a safe and stable environment in the country. The paper discusses the possibilities of effective cooperation and solidarity with the European Union, in particular, in the development of economic, political and legal general values. The author has mentioned the contribution of the Alliance and its partner countries to the development of the Defence Forces of Georgia.

In the conclusion, the author remarks that striving for Europe, integration into the European Union and the North Atlantic Alliance will give us a way to unite under the security umbrella of the alliance and create a stable environment that will improve the economy and the country will be able to respond to modern challenges.

Keywords:

Europe, politics, alliance, EU, Georgia.

შესავალი

საქართველოს ევროპისკენ სწრაფვა ისტორიულად საკმაოდ დიდი ხნის წინ დაიწყო. საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის (1918-1921 წ.) მთავრობა აქტიურად მუშაობდა ევროპის ქვეყნებთან მოკავშირეობის აღიარება და მხარდაჭერა. დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობა აცნობიერებდა, რომ ევროპასთან პარტნიორობის და მხარდაჭერის გარეშე ვერ გაუმკლავდებოდა იმ საფრთხეებს, რაც მოდიოდა რუსეთის მხრიდან. ქართველი დიპლომატები თავდაუზოგავად შრომობდნენ, რომ საქართველოს ევროპაში ეპოვნა მნიშვნელოვანი პარტნიორები და შეიძლება ითქვას, გარკვეულ წილად, აღწევდნენ კიდევ შედეგს, რისი კარგ მაგალითსაც წარმოადგენს (1918-1921 წ.) ორი სრულფასოვანი საელჩოს გახსნა გერმანიის დედაქალაქ ბერლინში და შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში. ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარის ნოე ჟორდანიას სიტყვები: „ჩვენთვის არ არსებობს არჩევანი ჩრდილოეთსა და დასავლეთს შორის, ჩვენ მუდამ ვირჩევთ ევროპას“, ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ხელისუფლების და ქვეყნის სწრაფვა ევროპისკენ, სამწუხაროდ 1921 წელს მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა და გასაბჭოება რამაც დაგვაშორა ევროპას, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კვლავ გააქტიურდა ამ საკითხის პოპულარობა და შეიძლება ითქვას ისევ წინა პლანზე წამოიწია „შინ ევროპაში“ დაბრუნების საკითხმა. საქართველოს, როგორც ევროპული ცივილიზაციის ნაწილს არ შეუწყვეტია სწრაფვა და დღესაც მის-წრაფის ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრობისკენ. ეს არის ქვეყნის განვითარებისა და ქვეყანაში უსაფრთხო გარემოს შექმნის ერთადერთი გზა.¹

ევროპისკენ სწრაფვა მისი გამოწვევებით, მიდგომებით და ახალი პერსპექტივებით არის ქვეყნის განვითარების გზა, რაც მოგვცემს საშუალებას ვუპასუხოთ თანამედროვე გამოწვევებს და შევქმნათ ქვეყანაში სტაბილური გარემო.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს მთავრობას ადებული აქვს დასავლური კურსი და ეს ურთიერთობები თანდათან უფრო მტკიცდება, თანამშრომლობა დასავლურ ორგანიზაციებთან მრავალმხრივია, საქართველოს მტკიცე თანამშრომლობა აქვს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან, ევროკავშირთან და გაეროსთან. ეს კავშირები წარმოადგენილია პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით, რომელიც ავითარებს და აძლიერებს საქართველოს სახელმწიფოს, მაგრამ ამავდროულად უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ურთიერთობების მთავარ ხელისშემშლელ გარემოებას წარმოადგენს რუსეთი, რამდენად შეძლებს ჩვენს დახმარებას ევროპა რუსეთთან მიმართებაში და როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, როდესაც ჩვენ გვაქვს 2008 წლის საქართველოს ანექსიის ფაქტი. როდესაც საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების საკითხი დადგა-რუსეთმა მოახდინა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, მოვლენები თითქმის იგივე სცენარით განვითარდა უკრაინის შემთხვევაშიც, ამ გარემოებამ საქართველოს მოსახლეობის ნაწილის აზრი შეცვალა ევროპულ არჩევანთან დაკავშირებით, მაგალითისთვის, თუ საქართველოში 2004 წელს ჩატარებული პლემბისციტი აჩვენებდა, რომ მოსახლეობის 92% ირჩევდა ევროპულ გზას, 2022 წლისთვის ის საგრძნობლად შემცირდა. ეს გამოწვევა დღემდე რჩება ქვეყნის წინაშე და აქტიური მუშაობა არის საჭირო ამ მიმართულების გასაძლიერებლად, რადგან დასავლური ორიენტაცია არის ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის.² დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერა და მათი უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ გაერთიანება მოგვცემს ქვეყანაში სტაბილური გარემოს შექმნის გარანტს, სტაბილურობა გამოიწვევს ეკონომიკის განვითარებას და ქვეყანაში დამატებითი ინვესტიციების შემოსვლას, ასევე მნიშვნელოვანია განათლების პროგრამების განვითარება, რაც საბოლოო ჯამში ქმნის ძლიერ სახელმწიფოს.³ საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით ერთობ საინტერესოა, როგორც რუსეთისთვის, ასევე დასავლეთისთვის, ამიტომაც საჭიროა ყველა ხელთარსებული საშუალების გამოყენება. ინტერესი, რომელიც დასავლეთიდან მოდის-მივიღოთ და ფეხი ავუწყოთ მათ, ამ პროცესში ერთ-ერთი წამყვანი როლი უჭირავთ დიპლომატებს, რომელებიც მაქსიმალურად უნდა იქნან გამოყენებული ინტეგრაციის პროცესში. თუ გადავხედავთ ისტორიას და დავაკვირდებით ევროკავშირის შექმნის ისტორიას დავრწმუნდებით, რომ მსოფლიო ომებს გამოვლილმა და დასუსტებულმა ევროპამ მალე შეძლო გაძლიერება და განვითარება. ამ ორგანიზაციის ფარგლებში საერთო ბაზრის შექმნა და რესურსების გაერთიანებამ მოხდინა, მთელი ევროპის გაძლიერება. ამ გარემოების გათვალისწინებით ჩვენი ეკონომიკური განვითარება შეიძლება ითქვას პირდაპირ კავშირშია დასავლეთთან, ამიტომაც აუცილებელია არ მოხდეს ქვეყნის პოლიტიკური კურსის შეცვლა და გავაგრძელოთ თანამშრომლობა ევროპასთან. წლების განმავლობაში ევროპულმა ინტეგრაციამ აჩვენა, რომ ევროპის ქვეყნებს შორის თანამშრომლობამ გაამართლა, როგორც ეკონომიკური ისე პოლიტიკური ინტეგრაციის კუთხით და საკმაოდ მაღალი დონე აჩვენა, ამიტომაც ის განსხვავდება სხვა სახელმწიფოთაშორის საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან. საერთო ინტერესებისა და ღირებულებების დამკვიდრებამ კარგად წარმოაჩინა

1 ს. მაქაჯარია, 2021 წ., <https://euronewsgeorgia.com>

2 ნ. ცისკარიშვილი, 2023 წ., <https://knews.ge/>

3 ნ. ხოფერია, 2010 წ., <http://samxedro-istoria.blogspot.com>

ევროკავშირის არა მხოლოდ რეგიონალური, არამედ გლობალური მნიშვნელობაც. ევროკავშირმა ეფექტური თანამშრომლობის და სოლიდარობის გზით დიდი შესაძლებლობები შექმნა ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი საერთო ფასეულობების განვითარებაში.⁴ საქართველო ევროპის კავშირში გასაწევრიანებლად უნდა აკმაყოფილებდეს ე.წ. „კოპენჰაგენის კრიტერიუმებს“, რაც გულისხმობს საზოგადოების დემოკრატიული მოწყობის პროცესს. საქართველოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან პრიორიტეტად უნდა დარჩეს ევროკავშირში სრულფასოვანი ინტეგრაცია, რათა მოხდეს ქვეყნის სრულფასოვანი განვითარება. ევროკავშირთან თანამშრომლობა საქართველოსთვის ასევე მნიშვნელოვანია უსაფრთხოების კუთხით აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების, მოსახლეობის უსაფრთხო და ნორმალური საცხოვრებელი პირობების ხელშეწყობისათვის, ასევე ევროკავშირის დახმარებით, თავიდან უნდა იქნას აცილებული საომარი მოქმედებების განახლება. საქართველოში დღემდე აქტიურად მუშაობს ევროკავშირის მისია, მისიის ფარგლებში ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან 200-მდე დამკვირვებელი მუშაობს, რომლებიც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვრებთან 24 საათის განმავლობაში ახორციელებენ პატრულირებას. გარდა ამისა, ევროკავშირის მანდატი ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის წევრობა ეკონომიკური განვითარებისთვის, თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებასა და ადგილობრივი მრეწველობის გაზრდას, ასევე მნიშვნელოვნად გაიზრდება წარმოებული პროდუქციის ხარისხი, რათა მიღწეულ იქნას ევროპულ ბაზართან თავსებადობა. ბიზნესისთვის შეიქმნება სტაბილური გარემო და უცხოური ინვესტიციებისთვის შეიქმნება მიმზიდველი გარემო, ახალი საწარმოების შექმნა და ადგილობრივი წარმოების მასშტაბების ზრდა გააჩენს ახალ სამუშაო ადგილებს, ასევე მნიშვნელოვნად შემცირდება ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯები, რაც ერთობ მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას.⁵ დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს თანამშრომლობას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან, რომელიც წარმოადგენს მტკიცე და სტაბილურ პარტნიორს, რაც დიდ როლს თამაშობს მსოფლიო უსაფრთხოების საკითხში. ნატო-ს განსაკუთრებული მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს პარტნიორი ქვეყნების განვითარებაში, სწორედ ეს განაპირობებს მთელი რიგი პატარა ქვეყნების სწრაფვას ალიანსისკენ, რომლებიც დგანან სხვადასხვა გეოპოლიტიკური საფრთხეების წინაშე და სჭირდებათ ძლიერი პარტნიორი, რომლის დახმარებითაც შეძლებენ უსაფრთხოების შენარჩუნებას და ქვეყანაში სტაბილური გარემოს შექმნას. სწორედ ამ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც. ასევე აღსანიშნავია, რომ ნატო არ არის მხოლოდ სამხედრო გაერთიანება და სამხედრო ძალების კავშირი. მას ასევე აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა. საქართველოს აქვს მჭიდრო პარტნიორობა ალიანსთან, ქართული თავდაცვის ძალები წარმატებით მონაწილეობენ ნატო-ს მისიებში. 2012 წელისთვის საქართველო გახდა მისიაში ყველაზე მსხვილი კონტრიბუტორი იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ ნატო-ს პარტნიორ არა წევრ ქვეყნებს. საბოლოო ჯამში მთლიანი მისიის განმავლობაში საქართველოს 14 ათასმა ჯრისკაცმა მიიღო მისიაში მონაწილეობა, ამ საბრძოლო გამოცდილებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ქართული ჯარის სიძლიერე. მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა და ახლმა კომპლიქტებმა წინა პლანზე წამოწიეს თანამედროვე ტექნოლოგიების და იარაღის სისტემების როლი ბრძოლის ველზე, ამის კარგი მაგალითია რუსეთ-უკრაინის ომი, სადაც მრავლად არის გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიები და იარაღის სისტემები, რომლის გამოყენებითაც გარკვეული წარმატებები მიიღწევა ბრძოლაში.⁶ დღეს დღეობით სწორედ ეს წარმოადგენს ქართული ჯარის გამოწვევას, რომ მოხდეს ამ ახალი იარაღის სისტემების შესწავლა და მათი საჭიროების შემთხვევაში გამოყენება. ნატოსთან თანამშრომლობით და ურთიერთობის გაღრმავებით კი შესაძლებელია ამ პროცესების დაჩქარება. საქართველოში სტაბილურობის შესანარჩუნებლად და ქვეყანაში უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად გარდაუალ აუცილებლობას წარმოადგენს თავდაცვის სფეროში მყარი თანამშრომლობის გაგრძელება ალიანსთან, ეს კიდევ ერთხელ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ზუსტად განვსაზღვროთ თავდაცვის ძალების ამჟამინდელი მდგომარეობა, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. ეს შეფასებები დაგვეხმარება იმ სფეროების იდენტიფიცირებაში, რომელსაც სჭირდება გაუმჯობესება და მის გაუმჯობესებაზე ვიმუშაოთ ჩვენი პარტნიორების რეკომენდაციებითა და დახმარებით. თავდაცვის ძალების განვითარება და ნატოს-თან თავსებადობისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი რესურსები, როგორცაა ფინანსური, ადამიანური და ტექნოლოგიური რესურსები. ამ რესურსების ხელმისაწვდომობში ხშირად გვეხმარებიან ალიანსი და ალიანსის წევრი პარტნიორი ქვეყნები, რომლის მეშვეობითაც იხვეწება სასწავლო და საგანათლებლო პროგრამები, კარგად გაწვრთნილი და განათლებული სამხედრო ძალა აუცილებელია თავდაცვის ძალების განვითარებისთვის.

4 გ. დაღანიძე, თბილისი, 2021 წ., <https://digitallibrary.tsu.ge>

5 საქართველო და ნატო თანამშრომლობის ისტორია, <https://old.infocenter.gov.ge>

6 ა.თაბაგარი, 2017 წ., <http://yata.ge>

დასკვნა

გზა ევროპისკენ-ეს არის ქვეყნის განვითარების ერთადერთი სწორი გზა, რომელიც ქვეყანას მისცემს რეალური განვითარების საშუალებას. მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალურად იქნას გამოყენებული დიპლომატიური კორპუსი, რომ არ მოხდეს დამორება იმ საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტისაგან, რომელსაც წარმოადგენენ მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც არიან ევროკავშირი, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი და გაერო. ევროკავშირში გაწევრიანება ქვეყანას მოუტანს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების საშუალებას, მნიშვნელოვნად დაეხმარება ადგილობრივი წარმოებას განვითარებაში, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სამუშაო ადგილებს, ეს ყოველივე კი საბოლოო ჯამში განავითარებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. სამხედრო კვალიციები და ალიანსები შექმნის ძლიერ სამხედრო ძალას, რომელიც პოტენციურ მოწინააღმდეგეს უკარგავს ბრძოლის სურვილს და უარს ათქმევებს საკუთარ განზრახვაზე. ეს კი ქვეყნებს აძლევს განვითარების და უსაფრთხო გარემოს შექმნის კარგ საშუალებას. ეს ყველაფერი კი დასტურდება არაერთი ისტორიული ფაქტით, რომელებიც აღნიშნულია ზემოთ შესავალ ნაწილში. სწორედ ასეთ დიდი და ძლიერ გაერთიანებას წარმოადგენს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, რომელიც წლების განმავლობაში იცავს ევროპის და არა მხოლოდ ევროპის უსაფრთხოებას, ის ასევე მტკიცედ დგას მსოფლიო მშვიდობის სადარაჯოზე. ალიანსისკენ სწრაფვა და ალიანსში გაწევრიანება საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, ასევე რათა შევძლოთ და შევინარჩუნოთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და ერთიანობა. საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ალიანსს და მის პარტნიორ ქვეყნებს და ეს პროცესი გრძელდება დღემდე, ამავდროულად უნდა ითქვას, რომ საქართველოს თავდაცვის ძალებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს როგორც ტერორიზმთან ბრძოლაში ასევე საერთო უსაფრთხოების საკითხში, ქართველმა სამხედროებმა თავისი მაღალი პროფესიონალიზმით და მოტივაციით საერთაშორისო მისიებსა თუ სწავლებებში ბევრჯერ დაანახეს ალიანსს თავისი შესაძლებლობები, რამაც კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ქართული თავდაცვის ძალები თავსებადია ნატოს-თან.

გამოყენებული ლიტერატურა

მაქაჯარია სოფო, „საქართველოს პროდასავლური მისწრაფებები“ 2021 წ, <https://euronewsgeorgia.com/2021/06/28/%e1%83%92%e1%83%96%e1%83%90-%e1%83%94%e1%83%95%e1%83%a0%e1%83%9d%e1%83%9e%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%99%e1%83%94%e1%83%9c/>
<https://euronewsgeorgia.com>
ცისკარიშვილი ნატალია, „საარჩევნო რეფორმა და გამოწვევები“ 2023 წ, <https://knews.ge/?cat=10> <https://knews.ge/>
ხოფერია ნიკა, 2010 წ, <http://samxedro-istoria.blogspot.com>
ღაღანიძე გიორგი, არაფიევი ი., მუნჯიშვილი თეა, „საგარეო ვაჭრობის პროგნოზირების სისტემური და ანალიტიკური მოდელის შემუშავება“, თსუ, 2021 წ, <https://digitallibrary.tsu.ge/book/2022/Mar/conferences/2021/globalizaciis-gamotsvevebi-ekonomikisa-da-biznesi-6-2021.pdf> <https://digitallibrary.tsu.ge>
„საქართველო და ნატო თანამშრომლობის ისტორია“, <https://old.infocenter.gov.ge/nato-georgia-history/>
<https://old.infocenter.gov.ge>
„უერთიერთობები საქართველოსთან“, <https://www.nato.int>
https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_38988.htm?selectedLocale=ka
მინისტრის ხედვა 2015-2016 წ, <https://mod.gov.ge>
„საქართველო და ნატო“, „რა არის ნატო?“, სამშვიდობო მისიები, <https://old.infocenter.gov.ge>

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია

უფროსი სერჟანტი გიორგი ალადაშვილი

აბსტრაქტი

ნაშრომში ავტორი შეეცადა ეჩვენებინა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია. საკითხს წითელ ხაზად გასდევს საქართველოს იდეა და მისწრაფება იმისკენ, რომ საქართველო ევროპული ოჯახის ნაწილია და ქვეყანა ევროპისკენ დღესაც რთულ და გძელ გზას გადის. ეს პროცესი 1918 წელს, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად ჩამოყალიბებიდან დაიწყო.

უფრო მოგვიანებით, 1991წელს, საქართველომ საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა და ევროპასთან ინტეგრაცია შესაძლებელი გახდა როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად. მას შემდეგ არაერთი ნაბიჯი გადაიდგა ევროპისკენ: 1999 წელს საქართველო უერთდება ევროპის საბჭოს; 2004 წელს საქართველო ხდება ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ნაწილი; 2014 წელს საქართველო ხელს აწერს ე.წ. "ასოცირების ხელშეკრულებას", რომელიც 2016 წლიდან შედის ძალაში; 2017 წელს საქართველოს მიენიჭა უვიზო მიმოსვლის უფლება, ხოლო 2022 წლის 3 მარტს საქართველომ გააკეთა განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე. ევროპულმა საბჭომ საქართველოს ევროპული პერსპექტივა აღიარა და გამოთქვა მზაობა საქართველოს მიანიჭოს კადიდატი ქვეყნის სტატუსი მას შემდეგ, რაც შესრულდება თორმეტი პრიორიტეტული საკითხი, რომელიც ევროკომისიის გაწევრიანების შესახებ განაცხადთან დაკავშირებულ მოსაზრებაშია განსაზღვრული.

წინამდებარე ნაშრომში მოვლენების განვითარების ქრონოლოგიასთან ერთად საუბარია საქართველოსა და ევროპის ურთიერთობაში დღეს არსებულ ძირითად გამოწვევებზე, ახალ მიდგომებზე და არსებულ პერსპექტივებზე. სფეროები, რომლებში დახმარების გაწევაც სამომავლოდ მნიშვნელოვნად შეცვლის ქვეყნის არსებულ მდგომარეობას, არის: განათლების სფერო, სასამართლო სისტემის რეფორმა, სიტყვის თავისუფლების აუცილებლობა, გეოპოლიტიკური ვითარება, კიბერუსაფრთხოება და ა.შ. მათი მოწესრიგების გარეშე ქვეყანას გრძელვადიან პერსპექტივაში არ ექნება სტაბილურობის მიღწევის და შენარჩუნების საშუალება.

საკვანძო სიტყვები:

საქართველო, ევროპული პერსპექტივა, საქართველო-ევროპის ურთიერთობები, დამოუკიდებლობა, კანდიდატის სტატუსი.

Chronology of Important Events regarding Georgia-EU Relations

Senior Sergeant Giorgi Aladashvili

Abstract

The article deals with the chronology of important events regarding Georgia-EU relations. The author emphasizes Georgia's aspiration and follows the idea that Georgia is a part of the European family, and the country is still going through a difficult and long road to Europe. This process dates back to 1918 when Georgia became a democratic republic.

Later, in 1991, Georgia gained independence from the Soviet Union and integration with Europe became possible both politically and economically. Since then, a number of steps have been taken towards Europe: in 1999, Georgia joins the Council of Europe; In 2004, our country became part of the European neighborhood policy; In 2014, Georgia signed the so-called "Association Agreement", which entered into force in 2016; In 2017, Georgia was granted visa-free travel, and on March 3, 2022, the country applied for EU membership. The European Council recognized European perspective of the country and expressed its readiness to grant Georgia the status of a candidate country after the implementation of the twelve priority issues defined in the opinion regarding the application for membership of the European Commission.

The present paper talks about the principal challenges, new approaches and existing perspectives in the current Georgia-Europe relationship along with the chronological order of events. There are directions that can significantly change the current situation of the country in the future and these areas cover education, the reform of the judicial system, the need for freedom of speech, the geopolitical situation, cyber security, etc. Without regulating these issues, the country will not have the ability to achieve and maintain stability in the long term.

Keywords:

Georgia, European perspective, Georgia-Europe relations, independence, candidate status.

შესავალი

იდეა და მისწრაფება იმისკენ, რომ საქართველო ევროპული ოჯახის ნაწილია, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად ჩამოყალიბებისას, 1918 წელს, უკვე არსებობდა და ის ასე ჟღერდა: „ჩვენთვის არ არსებობს არჩევანი ჩრდილოეთსა და დასავლეთს შორის, ჩვენ მუდამ ვირჩევდით ევროპას“ - ეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას სიტყვებია.

საქართველო აქტიურად აგრძელებს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესს და ამ პროცესის შესაბამისად სახელმწიფოებრივ განვითარებას, რათა უპასუხოს არსებულ გამოწვევებს, მიდგომებს და მზად იყოს ახალი პერსპექტივებისთვის.

ძირითადი ნაწილი

არსებული გამოწვევები. საქართველოს გზა ევროპისკენ მნიშვნელოვანი პროგრესითა და მიღწევებით გამოირჩევა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს პროგრესი ევროპულ ოჯახში გაერთიანების გზაზე, თუმცა, მიუხედავად ამ პროგრესისა, არსებობს სხვადასხვა გამოწვევები, რომელთა საპასუხოდ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. უპირველეს ყოვლისა, ეს არის სასამართლო სისტემის რეფორმა, რაც უმთავრესია, რათა თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს სამართლიანობის განცდა და თავს დაცულად გრძობდეს საკუთარ ქვეყანაში. ასევე, ეს საკითხი მნიშვნელოვანია საქართველოში ინვესტირების მხრივ. როგორც წესი, გამართული და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემა ბიზნესის განვითარების და ინვესტირების დაინტერესების წინა პირობას წარმოადგენს.¹

აქვე უნდა აღინიშნოს ის გეოპოლიტიკური უსაფრთხოება, რაც საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შედეგად, დარღვეული აქვს ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს და კვლავ აგრძელებს მცოცავ ოკუპაციას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს და ხელს უშლის ინვესტირების ალბათობას ქვეყანაში. მოგეხსენებათ, რომ სწორედ ინვესტირების მეშვეობით იქმნება ახალი სამუშაო ადგილები და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობაც უმჯობესდება, ეს კი პირველ რიგში მოსახლეობაზე აისახება და თავისთავად, დადებითი ფაქტორია ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე. დასაქმებული მოქალაქე სოციალურად ძლიერ საზოგადოებას ქმნის, რაც მნიშვნელოვანია ჯანსაღი საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად. ამ განვითარების გზაზე ასევე მნიშვნელოვანია როლი აქვს განათლებას. ის სწორ მიმართულებას აძლევს ახალგაზრდა თაობას, ეს კი მეტად მნიშვნელოვანია სიახლეებისა და ინოვაციებისთვის ქვეყნის განვითარების გზაზე .

აქვე გვინდა აღვნიშნოთ სიტყვის თავისუფლების აუცილებლობა, რაც მეტად თავდაჯერებულს გახდის საზოგადოებას და ასევე ხელს შეუწყობს ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელსაც აქვს უფლება თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი. ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია კიბერუსაფრთხოება, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევებიდან გამომდინარე, ახალი გამოწვევაა საქართველოსთვის. ამ სფეროშიც ბევრია სამუშაო, რათა ციფრული მედია მეტად დაცული იყოს. ეს ხომ ერთ-ერთი ინფორმაციის წყაროა თანამედროვე ცხოვრებაში. ინფორმაციას კი უდიდესი ძალა აქვს და დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია სოციალურად და ეკონომიკურად სუსტ საზოგადოებაზე, რაც კიდევ უფრო აფერხებს ევროპულ ოჯახთან ინტეგრაციას.

ახალი მიდგომები

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე, დადებითი ცვლილებების შესატანად, უმჯობესია გარკვეული მიდგომების ცვლილება აღნიშნულ საკითხებში. ასევე საჭიროა მოიძებნოს ახალი გზები გეოპოლიტიკური უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად და ამ საკითხში მოკავშირე და პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაძლიერება; ასევე ღირებულია და მნიშვნელოვანია ახალი გზების მოძიება ინვესტირების მოსაზიდად და ინვესტირების ინტერესის გასაზრდელად, რათა მეტი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროექტი იქნას განხორციელებული ქვეყნის მამულებით. ეს გაზრდის ქვეყნის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას მსოფლიო რუკაზე და მეტ ინტერესს გამოიწვევს ჩვენი ქვეყნის მიმართ ჩვენს დასავლელ პარტნიორ ქვეყნებში, რაც ასევე ხელს შეუწყობს ევროინტეგრაციას. რიგ შემთხვევებში გამოსაძებნია ახალი მიდგომები განათლების სფეროშიც, რათა უფრო მეტად ხელმისაწვდომი და მრავალფეროვანი გაეხადოთ ის, რაც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ მომავალი თაობა მოვამზადოთ არსებული გამოწვევებისთვის. ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სიახლეებისა და ახალი გამოწვევებისკენ, რაც თავის მხრივ, გაძლიერებს ქვეყანას.²

არანაკლებ მნიშვნელოვანია ასევე თანამედროვე ტექნოლოგიური ცვლილებების განხორციელება, რათა მოხდეს მათი ათვისება და შესწავლა, რაც შესაბამისად გაზრდის კიბერუსაფრთხოებას ქვეყანაში.

¹ ს. მაქეცარია, 2021წ. <https://euronewsgeorgia.com/2021/06/28/%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%94%E1%83%9C/>

² რას ნიშნავს საქართველოს ევროპული გზა? განათლება, 2016, <http://old.infocenter.gov.ge/151-saqarthvelos-evropuli-gzaganathleba.html>

ამდენად ძალზე მნიშვნელოვანია ზემოთ აღნიშნული რეფორმების სწორად და მიზანმიმართულად გატარება, რათა არ დაზიანდეს ქვეყნის შიგნით არსებული როგორც პოლიტიკური, ასევე სოციალური გარემო და სამართლიანად მოხდეს რეფორმების ინტეგრაცია არსებულ საკითხებში. ამ პროცესების შედეგად, გაჩნდება მეტი ახალი პერსპექტივა, რაც უფრო სწრაფი საშუალება იქნება ევროპულ ოჯახთან ინტეგრაციის დაჩქარების პროცესში.

ახალი პერსპექტივები

ევროკავშირთან ინტეგრაციას უამრავი ახალი პერსპექტივა გააჩნია, რაც თავის თავში გულისხმობს უფრო მეტ განათლებულ ადამიანს, რომელთაც ამ კუთხით მიეცემათ საშუალება, განათლება მიიღონ ევროპულ ქვეყნებში, რაც გაზრდის ინოვაციური და ახალი პროექტების შემუშავების პროცესს და შრომით ბაზარზე გაჩნდება კონკურენტუნარიანი და განათლებული საზოგადოების ნაწილი, რაც შესაბამისად ხელს შეუწყობს ქვეყანაში ჯანსაღი და ეკონომიკურად ძლიერი საზოგადოების ჩამოყალიბებას. აგრეთვე გაჩნდება პერსპექტიული ინვესტირების საშუალებები, რაც ასევე გამოიწვევს ახალი სამუშაო ადგილების არსებობას და მეტ დასაქმებულ ადამიანს ქვეყანაში. ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყნის განვითარების გზაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი პერსპექტივები საერთაშორისო პროექტების განხორციელებისთვის, რაც მეტ ინტერესს გააჩენს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქართველოს მიმართ და შესაძლოა, საქართველოს გეოპოლიტიკურ უსაფრთხოებაზეც იქონიოს გავლენა, თავის მხრივ, დადებითად აისახება ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე.

დასკვნა

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ევროპული ოჯახის გაერთიანების საკითხში, რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოიკვეთა. ქვეყანას გააჩნია საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია. ამასთან, იკვეთება ის ახალი გამოწვევები, ახლებური მიდგომები და სამომავლო პერსპექტივები, რომლებიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მიმდინარე პროცესებში. სასამართლო სისტემის რეფორმა, გეოპოლიტიკური უსაფრთხოების (ინვესტირების საშუალება) უზრუნველყოფა, განათლება, სიტყვის თავისუფლების აუცილებლობა, კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა - ეს ის აუცილებელი სფეროებია, რომელთა მოწესრიგების გარეშე ქვეყანას არ ექნება პერსპექტივაში გრძელვადიანი სტაბილურობის მიღწევის საშუალება.

გამოყენებული ლიტერატურა

მაქაცარია ს. 2021წ. <https://euronewsgeorgia.com/2021/06/28/%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%94%E1%83%9C/>

გეოპოლიტიკა და უსაფრთხოება: ახალი სტრატეგია სამხრეთ კავკასიისთვის, 20218, <https://gip.ge/ka/publication-post/geopolitics-and-security-a-new-strategy-for-the-south-caucasus/>

რას ნიშნავს საქართველოს ევროპული გზა? განათლება, 2016, <http://old.infocenter.gov.ge/151-saqarthvelos-evropuli-gza-ganathleba.html>

ქართული სახელმწიფოს გამოწვევები ევროპულ გზაზე და შესაბამისი მიდგომები

მასტერ-სერჟანტი გიორგი საფარაშვილი

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია დავინახოთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ევროკავშირში გაწევრიანება. დავინახოთ გზები, როგორ შეიძლება ამისი გაკეთება. მიდგომები, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს საამისოდ. დავინახოთ ის პერსპექტივები და სიკეთეები, რაც საბოლოოდ უნდა მოიტანოს ევროკავშირში გაწევრიანებამ და რომ ამ ყველაფერს ალტერნატივა არ გააჩნია, რადგან ამ გზიდან გადახვევა მხოლოდ და მხოლოდ უკან, საბჭოთა რუსეთში დაბრუნებას ნიშნავს. ევროკავშირის წევრობა არ არის მხოლოდ ბლოკში გაერთიანება, იგი არის ევროპული ღირებულებების პატივისცემა, რაც მოიცავს ადამიანის უფლებების დაცვას, დემოკრატიას, კანონის უზენაესობას, გარემოს დაცვას, ეკონომიკურ განვითარებას, ეკონომიკურ, სავაჭრო და პოლიტიკურ ურთიერთობებს. აღნიშნული ურთიერთობები უზრუნველყოფს სახელმწიფოს გაძლიერებას და შესაბამისად განვითარების შეუქცევად პროცესს. ევროპისაკენ სწრაფვა ყოველთვის იყო ჩვენი წინაპრების საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ მოიპოვა ნანატრი თავისუფლება, დაიშალა რუსეთის იმპერია. პირველი რესპუბლიკის მთავრობამ თავიდანვე მჭიდრო ურთიერთობები დაამყარა ევროპულ ქვეყნებთან. კერძოდ, ეს იყვნენ ჯერ გერმანია, ხოლო პირველ მსოფლიო ომში მისი დამარცხების შემდეგ-დიდი ბრიტანეთი. 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების თანახმად, დიდი ბრიტანეთის ჯარებმა დატოვეს საქართველოს ტერიტორია, რითაც ფაქტიურად გზა გაეხსნა საბჭოთა რუსეთის ინტერვენციისათვის. 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის ნაწილებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვარი და დაახლოებით ერთ თვეში მოახდინეს ქვეყნის ოკუპაცია. ევროპისაკენ გზა 70 წლის განმავლობაში იქნა ჩაკეტილი. ევროპისაკენ სწრაფვა კვლავ გააქტიურდა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გასული საუკუნის 90-იან წლებში. საქართველო მიღებულ იქნა ევროსაბჭოში, გაფორმებულ იქნა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, დადებითად გადაწყდა ვიზალიბერალიზაციის საკითხი და ა.შ. ამჟამად საქართველო მყარად ადგას ევროკავშირში სრულფასოვან წევრად მიღების შეუქცევად პროცესს. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

საკვანძო სიტყვები:

ევროპა, ვიზალიბერალიზაცია, ოკუპაცია, რუსეთი, პოლარიზაცია, ადამიანის უფლებები, ხორვატია, საქართველო, დამოუკიდებლობა.

Challenges of the Georgian State on the European Path and Relevant Approaches

Master Sergeant Giorgi Saparashvili

Abstract

Abstract/Text The paper aims to see how important it is to join the European Union; to see the ways how this can be done; to see the approaches about what to do and how to act for this; to see the prospects and benefits that should be followed by joining the European Union. There is no alternative to all this, because deviation from this path only implies going back to Soviet Russia. EU membership is not just about joining the bloc, it is about respecting European values, which include the protection of human rights, democracy, the rule of law, environmental protection, economic development, economic, trade and political relations. The mentioned relations ensure the strengthening of the state and, accordingly, the irreversible process of development. Striving for Europe has always been the principal direction of our ancestors' foreign policy. On May 26, 1918, Georgia gained its long-awaited freedom and the Russian Empire was dissolved. The government of the First Republic established close relations with European countries from the beginning. In particular, these were first Germany and then Great Britain after Germany's defeat in the First World War. Under the Treaty of Moscow signed by Soviet Russia and Georgia on May 7, 1920, Great Britain's troops left the territory of Georgia, thus literally paving the way for Soviet Russia to intervene. In February 1921, units of the 11th Army of Soviet Russia crossed the border of Georgia and occupied the country in about a month. The road to Europe has been blocked for 70 years. Striving for Europe has become active again since our country gained independence in the 90s of the last century. Georgia was accepted into the European Council, a free trade agreement was signed, the issue of visa liberalization was positively resolved, etc. Currently, Georgia is firmly in the irreversible process of becoming a full member of the European Union. But there is still much to be done.

Keywords:

Europe, Visa Liberalization, Occupation, Russia, Polarization, Human rights, Croatia, Sakartvelo, Georgia, Independence.

შესავალი

ევროპისკენ სვლის დასაწყისად თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს 1918 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება და მის შემდეგ, 1920 წლის 14 იანვრის, მაშინდელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას სიტყვით გამოვლანა დამფუძნებელ კრებაზე, სადაც საკუთარ სიტყვაში აქცენტი გააკეთა სწორედ ევროპისაკენ სწრაფვის აუცილებლობაზე. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საქართველო ევროპისკენ ისწრაფვოდა არა მოწყალებისთვის, არამედ უფლებისთვის, რომ საქართველომ იცხოვროს ერთ დიდ ევროპულ ოჯახში. იგი ამაცხობდა იმით, რომ საქართველომ უარი უთხრა რუსეთს საომარ კავშირზე, რაზე დათანხმებაც გამოიწვევდა ავტომატურად უარის თქმას ევროპაზე და „პირის ბრუნებას აღმოსავლეთისაკენ“ და რომ საქართველოს დამოუკიდებლობას მხარს უჭერდნენ ისეთი დიდი ქვეყნები, როგორებიც იყვნენ დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია და ამერიკის შეერთებული შტატები. მისი სიტყვა სრულად ატარებდა ცალსახად პროევროპულ და ანტირუსულ ხასიათს.¹

თუმცა საქართველოს დამოუკიდებლობა დიდ ხანს არ გაგრძელდებოდა. რუსეთმა სათავისოდ გამოიყენა 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება საქართველოს მხრიდან (რის შედეგადაც საქართველო დატოვა ყველა სამხედრო შენაერთმა, რომელიც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არ შედიოდა, რომელთა შორისაც იყვნენ ბრიტანული დანაყოფებიც) და 1921 წლის თებერვალში სამხედრო ძალის გამოყენებით მოახდინა საქართველოს სრული ოკუპაცია, რომელიც 70 წლის განმავლობაში გაგრძელდა.

ზემოთ აღნიშნული 70 წლიანი ოკუპაციის პერიოდი განსაკუთრებულად ხელის შემშლელი აღმოჩნდა საქართველოსთვის ევროპისაკენ მიმავალ გზაზე. აღნიშნულმა პერიოდმა, გარდა იმისა, რომ საქართველოსა და ევროპას შორის მანამდე არსებული ურთიერთობები მომენტალურად შეწყვიტა, გამოზარდა რუსული იდეოლოგიის მატარებელი თაობები, რომელთა არსებობაც ერთერთი ხელის შემშლელი ფაქტორია ევროპისაკენ მიმავალ გზაზე. მიუხედავად ამისა, საქართველოს მოსახლეობის ძირითადი მასა ყოველთვის წინააღმდეგი იყო რუსული პოლიტიკისა და რუსეთზე დამოკიდებულების გამო. აღნიშნული საპროტესტო განწყობამ თავი იჩინა 1989 წელს, როდესაც აფხაზეთმა დამოუკიდებლობა მოითხოვა, რის შემდეგაც ადგილობრივი ანტისეპარატისტული გამოსვლები დაიწყო, რაც თბილისშიც გაგრძელდა. 5 აპრილს თბილისის პარალიზება მოხდა, რაც გამოწვეული იყო მუშების გაფიცვით, სასწავლო დაწესებულებების დახურვით. აქციების გამო კომუნისტურმა პარტიამ კონტროლი დაკარგა სიტუაციის მართვაზე, რის გამოც მათ (კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი) დახმარება საბჭოთა ხელმძღვანელობას სთხოვეს, რათა აღდგენილიყო საბჭოთა წესრიგი. საბჭოთა ხელმძღვანელობის პასუხმაც არ დააყოვნა და 7 აპრილს სადამსჯელო რაზმები შემოვიდნენ საქართველოში გენერალ იგორ როდიონოვის ხელმძღვანელობით. 9 აპრილის დილას სადამსჯელო რაზმებმა სრულად დაშალეს აქცია, რა დროსაც 21 მშვიდობიანი დემონსტრანტი დაიღუპა. გამოყენებული იქნა არაპროპორციული ძალა მომწამლავი ქიმიური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის სახით. ამ ყველაფრის შემდეგ დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესებმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო, რასაც რეფერენდუმის საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოჰყვა.²

აღნიშნული ისტორია ნათლად აჩვენებს, რამდენად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რუსეთისაგან დამოუკიდებლად ყოფნა და ამისთვის ევროკავშირში გაწევრიანება უპირობო ალტერნატივად რჩება.

ძირითადი ნაწილი

გამოწვევები ევროპისკენ მიმავალ გზაზე. ევროკავშირის წევრობა არ არის მხოლოდ ეკონომიკური გაერთიანების წევრობა. იგი არის ევროპული ღირებულებებისა და ფასეულობების პატივისცემა როგორც ფურცელზე, ისე რეალობაში. იგულისხმება ის, რომ ფურცელზე გადმოცემული მისწრაფება ევროპისაკენ, რეალობაში უნდა ხორციელდებოდეს. 2014 წლის ასოცირების ხელშეკრულების ხელის მოწერისას განისაზღვრა ქვემოთ მითითებული ის სფეროები, რომელთა რეფორმებიც საქართველომ უნდა გაატაროს ევროკავშირის ხელშეწყობით:³

1. საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება და დაცვა. დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ერთგულება და გავრცელება; საერთაშორისო სამართლის პრინციპების, მათ შორის სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა; კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობა.
2. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა: პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავება შესაბამის სფეროებში, მათ შორის შიდასახელმწიფოებრივი რეფორმა, საერთაშორისო მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, რეგიონული სტაბილურობა და სხვა.
3. მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება: სასამართლო ხელისუფლების

1 <https://civil.ge/ka/archives/350035>

2 <https://shorturl.at/BGS19>

3 <https://old.infocenter.gov.ge/euinfo-the-association-agreement/>

დამოუკიდებლობის გაზრდა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა; მიგრაციის მართვა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა; ფულის გათეთრების, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა; უკანონო ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვის პრევენცია და მის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა; პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია; საზღვრის მართვის საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავება, ტერორიზმის, პერსონალურ მონაცემთა დაცვა და სხვა.

4. დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზება და ევროპული სტანდარტების დანერგვა. თანამშრომლობა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, კვლევა და ტექნოლოგიები, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, სამოქალაქო საზოგადოება, რეგიონული განვითარება და სხვა.
5. ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ჩამოყალიბებას. ასოცირების შესახებ შეთანხმებაში ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება ქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს.

აღნიშნული სფეროების სრულფასოვანი რეფორმები იმდენად მაღალი სტანდარტების არის, რომ მათი სრულად განხორციელება შეუქცევად პროცესში გადაზრდის საქართველოს ევროპეიზაციას. აღნიშნული რეფორმების განხორციელების პროცესის გამოხმაურებაა სწორედ ევროკავშირის მიერ ევროპული პერსპექტივის მინიჭება საქართველოზე, უკრაინასა და მოლდოვაზე, რაც ერთგვარი აღიარებაა იმის, რომ ეს სახელმწიფოები, შესაძლებელია, რომ გახდნენ ევროკავშირის წევრები. ამასთან უკრაინამ და მოლდოვამ კანდიდატის სტატუსი, ხოლო საქართველომ პოტენციური კანდიდატის სტატუსი მიიღო. ევროკავშირმა ჩათვალა, რომ საქართველოს კიდევ აქვს განსახორციელებელი მთელი რიგი ქვემოთ მითითებული რეფორმებისა, რათა კანდიდატის სტატუსი მიიღოს. რეფორმები ეხება შემდეგ საკითხებს:⁴

1. უნდა აღმოფხვრას პოლიტიკური პოლარიზაცია. ამ საკითხებზე უნდა იმუშაოს ყველა პარტიამ, „2022 წლის 19 აპრილის შეთანხმების სულისკვეთების დაცვით“.
2. ყველა სახელმწიფო ინსტიტუტმა გამართულად უნდა იმუშაოს. გაიზარდოს მათი დამოუკიდებლობა, ანგარიშვალდებულება და დემოკრატიული ზედამხედველობა მათზე. ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის, ევროპის საბჭოსა და ვენეციის კომისიის დასკვნები საარჩევნო სისტემაზე.
3. მიიღოს გამჭვირვალე და ეფექტიანი სასამართლო რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. დაიწყოს მისი განხორციელება. „უზრუნველყოს სასამართლო სისტემის მთლიანი და ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა, ანგარიშვალდებულება და მიუკერძოებლობა“. პროცესში ჩართოს სხვა პოლიტიკური პარტიებიც. სასამართლო ინსტიტუტებმა და პროკურატურამ დამოუკიდებლად და გამჭვირვალედ უნდა იმუშაონ. მოსამართლეები და იუსტიციის უზენაესი საბჭოს წევრები ასევე გამჭვირვალედ უნდა დაინიშნონ.
4. გააძლიეროს ანტიკორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობა და ეფექტიანად გამოიძიოს ელიტური კორუფციის შემთხვევები. გააძლიეროს სპეციალური საგამომიებო და პირადი მონაცემების დაცვის სამსახურები. უზრუნველყოს მათი ინსტიტუციური დამოუკიდებლობა.
5. აიღოს და შეასრულოს „დეოლიგარქიზაციის“ ვალდებულება. აღმოფხვრას ის გადაჭარბებული ზეგავლენა, რომელიც პირად ინტერესებს აქვთ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაზე.
6. გააძლიეროს ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულთან და ეფექტიანად გამოიძიოს სამართალდარღვევები. სამართალდამცავი ორგანოები იყვნენ ანგარიშვალდებულები და გამჭვირვალე.
7. შექმნას თავისუფალი, პროფესიონალური, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედიაგარემო. „სამართალწარმოება მედიასაშუალებების მფლობელების წინააღმდეგ უნდა პასუხობდეს უმაღლეს სამართლებრივ სტანდარტებს“. ხელისუფლებამ ეფექტიანად და დროულად გამოიძიოს ჟურნალისტებზე ძალადობის საქმეები.
8. სასწრაფოდ დაიცვას მოწყვლადი ჯგუფების უფლებები. ეფექტიანად გაასამართლოს მათზე მოძალადეები და ამ ძალადობის დამკვეთები.
9. „გააერთიანოს ძალისხმევა“ გენდერული თანასწორობისთვის და ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან საბრძოლველად.
10. ჩართოს სამოქალაქო საზოგადოება გადაწყვეტილებების მიღებაში „ყველა დონეზე“.
11. მიიღოს კანონი, რომელიც უზიარებს ქართველ მოსამართლეებს, „პროაქტიულად გაითვალისწინონ საკუთარ მსჯელობებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებები“.
12. ახალ სახალხო დამცველად დანიშნოს დამოუკიდებელი ადამიანი. დანიშნა იყოს გამჭვირვალე,

4 <https://www.radiotavisupleba.ge/a/31902732.html>

ხოლო მისი სამსახური - ზეგავლენებისგან თავისუფალი.

მიდგომები ევროპისკენ მიმავალ გზაზე. ერთი შეხედვით, მიდგომა, აუცილებელია, რომ იყოს ერთი-იმ რეკომენდაციებისა და მითითებების განუხრელი შესრულება, რასაც გვერდნახობს ევროკავშირი. დიდი წინსვლა აქვს საქართველოს გენდერული თანასწორობისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით. ასევე, სახელმწიფოში შეიქმნა შრომის ინსპექცია და გამოიცა ანტიდისკრიმინაციული კანონი. თუმცა ამ ყველაფრის ფონზე მაინც ხდება ისეთი მოვლენები, რომლებიც კითხვის ნიშნებს აჩენს ამა თუ იმ საკითხის შესახებ. მაგალითად, 2022 წლის 5 ივლისის საღამო, როდესაც დემონსტრანტებზე და მათ შორის ჟურნალისტებზე ძალადობის ფაქტები მოხდა. ამერიკამ საქართველოს სამ მოსამართლეს სანქციები დაუწესა. ბევრისთვის მედიაზე ძალადობად ფასდება თუნდაც ნიკა გვარამიას დაკავება და მისი საპატიმროში ყოფნა. აქ მნიშვნელობა არ აქვს, არიან თუ არა დემონსტრანტები, მოსამართლეები ან ნიკა გვარამია დამნაშავეები, არამედ პრობლემად აღიქმება ის, რომ საქართველოს მიმართ კითხვის ნიშნები ისმის ამ საკითხებთან მიმართებაში და ბევრის აზრით, სწორედ ამის გამო მოხდა ის, რომ ევროკავშირმა კანდიდატის სტატუსი არ მოგვანიჭა.

ცალკე თემაა ოპოზიციის დამოკიდებულება და მუდმივი კრიტიკა ხელისუფლების მიმართ. გასაგებია, რომ ეს შესაძლოა, მათი პირდაპირი მოვალეობაც კი იყოს, მაგრამ შთაბეჭდილება იქმნება, რომ მათ საერთოდ არ აღეგებთ საქართველოს მომავალი და არ შედის მათ ინტერესებში 12 რეკომენდაციაში მოცემული პუნქტი იმის შესახებ, რომ საქართველომ უნდა უზრუნველყოს პოლიტიკული პოლარიზაციის აღმოფხვრა, რაც, რა თქმა უნდა, ოპოზიციის პირდაპირი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. მათ შეუძლიათ, რომ საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედონ და თუნდაც „უკან დაიხიონ“ ზოგიერთ საკითხებში, რათა საქართველოს ხელი არ შეეშალოს ევროპისკენ მიმავალ გზაზე. საქართველოს არ აქვს იმის ფუფუნება, რომ დრო დაკარგოს შიდა დაპირისპირებებში და ამან ძალიან შეანელოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი.

ზოგადად, საზოგადოებასაც ესაჭიროება საკუთარი ქვეყნის შეცვლა. კერძოდ ერთმანეთის მიმართ პატივისცემის გამოვლენა, მოსმენა და წესრიგის დაცვა ის აუცილებელი ინდივიდუალური უნარებია, რაც უნდა გააჩნდეს აბსოლუტურ უმრავლესობას. ყველა ინდივიდმა უნდა გაითავისოს ის, რომ მისი ოჯახი კარის ზღურბლთან არ მთავრდება და მის იქითაც მისი ოჯახია. ერთმანეთისთვის ოჯახის წევრები ვართ ჩვენ ყველანი და ერთის ამბავი თანაბრად გვეხება ყველას და რომ ერთის პრობლემა ყველას პრობლემაა. ამის გაკეთებით ევროკავშირის დავანახებთ, რომ ევროპისკენ სწრაფვა არამხოლოდ ფურცელზე, არამედ რეალურად გვსურს.

ევროპული პერსპექტივები. განათლების მაღალი დონე, ეკონომიკური სტაბილურობა, ადამიანთა დაცული უფლებები, ეკოლოგიურად გაუმჯობესებული გარემო პირობები, მშვიდობიანი გარემო... ეს იმ სიკეთეთა მოკლე ჩამონათვალია, რაც ევროკავშირის წევრობას შეუძლია რომ მოიტანოს. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, თუ რამდენად დადებითი გავლენა იქონია ევროკავშირში გაერთიანებამ და გაერთიანებისწინა რეფორმების განხორციელებამ ამა თუ იმ სახელმწიფოზე. ერთი კონკრეტული მაგალითი რომ მოვიყვანოთ, თუნდაც ბოლოს გაწევრიანებული ხორვატიის შესახებ, რომელიც გარკვეული პარამეტრებით ძალიან ჰგავს საქართველოს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხორვატიას, გაწევრიანებიდან 10 წლის შემდეგ აქვს \$16 000 000 000-იანი ეკონომიკური ზრდა, ხელფასების თითქმის გასამმაგება, უმუშევრობის დონის 65%-ით შემცირება, ექსპორტისა და იმპორტის გაორმაგება, ტურისტული სექტორის აღზევება. და ეს იმის ფონზე, რომ ქვეყანამ ევროს გამოყენება 2023 წელს დაიწყო და შენგენის ზონაშიც სულ ახლახან შევიდა.⁵

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირში გაწევრიანებას კომპლექსური მიდგომა სჭირდება. ყველამ ყველა დონეზე, როგორც სახელმწიფომ, ისე თითოეულმა ინდივიდმა უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ევროპამ უფრო მეტად დაგვინახოს, როგორც ევროპაში გაწევრიანებისათვის რეალურად მონდომებული ვართ. ამოსავალი და სახელმძღვანელო წერტილი კი, რა თქმა უნდა, ეროვნული ინტერესები უნდა იყოს და ყოველთვის პიროვნულ ინტერესებზე მაღლა უნდა იდგეს ისინი.

გამოყენებული ლიტერატურა

ჟორდანია ნოე: გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს და მის ევროპასთან დაკავშირებას! Civil Georgia 11.03.2023

დამბაშიძე თამარა. 9 აპრილი: ტრაგედიის ქრონოლოგია 09.04.2016

საქართველო და ევროკავშირი (საქართველო და ევროკავშირი, საინფორმაციო ცენტრი. 11.03.2023

გვინდაძე სანდრო. ევროკომისიის 12 მოთხოვნა მოკლედ - რა უნდა გააკეთოს საქართველომ, EU-ს კანდიდატის სტატუსის მისაღებად 17.06.2022

თოლორდავა გიორგი. რა შედეგები მოუტანა EU-ში ყოფნამ ხორვატიას ათ წელიწადში? 11.03.2023

⁵ <https://bm.ge/ka/article/ra-shedegebi-moutana-eu-shi-yofnam-xorvatias-at-weliwadshi/128998>

გზა ევროპისკენ - ქართველი ხალხის გაცნობიერებული არჩევანი

მასტერ-სერჟანტი დავით მოსიავა

აბსტრაქტი

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირში გაწევრიანებას საქართველოს მოსახლეობის 80% უჭერს მხარს. უფრო მეტიც, საქართველოს მოსახლეობის 88% ფიქრობს, რომ საქართველო უნდა გახდეს ევროკავშირის წევრი. თუ როგორ უნდა გახდეს ქვეყანა ევროკავშირის წევრი, რა ფაქტორებზეა დამოკიდებული კიდევ უფრო მჭიდრო ინტეგრაცია ევროკავშირთან, ამაზე წარმოდგენა ფართო საზოგადოებაში, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანია როგორც საქართველო და მისი მომავალი ევროპაში. როგორც 2012 1 მარტის „ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის“ ჩანაწერებიდანაც ვეცნობით, მიუხედავად მწირი ინფორმაციისა, თუ საკითხის არანაკლები გაცნობიერებისა, ვფიქრობ, ქართველი ერისათვის აქტუალურია ევროპელობის აღქმის და სრულფასოვნების შეგრძნების გაჩენა, რადგან ჩვენ, ქართველები, მოწოდებით, შეგნებით და ფასეულობებით, ვართ ევროპელები.

ჩვენი არჩევანი, გავხდეთ ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი, განპირობებულია უამრავი ფაქტორით. უპირველეს ყოვლისა, ევროპა ეს არის ადამიანური ღირებულებების და თავისუფლების სიმბოლო. სწორედ რომ ჩვენ, ქართველებს, ალბათ ყველაზე მკაფიოდ გვესმის თავისუფლების, უსაზღვრო ფასი. რადგან სოციალისტური და კომუნისტური რეჟიმის დაახლოებით 70 წლის მანძილზე, ჩვენს მენტალიტეტს შეუსუსტდა ან სულაც გამოეცალა თავისუფლებისაკენ სწრაფვის სურვილი. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ჩვენს ირგვლივ ყოველთვის მოიძებნებოდნენ ისეთი ადამიანები, ვინც არ ეგუებოდნენ მოცემულ გარემოებას და ცდილობდნენ მის შეცვლას. ცვლილებები ყოველთვის ბადებდა შანსს, რომელსაც ჩავეჭიდეთ და ხელი არ გავუშვით მთელმა ქართულმა საზოგადოებამ და მოვიპოვეთ ნანატრი დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობის შემდეგ კი მძლავრობს სურვილი და მისწრაფება ისეთი საზოგადოების წევრობისაკენ, სადაც სუბიექტები ერთმანეთს პატივს სცემენ და არ განიკითხავენ მათ. სწორედ ასეთ საზოგადოებად გვესახება დღეს ევროპა. საქართველო, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ერთგვარ საზღვარს წარმოადგენს ევროპასა და აზიას შორის. ის არის გზაგასაყარი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი და სტრატეგიული ადგილი. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა უხსოვარი დროიდან ევროპელების ინტერესი ჩვენი ქვეყნის მიმართ, და ეს მოცემულობა დღესაც უცვლელია.

საკვანძო სიტყვები:

საქართველო, ევროპა, დამოუკიდებლობა, სწრაფვა, არჩევანი.

The Road to Europe - Challenges, Approaches, and New Perspectives

Master Sergeant Davit Mosiava

Abstract

It must be mentioned that 80% of the Georgian population supports joining the European Union. Moreover, 88% of the population of Georgia thinks that Georgia should become a member of the European Union. The general public's perception of how the country should become a member of the European Union, what factors depend on even closer integration with the European Union, etc. is vague to say the least, like Georgia and its future in Europe. Despite the lack of information or less understanding of the issue, as the records of March 1, 2012, of the "Heinrich Boell Foundation" demonstrate, I think it is important for the Georgian nation to develop the perception of Europeanness and the feeling of perfection because we, Georgians, are Europeans by calling, consciousness and values.

Our choice to become a full-fledged member of the European family is due to many factors. First of all, Europe is a symbol of human values and freedom. We, Georgians, probably understand the limitless price of freedom the most clearly. Our mentality has weakened or at least lost the desire to strive for freedom since we had to live in the socialist and communist regime for about 70 years. However, it is worth noting that there were always people around us who did not adapt to the given situation and tried to change it. Changes always gave rise to a chance that the entire Georgian society has seized and has not let go of and gained the long-awaited independence. After gaining independence, the desire and aspiration to be a member of a society where people respect and do not judge each other, grows stronger. Today, Europe looks like such a society. Georgia, from a geopolitical point of view, represents a kind of border between Europe and Asia. It is a crossroad as well as an important and strategic place. This is the very situation that has determined the interest of Europeans in our country since time immemorial, and this fact remains unchanged today.

Keywords:

Georgia, Europe, independence, aspiration, choice.

შესავალი

რა არის ევროპა ჩვენთვის? ვროპა თავისუფლებაზე, ჰუმანურობაზე და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული თანაცხოვრების წესია. ეს კი ის არსებითი თვისებებია, რაც ქართულ საზოგადოებას და ქართველ ხალხს ისტორიულად ახასიათებდა. საქართველო დასაბამიდან მიიჩნეოდა ევროპული ცივილიზაციის წევრად. აღნიშნულს ბევრი ისტორიული თუ სამეცნიერო ფაქტი ადასტურებს და ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ ევროპა ქართველი ხალხის არჩევანია. თითოეულმა ქართველმა, პირველ რიგში, ევროპა საკუთარ თავში, ყოველდღიურ ყოფაში უნდა დავამკვიდროთ და ამ შემთხვევაში ევროკავშირის ოფიციალურად წევრად ქცევა ფორმალურობა იქნება. ევროპისაკენ მიმავალი რთული გზა ყოველთვის იყო ქართველთა ისტორიული ორიენტირი, რადგან ჩვენი კულტურა თავისი არსით იყო ევროპული ფესვებიდან აღმოცენებული და მასზე გაზრდილი.

ძირითადი ნაწილი

გზა ევროპისკენ- ეს არის ქართველი ხალხის ღირებულებებითი არჩევანი. ჯერ კიდევ 102 წლის წინ, ნოე ჟორდანიამ დამფუძნებელ კრებაზე დაუვიწყარი და ისტორიული სიტყვები წარმოთქვა: „ბატონებო!.. გვაქვს საფუძველი სიამაყისა. მოხდა იშვიათი ამბავი. მთელმა ევროპამ, განურჩევლად პარტიისა და კლასისა, ერთხმად გვითხრა; კეთილი იყოს შენი დაბადება, კეთილი იყოს შენი მოზრმანება! და ჩვენ გვმართებს ეს ერთსულოვანი კურთხევა გავამართლოთ საქმით, გავხდეთ ნამდვილი ევროპელები. და ამას გავამართლებთ, თუ ჩვენ შემდეგშიც ვაწარმოებთ იმ პოლიტიკას, რომელსაც ვაწარმოებდით დღემდე. თუ ჩვენ არ გადავცდებით იმ გზას, რომელზედაც ვიდოდით დღევანდლამდის“.¹ სწორედ რომ ამ რთულ გზაზე მიმავალ საქართველოს, არაერთი ხელოვნური თუ გეოპოლიტიკური ბარიერი გვეღობებოდა, ასევე მუდმივად გვიჭირდა ფოკუსირება და კონცენტრაცია. თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ნაბიჯ-ნაბიჯ და მწყობრად მივისწრაფვით ევროპისა და მის სტრუქტურებში გაწევრიანებისკენ. საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნებისთვის, ასეთი კავშირის წევრობა, არის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და სტაბილურობის ერთადერთი გარანტი. ეს არის ადგილი, სადაც ყველა ერთნაირად ინაწილებს პასუხისმგებლობას და მიღებულ სარგებელს. ევროპული ღირებულებები ეფუძნება კონფლიქტებისაგან თავის არიდებას, ფასილიტაციას, კონფლიქტის მოგვარებას, მოლაპარაკებებს, ერთმანეთის აზრის მიღებასა და გაზიარებას, ყველა სუბიექტს შორის ურთიერთპატივისცემას. ეს არის ერთობა, სადაც ერთხმად ხდება ნებისმიერ საკითხზე შეთანხმების მიღწევა.

საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების გზაზე, არაერთი ქმედითი ნაბიჯი იქნა გადადგმული და მოხდა ისეთი საკითხების დაახლოება, რაც ფუნქციონალურად მნიშვნელოვანია გაწევრიანების თვალსაზრისით. 1997 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, სადაც ასახულია გარემოება, რომ ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება რომელიც მოხდება პარლამენტში, თანხვედრაში უნდა იყოს ევროპულ კონსტიტუციასთან.² საკითხისადმი აღნიშნულმა მიდგომამ და ევროპისაკენ მისწრაფებამ საფუძველი ჩაუყარა ევროპის დაიტერესებას ისეთი პატარა ქვეყნით, როგორც საქართველოა. 2014 წელს მოხდა ისტორიული ხელშეკრულების გაფორმება „ასოცირების შესახებ შეთანხმება“, რაც გულისხმობს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცეს, საქართველოსა და ევროკავშირის შორის სავიზო მიმოსვლის გამარტივებას და სხვა უამრავ საკითხს.³

ევროპულ სივრცეში გაწევრიანების რთულ გზაზე, საქართველოს ვალდებულება აქვს ადებული, გაატაროს ისეთი ფართო და ყოვლისმომცველი რეფორმები, როგორცაა: თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფეროში, მართლმსაჯულების, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებათა დაცვის, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, სიტყვის თავისუფლებისა და მედია პლურალიზმის მიმართულებით. არსებული რეფორმების გატარება საქართველოს მისცემს შესაძლებლობას სწრაფად ინტეგრირდეს ევროპულ ოჯახში. თუმცა, აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზემოთ აღნიშნული რეფორმების გატარებას, ყველა არსებული ინდიკატორების ათვისების მიზნით, სჭირდება საკმარისად დრო და ხანგრძლივობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქცენტი გაკეთდეს გატარებული რეფორმის მდგრადობასა და ხარისხზე და არა მისი დაჩქარებული წესით მიღებაზე.

ევროპული პერსპექტივის ჭრილში, საქართველოს მომავლის საკეთილდღეოდ, შესაძლებელია განხილულ იქნას არაერთი საკითხი. თუმცა, რიგი ავტორების მოსაზრებით განათლება ის ახალი პერსპექტივაა, რაც შესაძლებელია ევროპამ მისცეს ისეთ პატარა ქვეყანას, როგორც საქართველოა. სწორედ რომ განათლებას ერთ-ერთი უმთავრესი ქვაკუთხედი იმ ღირებულებებისა, რასაც ევროპა ქადაგებს არაერთი საუკუნეა. საქართველოში განათლების სტანდარტი თანხვედრაში უნდა მოვიდეს ევროკავშირის უმაღლესი განათლების მოდელთან. ასევე მიზანშეწონილია ამ სტანდარტებმა განიცადოს

1 CSO Georgia 2022, <https://csogeorgia.org/ge>

2 საქართველო და ევროკავშირი, განვითარებისა და რეფორმების კვლადაკვალ, გვ.70.

3 იქვე, გვ.97.

მოდერნიზაცია და ტრანსფორმაცია. ამ ყველაფრის შესაბამისად მოსალოდნელია, რომ გაიზრდება ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა სტუდენტებისთვის, ევროპული სასტიპენდიო და გაცვლითი პროგრამებში მონაწილეობის გზით, რაც ასევე ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრირებას საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში.

დასკვნა

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, გზა ევროპისკენ ეს არის ქართველი ხალხის ღირებულებითი არჩევანი. წინამდებარე სტატიით მინდოდა გვეჩვენებინა, თუ რა არის ევროპა ჩვენთვის. ევროკავშირის მიზანია მსოფლიოს ხალხებისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში მშვიდობის შენარჩუნება, ყველა იმ სახელმწიფოს და ადამიანისათვის, ვისაც ამის სურვილი აქვს, შესაძლებლობის მიცემა გაწევრიანდეს ევროკავშირში. ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ გვინდა, რომ ევროკავშირი ჩვენს გვერდით და ჩვენთან იყოს. ბუნებრივია, დღეს არსებული განწყობა უნდა შეიცვალოს. საკითხს, თუ რა ევროპული მომავალი აქვს საქართველოს, დღესაც დიდი ინტერესით შეისწავლიან ქართველი და უცხოელი მკვლევარები. საქართველო ევროკავშირისთვის ჯერ კიდევ პრობლემურ შემთხვევას წარმოადგენს. ეს უნდა მოხდეს სამოქალაქო საზოგადოების აზროვნების ერთგვარი ტრანსფორმირებით. მართლაც შთამბეჭქდავი და ძალიან სასიამოვნო იყო იმის გაგონება, რომ 80%-ზე მეტი ქართველებისა მხარს დაუჭერდა ევროკავშირში გაწევრიანებას. ისიც, ვინც დღეს ასე არ ფიქრობს, რაღაც მომენტში მივა იმ აზრამდე, რომ ეს ყველასთვის მნიშვნელოვანია.

გამოყენებული ლიტერატურა

CSO Georgia 2022, <https://csogeorgia.org/ge>
<https://ge.boell.org/ka/2012/03/01/sakartvelo-da-misi-momavali-evropashi>
http://ge.boell.org/sites/default/files/2019-11/Georgias_future_in_Europe_Ge.pdf
http://cdd.ge/uploads/files/2020-09/1599662942_saqarthvelo-da-evrokavshiri-ganvitharebisa-da-reformebis-kvaldakval-2016-1-compressed-1.pdf
საქართველო და ევროკავშირი განვითარებისა და რეფორმების კვალდაკვალ, 2016, გვ.164, http://cdd.ge/uploads/files/2020-09/1599662942_saqarthvelo-da-evrokavshiri-ganvitharebisa-da-reformebis-kvaldakval-2016-1-compressed-1.pdf

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები: ისტორია და თანამედროვე გამოწვევები

უფროსი სერჟანტი დიმიტრი ბალამწარაშვილი

აბსტრაქტი

სტატიის მიზანია მკითხველს მიაწოდოს მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაცია საქართველო-ევროპის ისტორიული კავშირების შესახებ. ავტორი აღწერს და მოგვითხრობს თავისი ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაზე, თუ როგორია საქართველოს გზა ევროპისკენ, რა გამოწვევების წინაშე დგას ქვეყანა, მიდგომები საგარეო პოლიტიკასა და ევროპასთან, ახალი პერსპექტივები. ამასთან ერთად, საზოგადოებაში ხშირად ისმის კითხვები თუ რა არის ევროპა, ასევე არსებობს მრავალი სხვადასხვა მოსაზრება ევროპასთან დაკავშირებით. ავტორი შესავალ ნაწილში აღწერს და აწვდის ინფორმაციას მკითხველს ევროპის შესახებ. ისტორიულად, საქართველო ყოველთვის იყო ევროპის ნაწილი. ჯერ კიდევ მე-4 საუკუნის დასაწყისში მიიღო ჩვენი ქვეყანამ ქრისტიანობა, რითაც დაუკავშირდა ევროპულ ცივილიზაციას. ჩვენი მთელი ისტორიის მანძილზე აღმოსავლური ისლამური ქვეყნებით გარშემორტყმული საქართველო თავდაუზოგავად იბრძოდა გადარჩენისთვის. მან არ დათმო ქრისტიანული სარწმუნოება და სწორედ ევროპული გზა მიაჩნდა გადარჩენის ერთადერთ იმედად. როგორც კი საქართველომ 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაშინვე საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი დასავლეთ ევროპასთან დაახლოება გახდა. საქართველო ყველაფერს აკეთებდა, რათა ახლად შექმნილ ერთა ლიგას ის მიეღო თავის შემადგენლობაში, მაგრამ სამწუხაროდ, გარკვეული პოლიტიკური მიზეზების გამო, მაშინ ეს ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, ამ ფაქტმა ხელ-ფეხი გაუხსნა რუსეთს, რათა მოეხდინა ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია და ანექსია 1921 წელს. მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში ევროპასთან ურთიერთობები შეწყვეტილი იყო. მხოლოდ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო ამ ურთიერთობებმა გააქტიურებმა. ამჟამად ეს ურთიერთობები საკმაოდ მაღალ ნიშნულზე არიან. საქართველო აქტიურად არის ჩართული ევროკავშირის თითქმის ყველა პროექტში, რომელიც მიზნად ისახავს ქართულ საზოგადოებაში ევროპული ღირებულებების დამკვიდრებას, ადამიანის უფლებების დაცვას, გენდერულ თანასწორობასა და ა.შ. საქართველო გახდა ევროსაბჭოს წევრი და მისი მაღალი ტრიბუნლიდან ხშირად გვესმის ჩვენი მხარდამჭერი განცხადებები. რუსეთის მიერ მცოცავი ოკუპაციის განხორციელების მიუხედავად, არასოდეს ყოფილა საქართველოსა და ევროპის ურთიერთობები ისე ახლოს, როგორც დღეს. ჩვენ მივიღეთ ევროპული პერსპექტივა, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები:

ევროპა, უსაფრთხოება, საქართველო, დამოუკიდებლობა, ევროკავშირი, რუსეთი, ვიზალიბერალიზაცია.

Georgia-EU Relations: History and Modern Challenges

Senior Sergeant Dimitri Balamtsarashvili

Abstract

The article aims to provide the reader with important and interesting information about the historical ties between Georgia and Europe. The paper describes and speaks about the progress and development of the country, Georgia's road to Europe, challenges the country is facing, approaches to foreign policy and Europe, and new perspectives. At the same time, the public often asks questions about what Europe is, and there are certainly many different opinions about this question. In the introductory part, the author describes and provides information to the reader about Europe. Historically, Georgia has always been a part of Europe. Even at the beginning of the 4th century, our country adopted Christianity, thereby connecting with European civilization. Throughout our history, Georgia, surrounded by eastern Islamic countries, fought fiercely for survival. The country did not give up Christian faith and believed that the European way was the only hope for salvation. As soon as Georgia declared its independence on May 26, 1918, rapprochement with Western Europe immediately became the priority of foreign policy. Georgia was doing its best to be accepted into the newly created League of Nations but unfortunately, due to some political reasons, it was not possible at that moment. Instead, this fact opened the way for Russia to occupy and annex our country in 1921. During the entire Soviet period, relations with Europe were broken. These relations started to become active only in the 90s of the last century. Currently, the relations are at a fairly high level. Georgia is actively involved in almost all EU projects designed for establishing European values in Georgian society, protecting human rights, gender equality, etc. Georgia has become a member of the European Council, and we often hear supporting statements from its high platform. Despite the creeping occupation by Russia, relations between Georgia and Europe have never been closer than today. We have adopted a European perspective that is an important prerequisite for granting EU membership candidate status.

Keywords:

Europe, security, Georgia, independence, European Union, Russia, visa liberalization.

შესავალი

ევროპა არის სივრცე, სადაც ყველაზე დიდი ღირებულება ადამიანია, იცავენ მის უფლებებს, პატივსცემით ეპყრობიან სხვის აზრებს, ასევე კანონმდებლობა ჰუმანიზმზე და თავისუფლებაზე დაფუძნებული. ევროპის მიზნები და გეგმები მთლიანად ურთიერთპატივისცემას ეფუძნება. ევროპა არის ორი მთავარი ღირებულების-ცივილიზაციისა და თავისუფლების საყრდენი ცენტრი და ასევე საქართველოს სახლი. ევროპა ქართველებისთვის არის ადვილად შესაგუებელი სივრცე და ჩვენ მარტივად შეგვიძლია იქ თავის დამკვიდრება, რადგან ქართველებს და ევროპას ზუსტად ერთნაირად გვესმის თავისუფლების ფასი. ევროპელები და ქართველები ზუსტად ერთნაირად უფრთხილდებიან ოჯახსა და პირად ღირსებას, ერთნაირად შეუძლიათ გვერდში დგომა, ერთნაირი ღირებულებით ფასდება ვაჟკაცობა და სიმამაცე, ერთნაირად შეუძლიათ ქართველებს და ევროპელებს თავდადება ქვეყნისთვის, საერთო საქმისთვის. ქართველებს ეს თვისებები გენეტიკურად ახასიათებთ, რაც მნიშვნელოვანია ევროპისთვის¹

ძირითადი ნაწილი

ქართველები ერთ-ერთ უძველეს ერად ითვლება მსოფლიოში თავისი განსაკუთრებული თვისებებით და სწორედ ამ თვისებებმა მოიყვანა დღევანდელ დღემდე. რა თქმა უნდა კიდევ ბევრ საუკუნეს მიითვლის ეს ქვეყანა. საქართველოს აქვს მრავალსაუკუნოვანი ისტორია, IV საუკუნეში საქართველომ მიიღო ქრისტიანობა და გახდა ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული ქვეყანა მსოფლიოში. საქართველო თავისი ისტორიის მანძილზე მჭიდრო კავშირებს ინარჩუნებდა ევროპასთან, განსაკუთრებით ბიზანტიის იმპერიასთან და მოგვიანებით რუსეთთან. შუა საუკუნეებში საქართველო მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო ევროპასა და აზიას შორის, მის ტერიტორიაზე გადიოდა ცნობილი აბრეშუმის გზა. მე-11 და მე-12 საუკუნეებში საქართველომ განიცადა კულტურული და ლიტერატურული აღორძინების პერიოდი, რომელიც ცნობილია როგორც ქართული რენესანსი, რომელიც ბიზანტიის იმპერიისა და სხვა ევროპული ძალების გავლენის ქვეშ იყო. თუმცა საქართველოს ურთიერთობა ევროპასთან ყოველთვის მშვიდობიანი არ ყოფილა. XVI საუკუნეში საქართველოში შემოიჭრა ოსმალეთის იმპერია, რომელიც ქვეყანას სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მართავდა. ამ პერიოდის განმავლობაში საქართველომ დიდი ზეწოლა განიცადა ოსმალეთის მმართველობის მიერ, მოსახლეობის ნაწილი იძულებული გახდა ისლამი მიეღო ან დაეტოვებინა ქვეყანა. მე-19 საუკუნეში საქართველო გახდა რუსეთის იმპერიის ნაწილი და დარჩა 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, რუსეთის კონტროლის ქვეშ. ამ პერიოდში საქართველოს ურთიერთობა ევროპასთან დაიძაბა, ქვეყანა, დიდწილად, იზოლირებული იყო დანარჩენი კონტინენტისგან. 1991 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველო მუშაობდა ევროპასთან უფრო მჭიდრო კავშირების დამყარებაზე.² საქართველო პატარა, მაგრამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიაზეა განლაგებული, რომელიც სამხრეთ კავკასიაში მდებარეობს. ქვეყანამ დაიწყო ტრანსფორმაციული წინსვლა ევროპული ინტეგრაციისკენ, რამაც ხელი შეუწყო ქვეყანას ევროპული გზის ჩამოყალიბებაში, ისევე როგორც მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. საქართველოსადმი ევროპის გამოწვევის ნიშნად შეიძლება აღინიშნოს 2004 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) დაწყება, რომელიც მიზნად ისახავდა ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში საქართველომ უზრუნველყო, რათა მისი პოლიტიკა და კანონმდებლობა შესაბამისობაში მოსულიყო ევროპულ სტანდარტებთან, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობასთან. ეს იყო ნიშანი საქართველოს მისწრაფებებისა ევროპულ ოჯახში ინტეგრაციისკენ. გარდა ამისა, აღმოსავლეთ პარტნიორობა (EaP), რომელიც დაიწყო 2009 წელს, მნიშვნელოვანი ეტაპი იყო საქართველოს ევროპასთან ურთიერთობაში. EaP მიზნად ისახავდა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური თანამშრომლობის გაღრმავებას ევროკავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ექვს ქვეყანასთან, მათ შორის საქართველოსთან. EaP-ის მეშვეობით საქართველომ მიიღო მოწვევა ევროკავშირთან უფრო მჭიდრო კავშირების დასამყარებლად, რამაც საფუძველი ჩაუყარა ეტაპობრივი ინტეგრაციის პროცესს. 2014 წელს ქვეყანამ ხელი მოაწერა ასოცირების ხელშეკრულებას ევროკავშირთან, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას. ასოცირების შეთანხმება მოიცავს დებულებებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, ასევე თანამშრომლობას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ენერჯეტიკა, ტრანსპორტი და გარემო. იგი ასევე მოიცავს დებულებებს საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წელს. ასოცირების შეთანხმების გარდა, საქართველო ასევე მონაწილეობდა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში, რომელიც მიზნად ისახავს გააძლიეროს კავშირები ევროკავშირსა და მის ექვს აღმოსავლელ მეზობელს შორის, როგორებიცაა: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, მოლდოვა და უკრაინა. აღმოსავლეთ პარტნიორობის მეშვეობით საქართველომ მიიღო ევროკავშირის მხარდაჭერა ისეთ სფეროებში, როგორიცაა დემოკრატია

¹ https://www.eeas.europa.eu/georgia/evrokavshiri-da-sakartvelo_ka?s=221

² <https://mfa.gov.ge/european-union/903144-saqartvelo-evrokavshiris-urtiertobebis-mnishvnelovani-movlenebis-qronologia>

და ადამიანის უფლებები, ეკონომიკური განვითარება და ენერგეტიკული უსაფრთხოება.³

საქართველოსადმი ევროპისგან მოწვევებს ჰქონდა ღრმა პოლიტიკური გავლენა, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი რეფორმები ქვეყანაში. ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, საქართველომ დაიწყო ამბიციური რეფორმების დღის წესრიგი, რომელიც მოიცავდა მმართველობის, ადამიანის უფლებების და სასამართლო სისტემის სხვადასხვა ასპექტს.

ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო დემოკრატიული რეფორმები. საქართველო მუშაობდა დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების, საარჩევნო პროცესების გაუმჯობესებისა და გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერების მიმართულებით. გაკეთდა ძალისხმევა კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად. ეს რეფორმები არა მხოლოდ მიზნად ისახავს ევროპული სტანდარტების დაკმაყოფილებას, არამედ ქართული დემოკრატიის სტაბილურობის გაძლიერებას. გარდა ამისა, მიწვევებმა ხელი შეუწყო პოლიტიკურ დიალოგს და ჩართულობას საქართველოსა და ევროკავშირს შორის. მაღალი დონის რეგულარული შეხვედრები, კონსულტაციები და ფორუმები უზრუნველყოფდა იდეების გაცვლის, გამოცდილების გაზიარებისა და საერთო გამოწვევების გადაჭრის პლატფორმას. ევროპულ ღირებულებებთან დაახლოების პროცესმა საქართველოში პოლიტიკური აქტორები წახალისა. მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული პროგრესისა, საქართველო კვლავ დგას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე ევროპასთან ურთიერთობაში. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის რუსეთთან მიმდინარე კონფლიქტი სეპარატისტული რეგიონების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამო. რუსეთი ამ რეგიონებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებს, საქართველო კი მათ თავისი სუვერენული ტერიტორიის ნაწილად მიიჩნევს. კონფლიქტმა გამოიწვია საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობა და შეაფერხა საქართველოს ძალისხმევა ევროპასთან უფრო მჭიდრო კავშირების დამყარებისთვის. კიდევ ერთი გამოწვევა საქართველოსთვის არის კორუფცია, რომელიც კვლავ რჩება ქვეყანაში მნიშვნელოვან პრობლემად. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ბოლო წლებში მიაღწია პროგრესს კორუფციასთან ბრძოლაში, ის მაინც აგრძელებს ამ ბრძოლას და სათანადო ადგილს იკავებს საერთაშორისო რეიტინგებში. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, საქართველოსთვის ასევე მნიშვნელოვანია სხვა შესაძლებლობებიც ევროპასთან ურთიერთობაში. ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობა ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე აქცევს მას ვაჭრობისა და ტრანსპორტის მნიშვნელოვან ცენტრად, ხოლო მისი მზარდი ეკონომიკა სთავაზობს შესაძლებლობებს ევროპულ კომპანიებს, რომლებიც ცდილობენ ახალ ბაზრებზე გაფართოებას. საქართველოს ასევე ჰყავს მაღალგანათლებული სამუშაო ძალა და აქტიურად აგრძელებს ამ მხრივ თანამშრომლობას ევროპულ ქვეყნებთან, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის. საქართველოს ევროპულმა მიდგომებმა ასევე გაუხსნა გზა ეკონომიკურ ინტეგრაციას და მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება მოახდინა ქვეყნის ეკონომიკაზე. ვინაიდან საქართველო ცდილობდა შეეთავსებინა თავისი ეკონომიკური პოლიტიკა და რეგულაციები ევროკავშირის სტანდარტებთან, ის მიზნად ისახავდა კონკურენტუნარიანობის გაზრდას და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ევროკავშირთან რეგულაციებისა და სტანდარტების ჰარმონიზაციის პროცესმა ხელი შეუწყო ქართული პროდუქტებისა და სერვისების ბაზარზე წვდომას. ამან გახსნა ახალი შესაძლებლობები ვაჭრობისთვის, რამაც საქართველოს შესაძლებლობა მისცა განახორციელოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია და შეამციროს დამოკიდებულება რამდენიმე ქვეყანაზე. ევროკავშირთან გაძლიერებულმა ეკონომიკურმა თანამშრომლობამ ხელი შეუწყო სამუშაო ადგილების შექმნას, ასევე ცოდნისა და ტექნოლოგიების ამაღლებას.⁴ უფრო მეტიც, ამ მიდგომებმა წახალისა ეკონომიკური რეფორმები. საქართველომ ყურადღება გაამახვილა ბიზნესკლიმატის გაუმჯობესებაზე, ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივებასა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის გაძლიერებაზე. ამ ზომებმა მიიპყრო უცხოელი ინვესტორების ყურადღება და ხელი შეუწყო მეწარმეობას, რაც განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას და კეთილ—დღეობას. რაც შეეხება ევროინტეგრაციას, ამ პოლიტიკამ საქართველოში მნიშვნელოვანი სოციალური პერსპექტივები და ცვლილებები გამოიწვია. აღნიშნულმა პროცესმა ხელი შეუწყო კულტურულ გაცვლას, გააფართოვა ჰორიზონტები და ხელი შეუწყო ქართველებში გლობალური მოქალაქეობის გრძობას. საგანმანათლებლო და გაცვლითი პროგრამების საშუალებით ქართველ სტუდენტებსა და პროფესიონალებს საშუალება მიეცათ ისწავლონ, იმუშაონ და იმოგზაურონ ევროკავშირში. სხვადასხვა კულტურის, იდეებისა და პერსპექტივების ამ ზემოქმედებამ გააფართოვა მათი ჰორიზონტი და ხელი შეუწყო საზოგადოების განვითარებას. ევროინტეგრაციამ ასევე ხელი შეუწყო გენდერულ თანასწორობას და ქალთა უფლებების გაძლიერებას. პროცესმა ხაზი გაუსვა ინკლუზიურობის და მრავალფეროვნების მნიშვნელობას, წახალისა ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში და ლიდერის პოზიციებზე დაწინაურებაში. გაჩნდა ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები და მოძრაობები, რომლებიც მხარს უჭერენ გენდერულ თანასწორობას და აპროტესტებენ ტრადიციულ გენდერულ

³ https://www.eeas.europa.eu/node/19772_ka

⁴ <https://gip.ge/wp-content/uploads/2020/10/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-5-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A9%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94.pdf>

როლებს. გარდა ამისა, ევროპულმა ინტეგრაციამ შესაძლებლობა მისცა ქართულ საზოგადოებას ჩაერთოს დისკუსიებში ადამიანის უფლებების, სოციალური სამართლიანობისა და უმცირესობების უფლებებზე. პროცესმა გამოიწვია სოციალური ნორმების გადაფასება, სხვადასხვა იდენტობებისა და პერსპექტივების მიღების წახალისება.⁵

დასკვნა

საქართველოს გზამ ევროპისკენ განაპირობა ახალი პერსპექტივების გაჩენა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში. ევროპულმა ინტეგრაციამ ხელი შეუწყო პლურალიზმს, ინკლუზიურობას და დემოკრატიულ ღირებულებებს, ჩამოაყალიბა პოლიტიკური ლანდშაფტი და ხელი შეუწყო სამოქალაქო ჩართულობას. მან წახალისა ეკონომიკური რეფორმები, დივერსიფიკაცია და მდგრადი განვითარება, გარდაქმნა საქართველოს ეკონომიკური პერსპექტივები. გარდა ამისა, ევროპულმა ინტეგრაციამ გააფართოვა ჰორიზონტები, ხელი შეუწყო კულტურულ გაცვლას და ხელი შეუწყო ქართველებში გლობალური მოქალაქეობის გრძნობას, რამაც გამოიწვია სოციალური ტრანსფორმაციები. საქართველოში განვითარებადი პერსპექტივები ასახავს ქვეყნის სწრაფვას უფრო ღია, ინკლუზიური და აყვავებული საზოგადოებისკენ. როდესაც საქართველო აგრძელებს გზას ევროპისკენ, მან უნდა გაითავისოს ეს ახალი პერსპექტივები, გამოიყენოს ისინი გამოწვევების გადასაჭრელად, გამძლეობის შესაქმნელად და მისი მომავლის, როგორც ევროპული პროექტის აქტიური მონაწილეს ჩამოსაყალიბებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

მირზაშვილი მიხეილ, ჩხიკვაძე ივანე. გზამკვლევი, ევროკავშირი და საქართველო. 2014 წელი.
გოგოლაშვილი კახა, სერგი კაპანაძე. ევროკავშირი და საქართველო: მიმდინარე საკითხები და მომავლის
ოერსპექტივები. 2009 წელი.
ბიბიგური ნინო. გზამკვლევი, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ. 2019 წელი.
https://www.eeas.europa.eu/georgia/evrokavshiri-da-sakartvelo_ka?s=221
<https://mfa.gov.ge/european-union/903144-saqartvelo-evrokavshiris-urtiertobebis-mnishvnelovani-movlen-ebis-qronologia>
https://www.eeas.europa.eu/node/19772_ka
<https://www.tsu.ge/ka/news/%E2%80%9CThe-EU%E2%80%99s-Relations-with-Its-Eastern-Neighborhood%E2%80%9D->

⁵ <https://www.tsu.ge/ka/news/%E2%80%9CThe-EU%E2%80%99s-Relations-with-Its-Eastern-Neighborhood%E2%80%9D->

გზა ევროპისკენ და საქართველო

უფროსი სერჟანტი ვალერიან აბელაშვილი

აბსტრაქტი

ევროპული დროშა არამარტო ევროკავშირის, არამედ ევროპის ერთობისა და იდენტობის სიმბოლოა. ოქროსფერი ვარსკვლავების წრე წარმოადგენს ევროპის ხალხებს შორის სოლიდარობასა და ჰარმონიას, ვარსკვლავების რიცხვი ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით გამოხატავს არა ევროკავშირის წევრი ქვეყნების რაოდენობას, არამედ სრულყოფილებას, სისრულესა და ერთობას. საუკუნეების განმავლობაში, ევროპის კონტინენტმა მრავალი სისხლისმღვრელი ომი იხილა, მეორე მსოფლიო ომმა კი ევროპას არა მხოლოდ მილიონობით დაღუპული მოქალაქე, არამედ განადგურებული ეკონომიკა და მყიდვე უსაფრთხოება მოუტანა. ევროპული ინტეგრაციის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს 1950 წელი, როდესაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა, გაახმოვანა ფრანგი პოლიტიკოსის ჟან მონეს ინიციატივა - გაერთიანებულიყო დასავლეთ ევროპის ნახშირის და ფოლადის საბადოები. შედეგად, 1951 წელს შეიქმნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება. საქართველო თავს მიიჩნევს ევროპული ოჯახის წევრად და ატარებს მნიშვნელოვან რეფორმებს, რათა ევროკავშირის წევრი გახდეს. ევროკავშირი მნიშვნელოვან დახმარებას უწევს საქართველოს ამ პროცესში. საქართველო ყოველთვის ისწრაფოდა ევროპული მომავლისკენ. ეს სურვილი ყოველთვის არსებობდა და არასდროს გამქრალა. გზა ევროპისკენ და შესაძლებლობები ახალ ეტაპზე 20-ე საუკუნის ბოლოს 1991-1992 წლებში დაიწყო, მაშინ როდესაც საქართველომ დაიბრუნა დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. უნდა მოხდეს ეკონომიკის გაძლიერება, ადამიანის უფლებების დაცვა, თითოეული მოქალაქის ადამიანის კეთილდღეობა, ამ მიდგომებით საქართველო შეძლებს და მოიპოვებს დიდ მხარდაჭერას საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან. ჩვენი ევროპელი და ამერიკელი პარტნიორები აქტიურად გვეხმარებიან ევროპულ და ტრანსატლანტიკურ სტრუქტურებში გასაწევრიანებლად საჭირო რეფორმების ჩატარებში და საჭირო ძალისხმევის შედეგად საქართველო თავის მიზანს აუცილებლად მიაღწევს.

საკვანძო სიტყვები:

საქართველო, საერთაშორისო პარტნიორები, ევროპული მომავალი, ტრანსატლანტიკური სტრუქტურები, რეფორმები.

The Road to Europe and Georgia

Senior Sergeant Valerian Abelashvili

Abstract

The European flag is a symbol not only of the European Union but also of unity and identity of Europe. The circle of golden stars represents solidarity and harmony among the peoples of Europe, and the number of stars does not represent the number of EU member states but perfection, completeness and unity according to ancient Greek mythology. Over the centuries, the European continent has seen many bloody wars, and the Second World War brought Europe not only millions of dead citizens but also a devastated economy and fragile security. 1950 can be considered the beginning of European integration when the French Minister of Foreign Affairs, Robert Schuman, voiced the initiative belonging to the French politician, Jean Monnet to unite the coal and steel mines of Western Europe. As a result, the European Coal and Steel Community was created in 1951. Georgia considers itself a member of the European family and is carrying out significant reforms to become a member of the European Union. The European Union provides important assistance to Georgia in this process. Georgia has always aspired to the European future. This will has always existed and never faded. The road to Europe and opportunities at a new stage began only in 1991-1992, at the end of the 20th century, when Georgia regained its independence after the collapse of the Soviet Union. It is necessary to strengthen the economy, protect human rights, and provide human well-being of every citizen, and using these approaches, Georgia will be able and will gain great support from its international partners. Our European and American partners are actively promoting us to carry out the reforms necessary to join the European and transatlantic structures, and as a result of the implementing these efforts, Georgia will certainly achieve its goal.

Keywords:

Georgia, international partners, European future, transatlantic structures, reforms.

შესავალი

საუკუნეების განმავლობაში, ევროპის კონტინენტმა მრავალი სისხლისმღვრელი ომი იხილა, მეორე მსოფლიო ომმა კი ევროპას არა მხოლოდ მილიონობით დაღუპული მოქალაქე, არამედ განადგურებული ეკონომიკა და მყიფე უსაფრთხოება მოუტანა. ნათელი იყო, რომ ქვეყნებს შორის მშვიდობის უზრუნველყოფა მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის მეშვეობით იქნებოდა შესაძლებელი. ევროპული ინტეგრაციის იდეა პირველად დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, უინსტონ ჩერჩილმა წამოაყენა, რომელმაც 1946 წლის 19 სექტემბერს ციურხში (შვეიცარია) სიტყვით გამოსვლისას, ევროპის შეერთებული შტატების შექმნის აუცილებლობაზე ისაუბრა, თუმცა, აღნიშნულ იდეას მაშინ განვითარება არ მოჰყოლია. ევროპული ინტეგრაციის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს 1950 წელი, როდესაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა, გაახმოვანა ფრანგი პოლიტიკოსის, ჟან მონეს ინიციატივა - გაერთიანებული დასავლეთ ევროპის ნახშირის და ფოლადის საბადოები. შედეგად, 1951 წელს შეიქმნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (European Coal and Steel Community), რომელშიც შევიდა ექვსი სახელმწიფო - ბელგია, დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, იტალია და ნიდერლანდები. გადაწყდა, რომ შექმნილიყო დამოუკიდებელი სუპრაეროვნული (ზეეროვნული) ორგანო, ე.წ. „უმაღლესი ხელისუფლება“ (High Authority), რომელიც განაგებდა ამ ქვეყნებში ნახშირისა და ფოლადის წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. უმაღლესი ხელისუფლების პირველ პრეზიდენტად დაინიშნა ჟან მონე. 1953 წელს შეიქმნა რკინის, ნახშირის, მადნეულის და ჯართის საერთო ბაზარი; იმავე წელს, ცოტა მოგვიანებით, შეიქმნა ფოლადის საერთო ბაზარიც. ორი წლის შემდეგ, იტალიის ქალაქ მესინაში ექვსი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ განეგრძოთ ინტეგრაციის პროცესი (ცნობილია მესინის ინიციატივის სახელით). შეიქმნა სამთავრობათაშორისო კომიტეტი, რომელმაც მოამზადა საფუძველი რომის ხელშეკრულებისათვის, რის შედეგადაც საფუძველი დაედო „ევროპის ეკონომიკური გაერთიანებას“. რომის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ასპექტი იყო შეთანხმება საერთო ბაზრის შექმნის თაობაზე, რასაც მომავალში საბაჟო კავშირის ჩამოყალიბება უნდა მოჰყოლოდა. საერთო ბაზარი ითვისდა ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის ბარიერების გაუქმებას საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების გადაადგილების კუთხით. რომის ხელშეკრულებამ საფუძველი ჩაუყარა, აგრეთვე, საერთო სოფლის მეურნეობისა და საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის ჩამოყალიბებას. რომში ცალკე ხელშეკრულებით დაარსდა ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანება, ე.წ. „ევრატომი“, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ევროპაში ატომური ენერჯის საერთო ბაზრის შექმნა, კერძოდ: ატომური ენერჯის ინდუსტრიის განვითარება, ენერჯის გადანაწილება გაერთიანების წევრ სახელმწიფოებზე და დარჩენილი რესურსის მიყიდვა არაწევრი ქვეყნებისთვის. 1967 წელს ბრიუსელის ხელშეკრულებით მოხდა შემოხსენებული სამი ორგანიზაციის: ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანების, ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა (შემდგომში ევროგაერთიანება) და „ევრატომის“ აღმასრულებელი ორგანოების - კომისიისა (შემდგომში ევროპული კომისიის) და საბჭოს გაერთიანება ერთ ინსტიტუციურ სისტემაში, რომელსაც „ევროპული გაერთიანებები“, ხოლო 1992 წლის მასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე - „ევროკავშირი“ ეწოდა.¹

ძირითადი ნაწილი

საქართველო ყოველთვის ისწრაფოდა ევროპული მომავლისკენ. ეს სურვილი ყოველთვის არსებობდა და არასდროს გამქრალა. ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც საქართველომ პირველი დამოუკიდებლობა მოიპოვა, იმ დროინდელ მთავრობას სურდა შეექმნა ერთიანი დამოუკიდებელი ევროპული სტანდარტების ქვეყანა. „ჩვენთვის არ არსებობს არჩევანი ჩრდილოეთსა და დასავლეთს შორის, ჩვენ მუდამ ვირჩევდით ევროპას“- ეს საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას სიტყვებია. პირველი რესპუბლიკა დაამხეს, დაიწყო ოკუპაცია და 70-წლიანი საბჭოური რეჟიმი, მაგრამ ამ უმძიმესმა პერიოდმა ბოლომდე მაინც ვერ ჩააქრო ქართველ ხალხში პროდასავლური ოცნებები და მისწრაფებები. გზა ევროპისკენ და შესაძლებლობები ახალ ეტაპზე 20-ე საუკუნის ბოლოს 1991-1992 წლებში დაიწყო, მაშინ როდესაც საქართველომ დაიბრუნა დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.²

ქვეყანაში გამოჩნდა ახალგაზრდა და ახალბედა დიპლომატიური კორპუსი, რომელიც ცდილობდა მიეწვდინა ხმა ევროპისთვის, რომ ქვეყანას ევროპული სტანდარტებით განვითარება სურდა. ამის შემდეგ საქართველოსთვის ევროკავშირმა ჰუმანიტარული და ფინანსური დახმარება გამოყო. საქართველო იწყებდა ევროპული სტანდარტებით განვითარებას და მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველო ამიერკავკასიაში ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი კარიბჭეა. აქედან გამომდინარე, მისი გზა ევროპისკენ გამოწვევა იყო და ასეც მოხდა, რადგან რუსეთის ფედერაცია ყოველთვის ხელს უშლიდა საქართველოს ევროპულ მომავალს და ამის არაერთი ფაქტი არსებობს, როგორც გასული საუკუნის, ასევე 21-ე საუკუნის დასაწყისში, მაგალითად 2008 წლის

¹ განვითარების ეტაპები “ Infocenter. Accessed June 16, 2023. <https://old.infocenter.gov.ge/euinfo-structure/>

² “თავები.” შეთანხმება. Accessed June 16, 2023. <https://dcfta.gov.ge/agreement>

ავგისტოს რუსეთ-საქართველოს ომი. რუსეთი ღიად აცხადებდა, რომ თუ საქართველო არ შეწყვეტდა ევროპისკენ სწრაფვას, ის დაისჯებოდა და ეს გაკეთდა კიდეც, საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია რუსეთის მიერ, რაც შეეხება ევროპისკენ მიდგომებს ბევრი რამ არის გასაკეთებელი და შესაცვლელი. უნდა მოხდეს ეკონომიკის გაძლიერება, ადამიანის უფლებების დაცვა, თითოეული მოქალაქის ადამიანის კეთილდღეობა, ამ მიდგომებით საქართველო შეძლებს და მოიპოვებს დიდ მხარდაჭერას საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან. რაც შეეხება ევროპულ პერსპექტივებს საქართველოს მომავლისთვის, იმედის მომცემია ქვეყნის უკეთ განვითარებისთვის- ასე ერთი სიტყვით ამისი აღწერა და თქმა შეუძლებელია, პერსპექტივები აუცილებლად სიკეთის მომტანი უნდა იყოს საქართველოსთვის და მის მოქალაქეებისათვის. ევროპის წევრი წამყვანი ქვეყნები შექმნიან კვალიფიციურ გუნდს, რომელიც საქართველოს სახელმწიფო უწყებებს დაეხმარება მოდერნიზაციაში და ეს უწყებები გადაეწყობიან ევროპულ სტანდარტებზე, კარგი მმართველობა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ერთგულება და გავრცელება; საერთაშორისო სამართლის პრინციპების, მათ შორის სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა; კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობა, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა: პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავება შესაბამის სფეროებში, მათ შორის - შიდასახელმწიფოებრივი რეფორმა, საერთაშორისო მასობრივი განადგურების იარაღის გაუზრცელებლობა, რეგიონული სტაბილურობა და რაც მთავარია მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება: სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გაზრდა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა; მიგრაციის მართვა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა; ფულის გათეთრების, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა; უკანონო ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვის პრევენცია და მის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა; პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია; საზღვრის მართვის საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავება, დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზება და ევროპული სტანდარტების დანერგვა: თანამშრომლობა ისეთ სფეროებში, როგორც- ბიგაა: ტრანსპორტი, ენერჯეტიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, კვლევა და ტექნოლოგიები, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, სამოქალაქო საზოგადოება, რეგიონული განვითარება და სხვა. ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA) ჩამოყალიბებას. ასოცირების შესახებ შეთანხმებაში ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება ქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს. ეკონომიკის განვითარებას წინ უნდა უძღოდეს სწორი მიმართულება, კერძოდ, სოფლის მეურნეობის განვითარებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან სოფლის მეურნეობის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის, როგორც ეკონომიკურად ასევე ფინანსურად. ევროპული სტანდარტით წარმოება პროდუქციის, რათა გლეხმაც და ბიზნესმენმაც შეძლონ ამ სტანდარტების დანერგვა ევროპის ბაზარზე და შეუფერხებლად მიწოდება. ეს სტანდარტები რომ დაწესდება, ამასთან დაიწყება სუფთა და ჯანსაღი პროდუქციის წარმოება, გლეხსაც აღარ ექნება საფიქრალი თუ როგორ მოახდინოს მისი პროდუქციის რეალიზაცია. ქვეყანაში შემოვა ერთიანი ფული (ვალუტა), რაც ინფლაციის საშიშროებას არ წარმოადგენს, რაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას ხელს შეუწყობს. ჯანდაცვის განვითარება უნდა ხდებოდეს ევროსტანდარტების მიხედვით, რათა დაეხმაროს მოსახლეობას მკურნალობაში. საპენსიო სისტემა უნდა გაუმჯობესდეს, როგორც ასაკიანი პენსიონერებისთვის, ასევე ომის ვეტერანებისთვის, რათა მათ მიეცეთ ღირსეული პენსია. ფაბრიკა და ქარხნები უნდა შეიქმნას ევროპული სტანდარტებით და ანაზღაურებაც უნდა იყოს შესაბამისი, რათა ქვეყნიდან აღარ ხდებოდეს გადინება და გასული ემიგრანტები დაბრუნდნენ თავიანთ ოჯახებში. ევროპიდან გამოყოფილი ფინანსების დახმარებით შევინარჩუნოთ კულტურული მემკვიდრეობა, აღვადგინოთ მიტოვებული ისტორიული ძეგლები და ციხე- სიმაგრეები, ეს ქვეყანას მისცემს საშუალებას ტურიზმის განვითარებას, დამატებით ფინანსებს და მეტი სამუშაო ადგილების შექმნას. საქართველოს გააჩნია ორი დაკარგული რეგიონი, რომელიც დროებით ოკუპირებულია რუსეთის მიერ. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ავგისტოს ომის შემდეგ, ევროკავშირმა საქართველოს გამოუყო ფინანსური დახმარება, რათა სამაჩაბლოსა და ახალგორის დევნილი მოსახლეობასათვის სახელმწიფოს გაეწია დახმარება. რის შემდეგ ქ.გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ასევე მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტში აშენდა საცხოვრებელი სახლები, სადაც შეასახლეს ლიახვის ხეობის და ახალგორის დევნილი მოსახლეობა.

დასკვნა

იტალიის ქალაქ მესინაში ექვსი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ განეგრძოთ ინტეგრაციის პროცესი (ცნობილია მესინის ინიციატივის სახელით). შეიქმნა სამთავრობათაშორისო კომიტეტი, რომელმაც მოამზადა საფუძველი რომის ხელშეკრულებისათვის, რის შედეგადაც საფუძველი დაედო ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას – EEC . რომის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ასპექტი იყო შეთანხმება საერთო ბაზრის შექმნის თაობაზე, რასაც მომავალში საბაჟო კავშირის ჩამოყალიბება უნდა მოჰყოლოდა. საერთო ბაზარი ითვალისწინებდა ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის ბარიერების გაუქმებას საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების გადაადგილების კუთხით. რომის ხელშეკრულებამ საფუძველი ჩაუყარა, აგრეთვე, საერთო სოფლის მეურნეობისა და საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

რომში ცალკე ხელშეკრულებით დაარსდა ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანება, ე.წ. „ევრატომი“ , რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ევროპაში ატომური ენერჯის საერთო ბაზრის შექმნა, კერძოდ: ატომური ენერჯის ინდუსტრიის განვითარება, ენერჯის გადანაწილება გაერთიანების წევრ სახელმწიფოებზე და დარჩენილი რესურსის მიყიდვა არაწევრი ქვეყნებისთვის.

ევროკავშირი დღეისათვის 27 დემოკრატიული სახელმწიფოს უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას თავისი 446 მილიონი მოქალაქისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

16, and 15. “გზა ევროპისკენ.” euronewsgeorgia.com, July 2, 2021. <https://euronewsgeorgia.com/2021/06/28/%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%94%E1%83%9C/>.

“2. საერთაშორისო პრინციპები.” Scribd. Accessed June 16, 2023. <https://www.scribd.com/document/501272793/2-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98#>.

განვითარების ეტაპები “ Infocenter. Accessed June 16, 2023. <https://old.infocenter.gov.ge/euinfo-structure/>.

“ევროკავშირის ისტორია.” Infocenter.gov.ge, April 10, 2023. <https://infocenter.gov.ge/eu/eu-history/>.

“თავები.” შეთანხმება. Accessed June 16, 2023. <https://dcfta.gov.ge/ge/agreement>.

საქართველო ევროპული განვითარების გზაზე: არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

მასტერ-სერჟანტი თემურ მღებრიშვილი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია, თუ რა მდგომარეობაა დღესდღეობით საქართველოში და რა გზით შეიძლება წავიდეთ ევროპისკენ. ქვემოთ მოცემულია, თუ როგორი განათლება სჭირდებათ ახალგაზრდებს და რა მდგომარეობაა დღეს ქვეყანაში ამ მიმართულებით. ასევე განხილულია ქალთა და ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში და როგორი უფლებებით სარგებლობენ ისინი ევროპაში. თუ რა მდგომარეობა იყო საბჭოთა კავშირის დროს ქვეყანაში და ახლა რა მდგომარეობაა. თუ როგორ უნდა მივაღწიოთ წარმატებებს და რა შეიძლება გაკეთდეს ქვეყნის საკეთილდღეოდ. მეტად მნიშვნელოვანია სწორედ თანამედროვე ეპოქაში ჩვენს ქვეყანაში ქალთა და ბავშვთა უფლებების არსებული მდგომარეობა. ჩვენი ევროპელი პარტნიორების დახმარებით ამ მხრივ ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა გასული წლების განმავლობაში. კერძოდ, საკანონმდებლო ორგანომ მიიღო არაერთი კანონი, რომლებიც არეგულირებენ ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვას, მათ სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებასა და სოციალური გარანტიების გაზრდას. თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდობის როლი ქვეყნის ევროპისაკენ მიმავალ გზაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გზა არ არის იოლი; იგი გულისხმობს ქვეყანაში მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქართველოში ევროინტეგრაციის პროცესებს. ჩვენი ქვეყანა დგას ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების გზაზე; ამ კუთხით ევროკავშირის პერსპექტივის მინიჭება უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია. რაც შეეხება ახალგაზრდობას, ევროკავშირში ქვეყნის გაწევრიანება ახალგაზრდობისთვის ახალ პერსპექტივებს შლის. მათ ეძლევათ შესაძლებლობა წავიდნენ ევროპაში სასწავლებლად და სამუშაოდ. ამავე დროს, ევროკავშირის შესაბამისი პროგრამების განხორციელების შედეგად მათ შეუძლიათ დაეუფლონ საჭირო პროფესიებს და მოახდინონ თავიანთი შესაძლებლობების რეალიზება. ასევე საყურადღებოა ევროკავშირის დახმარება საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების მხრივ. ჩვენი ქვეყანა მდიდარი ტრადიციების მფლობელია. ქართულ ღვინოს შეუძლია კონკურენცია გაუწიოს სხვა ქვეყნების ღვინოებს ევროპულ ბაზარზე. ასევე აღსანიშნავია ტურიზმის განვითარებაც. საქართველოს უამრავი ტურისტის სტუმრობს ევროპიდან ყოველწლიურად და ეს ტენდენცია მზარდია.

საკვანძო სიტყვები:

ზურაბ ჟვანია, განათლება და განვითარება, საბჭოთა კავშირი, ბავშვთა და მოზარდთა აღზრდა, განვითარება, მეღვინეობა.

Georgia on the Path of European Development: Existing Problems and Solutions

Master Sergeant Temur Mghebrishvili

Abstract

The article deals with the current situation in today's Georgia and the way we can follow to move to Europe. The article gives a description of what kind of education young people need and what is the current situation in the country in this regard. It also discusses the legal status of women and children in Georgia as well as the same rights enjoyed by European citizens. It gets a clear picture of the situation in the country during the Soviet Union and for the present; How can we achieve success and what can be done for the country? The current situation regarding the rights of women and children in our country is very important in modern times. With the help of our European partners, many positive steps have been taken in this regard over the past years. In particular, the legislative body adopted a number of laws regulating the protection of women and children's rights, improving their medical services and increasing social guarantees. However, there is still much to be done. We should particularly mention the role of the youth for the country moving towards Europe. It should be noted that this path is not easy to follow; It implies carrying out important reforms in the country that will contribute to the European integration processes in Georgia. Our country is on the way to the EU candidate status that is undoubtedly a step forward. As for the youth, the country's accession to the European Union opens up new perspectives for them. They are given the opportunity to go to Europe to study and work. At the same time, they can master the necessary professions and realize their potential as a result of implementing relevant programs of the European Union. One should undoubtedly mention the assistance of the European Union regarding agricultural development in Georgia. Our country is rich in its traditions. Georgian wine can definitely compete with wines of other countries on the European market. Tourism development is also another thing to speak about. Every year Georgia is visited by many European tourists and this is a growing trend.

Keywords:

Zurab Zhvania, education and development, Soviet Union, child and adult education and development, winemaking.

შესავალი

„მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელი“-ეს ისტორიული სიტყვები ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე საქართველოს პარლამენტის თავჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ 1999 წლის 27 იანვარს წარმოთქვა. ამ სიტყვებიდან 24 წელზე მეტია გასული და ჩვენი ქვეყნის მიერ არჩეული გზა კვლავ უცვლელია. ევროპული გზა საქართველოს არჩევანია. უნდა აღინიშნოს ის, რომ ევროპა არ არის მხოლოდ კონკრეტული ტერიტორია რუკაზე, ან მხოლოდ ევროპული ორგანიზაციები. ევროპა პირველ რიგში ღირებულებათა ერთობლიობაა. საქართველოს ამოცანაა ამ ღირებულებების სათანადოდ გათავისება და მომდევნო თაობებისთვის გადაცემა. ევროპა-ეს არის ადამიანის უფლებების დაცვა, ძლიერი ინსტიტუტები, სიტყვის თავისუფლება, სტაბილური ეკონომიკა და ხელსაყრელი სამუშაო პირობები.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი 32 წელია დანგრეულია, საბჭოთა მარწუხებიდან ქვეყანა ჯერ კიდევ ვერ გავთავისუფლდა. გენეტიკური მეხსიერება ხელს უშლის საქართველოს ევროპასთან დაახლოებაში, თავის მხრივ კი რუსული პროპაგანდა, რბილი ძალის გამოყენებით, მაქსიმალურად ცდილობს დააშოროს ქვეყანა ევროპას და გეზი ჩრდილოეთისკენ ააღებინოს. ეს ზემოქმედება თვალშისაცემია ახალგაზრდების მიმართ; ევროპა „გარყვნილების ბუდეა“ - ეს არის პროპაგანდის ამოსავალი წერტილი და სამწუხაროდ ეს სტერეოტიპული დამოკიდებულება ხშირად არის საზოგადოებაში.

ქვეყანა კი ცდილობს უფრო და უფრო დაუახლოვდეს, ფეხი აუწყოს ევროპულ რიტმს, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი აქვს სასწავლი ევროპისგან.

ძირითადი ნაწილი

ახალგაზრდებისათვის ყველაზე პრიორიტეტულია განათლება და განვითარება. სამწუხაროდ, საქართველოში, მენტალობიდან გამომდინარე, ყოველ მეორე ადამიანს უმაღლესი ჰქონდა დამთავრებული ერთმანეთის მიმბაძველობით, ხოლო საკუთარი პროფესიით ადამიანების უმრავლესობა ვერ მუშაობდა. მხოლოდ საქართველოს ყავს ორ და სამ დიპლომიანი „ტაქსის მძღოლები“, მხოლოდ ქართველებს ყავთ ბოლო მოდელის ავტომობილები და ამის გამო ბანკში ვალები აქვთ აღებული. ეს და კიდევ ბევრი სხვა რამ ჩვენი თაობების უდიდესი მენტალური პრობლემაა. არავის არ უნდა სახლში დამლაგებელი შვილი ყავდეს, ყველას უნდა, რომ მისი შვილი დიპლომიანი „პროფესორი“ იყოს, მაგრამ ყველას არ შეუძლია გამოვიდეს „პროფესორი“, თუმცა სწორედ რომ ევროპიდან გვაქვს გადმოსატანი რამდენად დაფასებული და საჭიროა პროფესიული განათლება. სწორედ რომ ევროპაში ახალგაზრდებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია აკეთონ ის საქმე, რომელიც მოსწონთ და მიიღონ შემოსავალი საყვარელი საქმიდან. არსებობს მაგალითები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში: გერმანიაში, ჰოლანდიაში, ფინეთში, სადაც სკოლის მოსწავლეები საზაფხულო არდადეგებზე ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობენ და ეს სავალდებულოა. ჩვენი მენტალობიდან გამომდინარე, საქართველოში ქალთა და ბავშვთა უფლებები საკმაოდ მივიწყებული და ღრმად დამარხული თემა იყო. ამ კუთხით ბოლო რამოდენიმე წელია მიმდინარეობს მუშაობა და წინსვლაც შეინიშნება, რაც ნამდვილად დასაფასებელია. თუმცაღა საფიქრალია, რომ მაინც მნიშვნელოვანია ქალების განათლება და გადამზადება პროფესიული კუთხით. საჭიროა ტრენინგები და შეხვედრები მათი ცნობიერების ასამაღლებლად. ნებისმიერი ქალი უნდა იყოს დარწმუნებული და თავდაჯერებული იმაში, რომ სჭირდება პროფესია და სამსახური. მუშაობა მისთვის ნებაყოფლობითი არ უნდა იყოს. მას გათვითცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ სამსახური და მისი შემოსავალი სავალდებულოა. მასაც ისეთივე პასუხისმგებლობა აქვს ოჯახის წინაშე, როგორც მამაკაცს, თავს უნდა გრძნობდეს ოჯახისა და საზოგადოებისათვის საჭირო ადამიანად. ქართველი ქალებისათვის საჭიროა სწორი ინფორმირებულობა. სამწუხაროდ ახალგაზრდა გოგონების უმრავლესობა თვლის, რომ ნაადრევ ასაკში ქორწინება კარგია და დაოჯახების შემდეგ მხოლოდ ოჯახსა და შვილებს უნდა მიხედონ, ამასობაში საკუთარი კარიერა და მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. სწორედ აქაა ცნობიერება ასამაღლებელი. ამ პრობლემების გამო, რომ **სტატისტიკურად საქართველოში ახალგაზრდების ქორწინება 16 წლის ასაკიდანაა. 2022 წლის სტატისტიკით 14098 განქორწინება რეგისტრირებული (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2022წ.).**¹ სწორედ რომ ევროპიდან გვაქვს გადმოსატანი და სასწავლი ამ საკითხის გარშემო ბევრი რამ. თუნდაც ის, რომ ქალმა ზოგადი განათლების მიღების შემდეგ უნდა მიიღოს პროფესიული განათლება, დაიწყოს სამსახური, ჰქონდეს საკუთარი შემოსავალი და იყოს თვითდაჯერებული საკუთარი გადაწყვეტილებების მიმართ. ამავდროულად, თავისუფალი იყოს პირად ურთიერთობებში და არ იყოს შეზღუდული ოჯახისა და ე.წ. „კეთილის მსურველების“ შეხედულებების გამო. საუბედუროდ, ჯერ ისევ არის შემორჩენილი ე.წ. „ქალიშვილობის ინსტიტუტი“, რისი დიდი ხოტბის შემსხმელები არიან ჩვენი უფროსი თაობა და სწორედ ამ ტრადიციას ეწირება უამრავი ნიჭიერი გოგონას ცხოვრება. „ეწირებაში“ იგულისხმება ის, რომ ზოგადი განათლების მიღების შემდეგ ვერ რეალიზდებიან და ქმნიან ოჯახებს, საკუთარ განვითარებასა და კარიერაზე აღარ ფიქრობენ და ავტომატურად მეუღლეზე ხდებიან

¹ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/323/kortsineba>

დამოკიდებულები. გარკვეული პერიოდის შემდეგ აზრთა სხვადასხვაობის, ეკონომიკური პრობლემების, შეხედულებების აცდენის გამო ინგრევა ოჯახები და ქალი ხდება სრულიად დაუცველი საზოგადოების წინაშე. ამასთან, კავკასიური მენტალიტეტიდან გამომდინარე, საქართველოში ქალს ოჯახის დანგრევის უფლება არ აქვს და მაინც თუ დაინგრევა- ბრალეულობა მაინც მას ეკისრება. ოჯახიდან წამოსვლის შემდეგ ქალებს არ აქვთ პროფესია, ასევე რჩებიან შემოსავლის გარეშე და უპერსპექტივოდ. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს აქვს პროგრამები და ასეთ მდგომარეობაში მყოფ ქალებს ეხმარებიან, თუმცა ყველაზე მეტად ასეთ დროს მათ სჭირდებათ მორალური და ფსიქოლოგიური დახმარება. ასეთი პრობლემები სწორედ რომ არასწორი აღზრდის შედეგად ჩამოყალიბებული მენტალიტეტის ბრალია.

ევროპისკენ მიმავალ გზაზე გადამწყვეტი ფაქტორი უკავია განათლებას. გზა ევროპისკენ სწორედ განათლებით მიდის. დღესდღეობით საქართველოს განათლების სისტემაში უამრავი ხარვეზია, რაც განპირობებულია საბჭოთა მემკვიდრეობით. ამის ნათელი მაგალითია სკოლაში არსებული სიტუაცია და ის მიდგომები, რომლებსაც სისტემა ქმნის. განათლების სისტემა თავისი შინაარსით ძალადობრივია, რაც ნიშნავს იმას, რომ თაობების აღზრდა ხდება საბჭოთა კავშირის დროინდელი მეთოდებით. გარდა ამისა, არ ხდება მოსწავლეების შესაძლებლობის გათვალისწინება და მთელი სასწავლო პროცესი არა მოტივაციაზე, არამედ უარყოფით კონტექსტშია აგებული. მაგალითად, „შენგან არაფერი გამოვა“, „უსწავლელი დარჩები“, „ვერაფერს მიაღწევ“ და კიდევ მრავალი მოტივაციის და თვითშეფასების დამაქვეითებელი ფრაზები ესმით მოზარდებს, რომლებიც ცდილობენ პიროვნულ ჩამოყალიბებას. იმის ნაცვლად, რომ მოსწავლეებში მასწავლებლებმა რესურსის დანახვა შეძლონ და მათ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება ასწავლონ, ხშირ შემთხვევაში მანკიერი სისტემიდან გამომდინარე, მოსწავლეებს სთხოვენ იმას, რაც მათ შესაძლებლობებს აღემატება. როგორც წესი, მსგავსი მიდგომა მოსწავლეებში იწვევს დემოტივაციას. განსაკუთრებით პრობლემაა წაკითხულის გააზრების კუთხით.

ამას კვლევებიც ადასტურებს; მაგალითად, 2022 წელის მაისში გამოქვეყნებული კვლევა, რომლის თანახმადაც საქართველო წაკითხულის გააზრებაში 70 ქვეყნიდან 62 ადგილზეა. აღნიშნულ კვლევას PISA-ზე დაყრდნობით „სტუდია მონიტორი“ აქვეყნებს.² როგორც კვლევებიდან ჩანს მდგომარეობა საგანგაშოა და ამ მიმართულებით სამუშაო ბევრია. გარდა განათლების მანკიერი სისტემისა, რუსული პროპაგანდა აქტიურად მუშაობს და ცდილობს თავს მოახვიოს ახალგაზრდებს ანტიდასავლური განწყობები. ამას საჭიროა დავუპირისპიროთ სწორი კომუნიკაცია და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. ახალგაზრდებს უნდა დავანახოთ, რომ პერსპექტივა და განვითარება სწორედ ევროპისკენ მიმავალ გზაზეა. ახალი თაობა დამოუკიდებელ საქართველოში დაიბადა და გაიზარდა. ამ თაობამ კარგად იცის თავისუფლების ფასი-ეს უნდა გახდეს ჩვენი ევროპულ ღირებულებებთან დაახლოების საფუძველი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20% ოკუპირებულია. ჩრდილოელი „მეზობელი“ მუდმივად ახდენს მცოცავ ოკუპაციას და ცდილობს არაჯანსაღი მიდგომები და დამოკიდებულებები ჩაუნერგოს დამოუკიდებელ საქართველოში ახალგაზრდებს. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა, ახალი თაობის მიერ გამოხატულმა პროტესტმა და მათი მხრიდან მკაფიოდ ჩვენებამ იმისა, რომ ევროპა ჩვენი სახლია, ყველა დაარწმუნა იმაში, რომ ჩვენი ისტორიული ადგილი სწორედ ევროპაშია. ამ პროცესებმა აჩვენა ის, რომ ახალგაზრდებს კარგად აქვთ გააზრებული ევროპული ფასეულობები, თუმცა უფროსი თაობა ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდებს არჩევანის თავისუფლებას უზღუდავს. აუცილებელია უფროსი თაობისთვის იმის ახსნა თუ რამდენად მნიშვნელოვანია პიროვნულად ჩამოყალიბებისთვის ახალგაზრდებისთვის არჩევანის თავისუფლების მიცემა. კვლევებიც ადასტურებს, რომ საქართველო ირჩევს ევროპის გზას. „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი“-ის (IRI) მიერ 25 აპრილს გამოქვეყნებული საზოგადოების აზრის ახალი კვლევის შედეგების თანახმად, ევროკავშირში გაწევრიანებას საქართველოს მოქალაქეების მტკიცე მხარდაჭერა აქვს, ასევე გამოკითხულთა უმრავლესობა პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის ნაკლებობას გამოხატავს და უკმაყოფილოა ქვეყანაში რუსეთის მოქალაქეების ყოფნის გამო.³

ქვეყნის ევროპული არჩევანი კონსტიტუციაშიც განმტკიცებულია და არაერთი საერთაშორისო და გავლენიანი ორგანიზაციის კვლევითაც დასტურდება. სხვების მსგავსად, NDI-ის კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოს მოქალაქეები კვლავ მტკიცედ უჭერენ მხარს ევროკავშირთან ახლო პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობას. ევროკავშირის მხარდაჭერა კვლავ მაღალია — 82%, რაც საქართველოს მოქალაქეების მხრიდან ევროკავშირში გაწევრიანების ურყევ სურვილზე მიუთითებს.⁴

ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვთა და მოზარდთა აღზრდა- განვითარებას. ეს ყველაფერი კი სწორი მიდგომითა და ჯანსაღი ფსიქოლოგიური დატვირთვით ხდება. ყველაფერი მიმდინარეობს აზრთა თავისუფლების სწორად გამოყენების გზით აღმზრდელთა და აღსაზრდელთა შორის. თანასწორობის პირობებში ბავშვი ადრეული ასაკიდან არის ოჯახის სრულფასოვანი წევრი, მას თავიდანვე აქვს თავისი აზრის თავისუფლება და შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში. ბავშვთა აღზრდის ერთ-ერთი მთავარი მეთოდი თამაშით რაიმე კონკრეტულის სწავლაა. სწორედ ამიტომ ბავშვები და სკოლები აღჭურვილია მრავალფეროვანი

² <https://www.oecd.org/pisa/pisa-2015-results-in-focus.pdf>

³ https://www.iri.org/wp-content/uploads/2023/04/IRI-Poll-Presentation-Georgia-March-2023-Final-CISR-Approved-.pdf?fbclid=IwAR15oWHmOcXytjOvSbe7SCSW6j3ntmN2MgM9yOjs5kG_smSmbMIL0j9a2nM

⁴ <https://on.ge/about/ndi-%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90>

სათამაშო პროგრამებითა და ტექნოლოგიებით, რაც ბავშვს ეხმარება რთული სასაწავლო პროგრამის მარტივად აღქმაში.

საქართველო დიდი ღირებულებებისა და ტრადიციების ქვეყანაა. ჩვენ სტუმარმასპინძლობითა და მეღვინეობით ცნობილი ერთ-ერთი ვართ, გვაქვს უამრავი რესურსი იმისათვის, რომ ევროპა დავანტერესოთ და ერთ-ერთი თითოთ საჩვენებელი ქვეყანა ვიყოთ. ჩვენი ნაყოფიერი მიწები შეიძლება გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ამისთვის გვჭირდება სწორედ, რომ ევროპის დახმარება. მათი გამოცდილების გაზიარება და გამოყენება. მაგალითად: ნიდერლანდების სამეფო, რომელიც საქართველოსავით პატარა ქვეყანაა, მაგრამ მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერია აგროსამრეწველო პროდუქციის ექსპორტითა და მესაქონლეობით. მათი გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ახლგაზრდობისათვის, სოფლის მეურნეობის საქმიანობაში ჩასაბმელად, რომელიც ქვეყანას ეკონომიკურად დააყენებს ფეხზე. მათი ტექნიკა და გამოცდილება ინოვაციურია, რაც ხელს შეგვიწყობს ქვეყნის აღმშენებლობაში.

საქართველოს ეკონომიკური სიღუბიდან გამომდინარე ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდები გასულები არიან ქვეყნის ფარგლებს გარეთ და მუშაობენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ჩვენს ქვეყანას სჭირდება ევროპის დახმარება სოფლის მეურნეობის პროგრამების განხორციელებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს ემიგრაციაში წასული ქართველების უკან დაბრუნებასა და საკუთარ ქვეყანაში დასაქმებას. გადამზადებული და პროფესიულად განვითარებული ახალგაზრდობა ქვეყნის მთავარი მამოძრავებელი ძალა იქნება, რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ევროპული ოჯახისაკენ.

მეღვინეობა, რომლითაც ასე ვამაყობთ, შეგვიძლია ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათად ვაქციოთ. ამაშიც გვჭირდება ევროპული ოჯახის დახმარება. მაგალითად საფრანგეთის, რომელიც მისი ღვინის წარმოებით და ექსპორტითაა ცნობილი მსოფლიოში. მათი გამოცდილების გაზიარებით და ჩვენი ახალგაზრდების გადამზადებით შევძლებთ ქვეყანაში მეღვინეობა ისევ ავალორპინოთ და უამრავი სამუშაო ადგილი შევქმნათ, რაც საქართველოს ეკონომიკას წაადგება.

დასკვნა

სულხან-საბა ორბელიანს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას ევროპა ისე უნდოდათ და სჭირდებოდათ, როგორც ჩვენ დღეს. რატომ გვჭირდება ევროპა?- ეს ხომ უბრალო სტატუსი არ არის. საქართველო პატარა ქვეყანაა, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ბევრი სიღუბიერი გავლა მოუწია. ევროპის ალიანსში შესვლა სიმშვიდის, უსაფრთხოების და ქვეყნის სუვერენიტეტის გარანტიაა.

ქართველები პატარა ვართ, რომელსაც დიდი მტრები ჰყავს და მას თანადგომა სჭირდება, რომ სულ არ გაქრეს რუკიდან. გაევროპელება მხოლოდ რამოდენიმე კრიტერიუმის დაკმაყოფილებით არ ხდება, ეს დიდი და რთული გზაა, რომლის გავლაც ჩვენ ყველას გვევალება.

არაფერი არ შეიცვლება თუ ქართველების მენტალური აზროვნება და მსოფმხედველობა არ გადავარდება საბჭოთა გზიდან და არ აირჩევს გზას ევროპისაკენ.

გამოყენებული ლიტერატურა

<https://www.oecd.org/pisa/pisa-2015-results-in-focus.pdf>
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/323/kortsineba>
https://www.iri.org/wp-content/uploads/2023/04/IRI-Poll-Presentation-Georgia-March-2023-Final-CISR-Approved-.pdf?fbclid=IwAR15oWHmOcXytjOvSbe7SCSW6j3ntmN2MgM9yOjs5kG_smSmbMIL0j9a2nM
<https://on.ge/about/ndi-%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90>

საქართველოს გზა ევროპისა და ევროატლანტიკური ალიანსისაკენ

უფროსი სერჟანტი ილია ჭიტაშვილი

აბსტრაქტი

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, საქართველო მუშაობს ევროპასთან უფრო მჭიდრო ინტეგრაციისკენ, როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად. საქართველო, ისევე როგორც რეგიონის სხვა ქვეყნები, მე-20 საუკუნის უმეტეს პერიოდში საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო. მოსკოვი მკაცრად აკონტროლებდა ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს. 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. ქვეყანა მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. 1990-იანი წლების ბოლოს საქართველომ დაიწყო პირველი ნაბიჯების გადადგმა ევროპისკენ. ქვეყანა შეუერთდა ევროპის საბჭოს 1999 წელს, რაც მიუთითებდა მის ერთგულებაზე დემოკრატიული ღირებულებებისა და ადამიანის უფლებებისადმი. 2003 წელს საქართველომ განიცადა მშვიდობიანი რევოლუცია, რომელიც ცნობილია როგორც ვარდების რევოლუცია. ახალმა მთავრობამ დაიწყო მთელი რიგი ამბიციური რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავდა ქვეყნის მოდერნიზაციას და ევროპასთან დაახლოებას. რეფორმები ორიენტირებული იყო მმართველობის გაუმჯობესებაზე, კორუფციასთან ბრძოლასა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაზე. მთავრობა ასევე აგრძელებდა უფრო მჭიდრო კავშირებს ევროკავშირთან და ნატოსთან, იმ იმედით, რომ დაიცავდა საქართველოს ადგილს დასავლურ საზოგადოებაში. საქართველოს ევროპისკენ მიმავალ გზაზე ერთ-ერთი მთავარი ეტაპი იყო 2014 წელს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა. შეთანხმებამ შექმნა ჩარჩო საქართველოსა და ევროკავშირის შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობისა და ინტეგრაციისთვის. მან ასევე განსაზღვრა პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების საგზაო რუკა, რომელიც საქართველოს ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებს. საქართველოს თავდაცვის ძალების მომავალი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია და ნატოსთან მაქსიმალური თავსებადობაა.

ამ ეტაპზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სრულუფლებიანი წევრობა უდიდესი პოზიტიური შედეგის მომტანი იქნება საქართველოსთვის, რადგან საშუალებას მოგვცემს მონაწილეობა მივიღოთ საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში, სადაც დანარჩენ ნატოელ მოკავშირეებთან ერთად თანაბარი უფლებებით ვისარგებლებთ, საკუთარ ეროვნულ ინტერესებს დავიცავთ და ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ნატოში არსებული სამხედრო პოტენციალის გათვალისწინებით საიმედოდ დავიცავთ საქართველოს დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას.

საკვანძო სიტყვები:

საბჭოთა კავშირი, გამოწვევები, მოდერნიზაცია, ევროკავშირი, ნატო, ევროპული სტანდარტები, ინტეგრაცია.

Georgia's Path to Europe and the Euro-Atlantic Alliance

Senior Sergeant Ilia Chitashvili

Abstract

Over the past few decades, Georgia has been working for closer integration with Europe, both politically and economically. Georgia, like other countries in the region, was part of the Soviet Union for most of the 20th century. During this period, Moscow strictly controlled the political and economic systems of the country. After the collapse of the Soviet Union in 1991, Georgia became an independent state and the country faced many challenges. At the end of the 1990s, Georgia began to take the first steps towards Europe. In 1999, the country joined the Council of Europe, indicating its commitment to democratic values and human rights. In 2003, Georgia experienced a peaceful revolution known as the Rose Revolution. The new government launched a series of ambitious reforms aimed at modernizing the country and bringing it closer to Europe. The reforms were focused on improving governance, fighting corruption as well as promoting economic growth. In addition, the government pursued closer ties with the European Union and NATO, hoping to secure Georgia's place in Western society. One of the principal stages on Georgia's path to Europe was the signing of the Georgia-EU Association Agreement in 2014. The agreement created a framework for closer cooperation and integration between Georgia and the European Union. It also defined the road map of political and economic reforms, which will bring the country closer to European standards. The future for Defence Forces of Georgia lies in the integration into European and Euro-Atlantic structures and maximum compatibility with NATO.

At the current stage, the full membership of the North Atlantic Alliance will bring great positive results for Georgia as it will allow us to participate in international political life where we will enjoy equal rights with other NATO allies and protect our own national interests. The most important thing about it is the fact that we will reliably protect independence and territorial integrity of Georgia, taking into account the military potential of NATO.

Keywords:

Soviet Union, challenges, modernization, European Union, NATO, European standards, integration.

შესავალი

საქართველოს მომავალი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, ამისათვის მას სჭირდება ძლიერი ქართული ჯარი. საქართველოს ჯარის მომავალი საქართველოს მომავალია, რომელიც უკავშირდება ჩვენს მომავალ თაობას, ახალგაზრდების აღზრდას, მათში პატრიოტული, ეროვნული სულისკვეთების ამალეზას და გაძლიერებას.

საქართველოს, რომელიც მდებარეობს კავკასიის რეგიონში ევროპასა და აზიას შორის, აქვს გეოპოლიტიკური ბრძოლების და საგარეო გავლენის ხანგრძლივი ისტორია. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, ქვეყანა მუშაობდა ევროპასთან უფრო მჭიდრო ინტეგრაციისკენ, როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად. საქართველოს გზა ევროპისკენ რთული გზა იყო, რომელიც გამოირჩეოდა პოლიტიკური რყევებით, ეკონომიკური რეფორმებითა და რეგიონული კონფლიქტებით.

ძირითადი ნაწილი

საბჭოთა ეპოქა და მისი შემდგომი პერიოდი

საქართველო, ისევე როგორც რეგიონის სხვა ქვეყნები, მე-20 საუკუნის უმეტეს დროს საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო. ამ პერიოდში მოსკოვი მკაცრად აკონტროლებდა ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს. თუმცა, საქართველომ ასევე შეიმუშავა განსხვავებული იდენტობა და კულტურული მემკვიდრეობა, რაც დაეხმარა მას დამოუკიდებლობისა და გამძლეობის გრძნობის შენარჩუნებაში.

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. ქვეყანა მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, მათ შორის იყო პოლიტიკური არასტაბილურობა, ეკონომიკური კოლაფსი და ტერიტორიული დავები მეზობელ რუსეთთან. დამოუკიდებლობის პირველი წლები აღინიშნა კონფლიქტებით აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, ორ რეგიონთან, რომლებიც საქართველოსგან დამოუკიდებლობას ცდილობდნენ.¹

საქართველოს პირველი ნაბიჯები ევროპისკენ

1990-იანი წლების ბოლოს საქართველომ დაიწყო პირველი ნაბიჯების გადადგმა ევროპისკენ. ქვეყანა შეუერთდა ევროპის საბჭოს 1999 წელს, რაც მიუთითებდა მის ერთგულებაზე დემოკრატიული ღირებულებებისა და ადამიანის უფლებებისადმი. 2004 წელს საქართველომ ხელი მოაწერა სამოქმედო გეგმას ევროკავშირთან (EU), რომლის მიზანი იყო თანამშრომლობის გაღრმავება და პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების ხელშეწყობა.²

ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ ახალმა მთავრობამ დაიწყო მთელი რიგი ამბიციური რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავდა ქვეყნის მოდერნიზაციას და ევროპასთან დაახლოებას. რეფორმები ორიენტირებული იყო მმართველობის გაუმჯობესებაზე, კორუფციასთან ბრძოლასა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაზე. მთავრობა ასევე აგრძელებდა უფრო მჭიდრო კავშირებს ევროკავშირთან და ნატოსთან, იმ იმედით, რომ დაიცავდა საქართველოს ადგილს დასავლურ საზოგადოებაში.

ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმება

საქართველოს ევროპისკენ მიმავალ გზაზე ერთ-ერთი მთავარი ეტაპი იყო 2014 წელს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა. შეთანხმებამ შექმნა ჩარჩო საქართველოსა და ევროკავშირის შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობისა და ინტეგრაციისთვის. მან ასევე განსაზღვრა პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების საგზაო რუკა, რომელიც საქართველოს ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებს.³

შეთანხმება განიხილებოდა, როგორც მნიშვნელოვანი მიღწევა საქართველოსთვის, რადგან იგი აღიარებდა ქვეყნის პროგრესს დემოკრატიისკენ და მის ერთგულებას ევროპული ღირებულებებისადმი. შეთანხმებამ საქართველოს ევროკავშირის ბაზრებზე წვდომა და ფინანსური დახმარებაც შესთავაზა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

რუსეთთან ომი და მისი შედეგები

2008 წელს საქართველომ დიდი მარცხი განიცადა ევროპისკენ მიმავალ გზაზე, როცა რუსეთთან ომი დაიწყო. კონფლიქტი ორიენტირებული იყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებში, რომლებმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადეს რუსეთის მხარდაჭერით. ომმა გამოიწვია საქართველოს ტერიტორიების დაკარგვა და მნიშვნელოვანი დარტყმა ქვეყნის ეკონომიკასა და უსაფრთხოებაზე.

წარუმატებლობის მიუხედავად, საქართველო რჩებოდა ევროპული მისწრაფებების ერთგული. ქვეყანა აგრძელებდა პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარებას, ცდილობდა უფრო

1 16 and 15, “თავდაცვის სამინისტრო: სტუდენტებს სამხედრო სავალდებულო სამსახური არ შეეხებათ,” euronewsgeorgia.com, March 10, 2023, <https://euronewsgeorgia.com/2023/03/10/tavdatvisvis-saministro-akhali-tavdatvisvis-kodeqsit-studenteb-savaldebulo-samxedro-samsaxuri-ar-sheexebat/>.

2 “5 მიმართულება 10 წელიწადში სართული არმიის გასაძლიერებლად...,” კვირის პალიტრა, accessed June 16, 2023, <https://kvispalitra.ge/article/80655-5-mimarthuleba-10-tselitsadshi-qarthuli-armiis-gasadzliereblad/>.

3 Mod, accessed June 16, 2023, <https://mod.gov.ge/>.

ძლიერი, უფრო დემოკრატიული საზოგადოების აშენებას. 2011 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის შეთანხმებას, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს შენგენის ზონაში უვიზოდ გამგზავრების საშუალებას აძლევდა.

საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა ნატოსთან

საქართველოს პარტნიორობა ნატოსთან ასევე არის მისი ევროპისკენ მიმავალი გზის მნიშვნელოვანი კომპონენტი. ქვეყანა ცდილობს უფრო მჭიდრო კავშირებს ალიანსთან, იმ იმედით, რომ უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება და სტაბილურობა. საქართველომ შეიყვანა ჯარები ნატოს მისიებში ავღანეთსა და ერაყში და მონაწილეობა მიიღო ნატოს ძალებთან ერთად ერთობლივ სამხედრო წვრთნებში.

საქართველოს მომავალი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, ამისათვის მას სჭირდება ძლიერი ქართული ჯარი. საქართველოს ჯარის მომავალი საქართველოს მომავალია, რომელიც უკავშირდება ჩვენს მომავალ თაობას, ახალგაზრდების აღზრდას, მათში პატრიოტული, ეროვნული სულისკვეთების ამაღლებას და გაძლიერებას. საქართველოს ისტორიული გამოცდილება და მსოფლიოში მიმდინარე პროცესები გვიჩვენებს, რომ დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, მოქალაქეების სიცოცხლის დასაცავად, დემოკრატიული და სტაბილური სახელმწიფოს ასაშენებლად, აუცილებელია თავდაცვის მყარი საფუძვლების შექმნა. საქართველოს მტკიცე და ურყევი პრიორიტეტი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაა, ამისათვის, კი ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანებამდე, საქართველო არ იშურებს ძალისხმევას საკუთარი ძალებით და სტრატეგიულ პარტნიორობას აქტიური თანამშრომლობით, ეტაპობრივად მიადწინებს ქვეყნის თავდაცვის ძალების განვითარებას და ნატოსთან მის მაქსიმალურ თავსებადობას.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიზანს წარმოადგენს ჩამოაყალიბოს მდგრადი, ეფექტური და ქმედითი არმია და მოახდინოს საქართველოს თავდაცვის ძალების ოპტიმალური სტრუქტურისა და შესაძლებლობების ფორმირება, რათა მოახდინოს არსებულ საფრთხეებთან გამკლავება და საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. ამისათვის, ბოლო პერიოდში გადაიღვა მთელი რიგი ნაბიჯები თავდაცვის ძალების წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად და სამომავლო განვითარებისთვის.

დამოუკიდებელი საქართველოს ჯარი 1991 წლის 30 აპრილიდან იღებს სათავეს. 1991 წლის 26 მაისს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიერ იქნა მიღებული პირველი სამხედრო აღლუმი თბილისში. იმ დღიდან მოყოლებული, დღემდე არაერთი ომი გადახდა ქართულ არმიას, ჰქონდა წარმატებებიც და წარუმატებლობაც.⁴ ჰქონდა დიდი სიღუბნური და სულიერი ტკივილი, მაგრამ ქართველი ჯარისკაცი ყოველთვის თავდადებით იცავდა სამშობლოს. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ არმიას არსებობის მცირე ხნის ისტორია აქვს და ქართველმა სამხედროებმა ცარიელი ხელებით და სამშობლოსათვის ანთებული გულებით დაიწყეს ქართული არმიის მშენებლობა, დღეს ქართული არმია თანამედროვე ტიპის კარგად განვითარებულ თავდაცვის ძალებს წარმოადგენს. ქართული არმია წინაპართა ღირსეული მემკვიდრეა და ისეთივე თავდადებით იცავს სამშობლოს, როგორც ამას ჩვენი წინაპრები აკეთებდნენ.

საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნატოს როლს ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. ამავედროულად, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები, სრულ თანხვედრაშია ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებულ ძირითად მოთხოვნებთან და ალიანსის რეკომენდაციებთან, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების შემდგომ განვითარებას. თავის მხრივ, საქართველო, როგორც ალიანსის ასპირანტი ქვეყანა და მომავალი წევრი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში. საქართველოს სჭირდება ძლიერი ჯარი, რადგან ძლიერი სამხედრო ძალის გარეშე სტაბილურობის მიღწევა შეუძლებელია.

ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო თვლის, რომ ქვეყნის ერთადერთ დამცველს, ქართულ ჯარს მუდმივი სამხედრო-პოლიტიკური საფრთხეების გათვალისწინებით, აუცილებლად სჭირდება ბრძოლისუნარიანობის გაძლიერება. რისთვისაც საჭირო არის არსებული საბჭოთა შეიარაღების სისტემები ჩანაცვლებულ იქნეს თანამედროვე შეიარაღების სისტემებით.

თანამედროვე, კარგად მომზადებული და სათანადოდ აღჭურვილი არმია წარმოადგენს ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების ქვაკუთხედს. საქართველოს თავდაცვის ძალების მთავარი მიზანია პოტენციური მოწინააღმდეგის შეკავება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფა. თავდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულია ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც 2030 წლამდე უნდა განვითარდეს ქართულ არმიაში. ტანკების აფეთქება, თვითმფრინავების ჩამოყრა, უპილოტო მზვერავებით საჰაერო წერტილოვანი დარტყმები, არტილერიის მობილურობის გაზრდა და ოპერატიული დანადგარა, აი, ეს არის ის ხუთი ძირითადი მიმართულება, რომლებშიც თავდაცვის ძალებმა უახლოესი 10 წლის განმავლობაში წარმატებას უნდა უნდა მიაღწიონ.⁵ უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ მიმართულებაზე

4 “ახალი „თავდაცვის კოდექსით“ სტუდენტებს სავალდებულო სამხედრო სამსახური არ შეეხებათ - თავდაცვის სამინისტრო,” bm.ge, accessed June 16, 2023, <https://bm.ge/ka/article/axali-tavdacvis-kodeqsit-studenteb-savaldebulo-samxedro-samsaxuri-ar-sheexebat---tavdacvis-saministro/128994>.

5 თანამშრომლობის ისტორია “ [Infocenter](https://old.infocenter.gov.ge/nato-georgia-history/), accessed June 16, 2023, <https://old.infocenter.gov.ge/nato-georgia-history/>.

უკვე დაწყებულია მუშაობა. რაც შეეხება ჯავშანსაწინააღმდეგო მიმართულებას, იგეგმება, რომ აშშ-გან მოხდება “ჯაველინების” შესყიდვა. სადაზვერვო შესაძლებლობის განვითარებისთვის თავდაცვის სამინისტროსათვის განსაკუთრებული ყურადღების საგანი ოპერატიული და ტაქტიკური უპილოტო სადაზვერვო და საბრძოლო საფრენი აპარატების, ასევე რადიო-ელექტრონული სადაზვერვო და სათვალთვალო შესაძლებლობის განვითარებაა. იმისათვის, რომ ხარისხიანი და შესაბამისი მოცულობით უზრუნველყოფა მოხდეს, საქართველოში იგეგმება ადგილობრივი წარმოება, რისთვისაც, აქტიური თანამშრომლობა განხორციელდება სამხრეთ აფრიკულ კომპანიებთან. რაც შეეხება არტილერიის განვითარების მიმართულებას, 2024 წლიდან იგეგმება, როგორც ქართული წარმოების ნაღმტყორცნებ—ის განვითარება, ასევე უცხოური წარმოების საარტილერიო დანადგარების შესყიდვა. მეხუთე ძირითადი პრიორიტეტი კი არის საინჟინრო მობილობის და კონტროლიზაციის განვითარება. ამ მიმართულებით თავდაცვის ძალების მიზანია ყურადღება გაამახვილოს სპეციალური ოპერაციების მიმართულებების გაძლიერებაზე და ასევე მართვისა და კონტროლის, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების გაძლიერებაზე. აღნიშნული ხუთი პრიორიტეტული მიმართულების გარდა არის ისეთი სფეროებიც, რომელთა გაძლიერებაც სამომავლოდ საჭირო არის. მაგალითად, ჯავშანსატანკო შეიარაღების განახლება, მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს რთული რეალობის გათვალისწინებით, პრიორიტეტად ტოტალური თავდაცვის სტრატეგია აქვს არჩეული, უახლოეს მომავალში უფრო მნიშვნელოვანია მოწინააღმდეგის სატანკო შემოტევების მოგერიება და არა ქართული ტანკებით მასიური შეტევა. ამერიკული მესამე თაობის “ჯაველინები”, რომლებითაც დიდი წარმატებით შეიძლება ტანკებისა და სხვა ჯავშანტექნიკის აფეთქება, რამდენიმე წელია არის ქართული არმიის შეიარაღებაში და მათი რიცხვი მომავალშიც გაიზრდება. რაც ეხება საჰაერო თავდაცვის საშუალებების შესყიდვას—უფრო რთულია, რადგან დიდ თანხებს უკავშირდება, მაგრამ “სტინგერის” ტიპის ან მისი ანალოგი გადასატანი სახენიტო-სარაკეტო კომპლექსებით ქართული არმიის ქვეითი ბრიგადების საჰაერო თავდაცვის გაძლიერება დაბალ სიმაღლეზე მფრენი მოწინააღმდეგის თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების შემოტევებისგან თავდაცვადაც უახლოეს პერსპექტივას წარმოადგენს. ასევე უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება, რომლებსაც სადაზვერვო ფუნქციების გარდა, წერტილოვანი საჰაერო დარტყმების განხორციელებაც შეეძლება, მათი შესყიდვა და ადგილზე სერიული აწყობა სირთულეს არ წარმოადგენს.

თავდაცვის ძალების მიერ დასახული გეგმა მართლაც ამბიციურია, მაგრამ ქართული არმიის გაძლიერება ამ ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებებით, დიდი ხნის წინათ იყო საჭირო, თუნდაც 2008 წლის აგვისტოს ომამდე, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ათწლიანი გეგმის განხორციელება ისედაც რთულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ პირობებში სახელმწიფოსგან უდიდეს მონდომებას და მილიარდობით ლარს მოითხოვს.⁶

დასკვნა

საქართველოს თავდაცვის ძალების მომავალი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია და ნატოსთან მაქსიმალური თავსებადობაა.

ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის სრულყოფილებიანი წევრობა უდიდესი პოზიტიური შედეგის მომტანია საქართველოსთვის, რადგან საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში, სადაც დანარჩენ ნატოელ მოკავშირეებთან ერთად თანაბარი უფლებებით ისარგებლებს, საკუთარ ეროვნულ ინტერესებს განხორციელებს და ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ნატოში არსებული სამხედრო პოტენციალის გათვალისწინებით საიმედოდ იქნება დაცული მისი დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა.

ქვეყნის ერთადერთ დამცველს, ქართულ ჯარს მუდმივი სამხედრო-პოლიტიკური საფრთხეების გათვალისწინებით აუცილებლად სჭირდება ბრძოლისუნარიანობის გაძლიერება, რისთვისაც თავდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც 2030 წლამდე უნდა განვითარდეს ქართულ არმიაში. ესენია: ტანკების აფეთქება, თვითმფრინავების ჩამოყრა, უპილოტო მზვერავებით საჰაერო წერტილოვანი დარტყმები, არტილერიის მობილურობის გაზრდა და ოპერატიული დანადგარები, უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ მიმართულებაზე უკვე დაწყებულია მუშაობა. შემართებით გაგრძელდება ჯარის ტრანსფორმაციის პროცესი. დასახული გრძელვადიანი გეგმით შესაძლებელი არის ჯარის კიდევ უფრო გაძლიერება, მისი მზადყოფნის და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება. მნიშვნელოვნად გაზრდილია თავდაცვის ძალებისადმი ნდობა, იგი ეკლესიასთან ერთად, არის ყველაზე ავტორიტეტული ინსტიტუტი საქართველოში, რაც თითოეული სამხედროს დამსახურებაა. საქართველოს თავდაცვის ძალები არ იშურებს ძალისხმევას, ქართული არმიის გასაძლიერებლად, რათა მზად იყოს ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანებისთვის.

6 “სტატია,” Intermedia.ge, accessed June 16, 2023, <https://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90>.

გამოყენებული ლიტერატურა

- 16, and 15. “თავდაცვის სამინისტრო: სტუდენტებს სამხედრო სავალდებულო სამსახური არ შეეხებათ.” euronewsgeorgia.com, March 10, 2023. <https://euronewsgeorgia.com/2023/03/10/tavdatsvis-saministro-akhali-tavdatsvis-kodeqsit-studentებს-savaldebulo-samxedro-samsaxuri-ar-sheexebat/>.
- “5 მიმართულება 10 წელიწადში ქართული არმიის გასაძლიერებლად...” კვირის პალიტრა. Accessed June 16, 2023. <https://kvispalitra.ge/article/80655-5-mimarthuleba-10-tselitsadshi-qarthuli-armiis-gasadzliereblad>.
- Mod. Accessed June 16, 2023. <https://mod.gov.ge/ge>.
- „თანამშრომლობის ისტორია“ Infocenter. Accessed June 16, 2023. <https://old.infocenter.gov.ge/nato-georgia-history/>.
- “სტატია.” Intermedia.ge. Accessed June 16, 2023. <https://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90>.
- “უნდა მონაწილეობდეს თუ არა საქართველო საერთაშორისო სამხედრო ოპერაციებში.” InterMedia.ge - ინტერმედია. Accessed June 16, 2023. <https://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/54025-%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%97%E1%83%A3-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A8%E1%83%98/20/>.

საქართველოს გეოპოლიტიკა ევროკავშირთან ინტეგრაციის გასაღრმავებლად

უფროსი სერჟანტი ირაკლი ხვედელიძე

აბსტრაქტი

ნაშრომში ავტორი ასაბუთებს, რომ საქართველომ თანდათანობით გაითავისა ევროპული პროექტის ძირითადი პრინციპები და ღირებულებები. მრავალმხრივი მიდგომით საქართველომ აქტიურად გაატარა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეფორმები ევროპულ ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ქართული კანონმდებლობა და ეკონომიკურ-კულტურული მიმართულებები. ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა არაერთხელ გამხდარა იმპერიების მხრიდან მისით დაინტერესების მიზეზი, ასევე შეიძლება ითქვას, რომ საქართველო წარმოადგენს მეტად ხელსაყრელ დამაკავშირებელ გზას აზიასა და ევროპას შორის, როგორც სავაჭრო ეკონომიკური, ასევე სამხედრო თვალსაზრისით. გამომდინარე საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან, საქართველო ყოველთვის მჭიდრო კავშირში იყო ევროპასთან, ამგვარი კავშირი გამოიკვეთა რომის იმპერიასთან, მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნას მეფე ფარსმან ქველის ეპოქა.

ნაშრომში ასევე განხილულია 1991 წელს საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემეგ განვითარებული მოვლენები, აღნიშნულია, რომ საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა სუბიექტმა, დაიწყო თვით გამორკვევა და ბრძოლა საკუთარი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის.

ავტორი ასევე ეხება 1991 წლის 22 დეკემბერის რუსთაველის მოედანზე სამთავრობო ძლებისა და მაშინდელი ოპოზიციას შორის სისხლისმღვრელ შეტაკებას, რასაც შემდეგში უწოდეს „თბილისის ომი“, რამაც გამოიწვია სრული მოშლა სახელმწიფო ინსტიტუტების და დამანგრეველი შედეგი მოუტანა საქართველოს როგორც სახელმწიფოს, რადგან არსებულ ვითარებაში და საომარ მდგომარეობაში მყოფმა ხელისუფლებამ კონტროლი დაკარგა სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე, რითაც იმატა როგორც საგარეო საფრთხეებმა, ასევე შიდა პრობლემებმა. სეპარატისტების მხრიდან ეგრეთწოდებული თვითგამორკვევის მცდელობებით, წარმოიქმნა აფხაზეთის კონფლიქტი 1992 წლის 14 აგვისტოს, რის შემდეგაც დაიწყო გარე ძალების მიერ აფხაზეთის სეპარატისტული მხარის წახალისება და მხარდაჭერა, ასევე აფხაზეთ მხარეს აქტიურ მხარდაჭერას ამ კონფლიქტში უწევდნენ ჩრდილო კავკასიელი მოხალისეები, დაქირავებული მებრძოლები, სომეხ მოხალისეთა ქვედანაყოფები და ირიბად რუსეთის ფედერაცია. შედეგად, მოხდა აღნიშნული რეგიონის საქართველოსგან ძალისმიერი გამოყოფა.

საკვანძო სიტყვები:

საქართველო, რუსეთი, ევროპა, ევროკავშირი, აფხაზეთი.

Geopolitics of Georgia Which Aims to Deepen its Integration With the European Union

Senior Sergeant Irakli Khvedelidze

Abstract

In the work, the author underlines the fact, that Georgia has gradually grasped the main principles and values of the European project. With a multifaceted approach, Georgia has actively carried the political, economic, and social reforms bringing both Georgian legislation and economic cultural trends into compliance with European norms and standards. The author notes, that the geographical location of Georgia has repeatedly become the reason for the interest of empires, and it can also be said that Georgia is a very favorable connecting road between Asia and Europe, both from a trade, economic point of view and from a military point of view. Due to the geographical location of Georgia, Georgia has always been in close contact with Europe. For example the era of King Farsman Kveli, whose monument is still standing in the square of Mars in Rome.

The paper also discusses the events, that took place after gaining independence from the Soviet Union in 1991. It is noted, that Georgia as an independent entity began to identify itself and to form its own state. The author also discusses the bloody clash between the government forces and the opposition on December 22, 1991 in Rustaveli Square,

Later it was called the “Tbilisi War”, which led to the complete disruption of state institutions and brought devastating results to the state of Georgia. In the current situation and in a state of war, the government has lost control over the security of the state, thereby increasing both external threats and internal problems. Due to the so-called self-determination efforts on the part of the separatists, the conflict in Abkhazia arose on August 14, 1992. Then the external forces began to encourage and support the separatist side of Abkhazia. The Abkhazian side was also actively supported in this conflict by North Caucasian volunteers, mercenaries, Armenian volunteer units and indirectly by the Russian Federation. As a result, the mentioned region was forcibly separated from Georgia.

Keywords:

Georgia, Russia, Europe, European Union, Abkhazia.

შესავალი

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა არაერთხელ გამხდარა იმპერიების მხრიდან მისი დაინტერესების მიზეზი, ასევე შეიძლება ითქვას, რომ საქართველო წარმოადგენს მეტად ხელსაყრელ დამაკავშირებელ გზას აზიასა და ევროპას შორის, როგორც სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე სამხედრო თვალსაზრისით, გამომდინარე მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან საქართველო ყოველთვის მჭიდრო კავშირში იყო ევროპასთან, ამგვარი კავშირი გამოიკვეთა რომის იმპერიასთან, მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნას მეფე ფარსმან ქველის ეპოქა. ამგვარი კავშირების არსებობამ კავკასიაში მდებარე პატარა საქართველო და ამავდროულად უზარმაზარი ისტორიის მქონე ქვეყანა, რომლის ისტორია ითვლის საუკუნეებს, აიძულა მუდმივად ე.წ. ლავირების პოლიტიკა ეწარმოებინა, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. საქართველო არაერთი გამომწვევის წინაშე აღმოჩენილა, რაც გამოიხატებოდა იმპერიების მიერ მისი მრავალგზის დაპყრობითა და განადგურების მცდელობებით. საქართველოს მისი ისტორიის მანძილზე ჰქონდა საკმაოდ ხელშესახები წარმატებებიც, რამაც გარკვეულ წილად ხელი შეუწყო მისი იდენტობის, რწმენის, კულტურის შენარჩუნებას. ასეთ პერიოდებად თამამად შეიძლება დასახელდეს დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის პერიოდი, რომელთა მეფობის დროსაც საქართველო ჩამოყალიბდა ძლიერ სახელმწიფოდ და საკმაოდ ანგარიშგასაწევი ძალა იყო არამარტო კავკასიის რეგიონში, არამედ მის ფარგლებს გარეთ. საქართველოს თანამედროვე ისტორია კვლავ აპირისპირებს კიდევ ერთ იმპერიულ სახელმწიფოსთან, როგორებიც წარსულში იყვნენ რუსეთის იმპერია და საბჭოთა კავშირი, ხოლო დღეს არის რუსეთის ფედერაცია. საქართველოს ჩრდილოელი მეზობელი დღევანდელ დღემდე ცდილობს ზეგავლენის მოპოვებას და დასავლური სახელმწიფოებისაგან საქართველოს დაშორებას, რომ არ მოხდეს საქართველოს ინტეგრირება ევროპულ და ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში. რათა მიიღოს საქართველომ განვითარება, რომელიც შეიძლება გამოიხატოს როგორც ადამიანის უფლებების საკითხებში, ასევე დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაში და მათ გამდიერებაში.¹

ძირითადი ნაწილი

1991 წელს, საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა სუბიექტმა, დაიწყო თვითგამორკვევა და საკუთარი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს წილად ხვდა საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა. საბჭოთა კავშირის დროს უკვე მოიაზრებოდა პოლიტიკური ერთეული-ოსეთის ავტონომიური ოლქი. 1922 წლიდან, რადგან ჯავის რაიონში იყო კომპაქტურად ჩასახლებული ეთნიკურად ოსი მოსახლეობა, ოსებისათვის ავტონომიის მინიჭებით და ერთგვარი ნაღმის ჩადებით სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე „სამაჩაბლოში“ საბჭოთა რუსეთმა შეძლო დესტაბილიზაციის მოხდენა. აღნიშნულ რეგიონში, რასაც წინ უძღოდა პრეზიდენტ გორბაჩოვის მუქარა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიმართ, რაც შემდეგნაირად ჟღერდა „ საქართველოს საბჭოთა კავშირიდან შეუძლია გავიდეს, მაგრამ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გარეშე“, რუსეთი გამოკვეთა როგორც მხარე, როგორც სამაჩაბლოს, ასევე აფხაზეთის კონფლიქტებში. სამაჩაბლოს კონფლიქტის შემდეგ საქართველოში დაიწყო სამოქალაქო ომი. 1991 წლის 22 დეკემბერს რუსთაველის მოედანზე სამთავრობო ძლებსა და მაშინდელ ოპოზიციას შორის დაიწყო სისხლისმღვრელი შეტაკებები, რასაც შემდეგომში უწოდეს „თბილისის ომი“. ამან კი გამოიწვია სრული მოშლა სახელმწიფო ინსტიტუტების და დამანგრეველი შედეგი მოუტანა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, რადგან არსებულ ვითარებაში და საომარ მდგომარეობაში მყოფმა ხელისუფლებამ კონტროლი დაკარგა სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე, რითაც იმატა როგორც საგარეო საფრთხეებმა, ასევე შიდა პრობლემებმა. სეპარატისტების მხრიდან ეგრეთწოდებული თვითგამორკვევის მცდელობებით, რამაც შემდგომში წარმოქმნა აფხაზეთის კონფლიქტი 1992 წლის 14 აგვისტოს, დაიწყო გარემაღლების მიერ აფხაზეთის სეპარატისტული მხარის წახალისება და მხარდაჭერა. ასევე აფხაზურ მხარეს აქტიურ მხარდაჭერას ამ კონფლიქტში უწევდნენ ჩრდილო კავკასიელი მოხალისეები, დაქირავებული მებრძოლები, სომეხ მოხალისეთა ქვედანაყოფები და ირიბად რუსეთის ფედერაცია. შედეგად, მოხდა აღნიშნული რეგიონის საქართველოსგან ძალისმიერი გამოყოფა. აფხაზეთის რეგიონიდან ასობით ათასი ლტოლვილი იძულებით გადაადგილდა. აღნიშნულმა კონფლიქტებმა და ზოგადად რეგიონში არსებულმა ვითარებამ დამანგრეველი ეფექტი იქონია საქართველოს ეკონომიკაზე.

ზემოაღნიშნული სოციალურ ეკონომიკური პრობლემების პარალელურად მაშინდელმა ხელისუფლებამ შეიძლება ითქვას პირველი ნაბიჯები გადადგა ევროპის მიმართულეობით, სადაც დაცულია ადამიანის უფლებები, სიტყვის გამოხატვის თავისუფლება სხვადასხვა კონვენციების მეშვეობით და არის კანონის უზენაესობა. 1996 წელს გაფორმდა პირველი ხელშეკრულება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ და აღნიშნული დოკუმენტი ძალაში შევიდა 1999 წელს, რაც მოიცავდა მხარეებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ურთიერთობებს. ევროკავშირი თვისობრივად წარმოადგენს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ორგანიზაციას. ევროპის ფუნდამენტურ ღირებულებებს წარმოადგენს ადამიანის უფლებები, დემოკრატია, და კანონის უზენაესობა, რაც მეტად მომხიბვლელს ხდის აღნიშნულ ორგანიზაციასთან ურთიერთობას. 2003 წელს შემუშავდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირსა და მის მეზობელ სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების პროცესის მხარდაჭერას. ევროკავშირი არის მსოფლიო ეკონომიკის

¹ <https://www.asocireba.ge>

ერთ-ერთი მამოძრავებელი ნაწილი, სადაც გაერთიანებულია მასში შემავალი ქვეყნების ეკონომიკა, სადაც ხორციელდება თავისუფალი ვაჭრობა წევრ სახელმწიფოებს შორის. 2014 წლის 27 ივნისს ბრიუსელში ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების გეგმას და მოიცავს ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. აღნიშნული ხელშეკრულება ასევე ეხება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტებს, ასევე ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს. ზემოაღნიშნული ასოცირების ხელშეკრულების წყალობით, შენგენის ზონაში უფიზოდ მოგზაურობის შესაძლებლობით საკმაოდ ბევრმა საქართველოს მოქალაქემ ისარგებლა. საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცათ ყოველგვარი ბარიერების გარეშე გამგზავრებულიყვნენ ევროკავშირის ქვეყნებში, რათა გაეუმჯობესებინათ საკუთარი სოციალური მდგომარეობა, ასევე საქართველოს მოქალაქეებმა შეძლეს გაცვლითი პროგრამებით მიეღოთ ევროპის სხვადასხვა წამყვან უნივერსიტეტებში უმაღლესი განათლება. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი აქტიურად ეხმარება საქართველოში მედიათავისუფლების განვითარებას. სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებას და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერას, რათა მიღწეულ იქნას სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფა. რა თქმა უნდა, საქართველოს გააჩნია გამოწვევები აღნიშნულ გზაზე, საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევების მიუხედავად, არსებობს მისი მომავლის ოპტიმიზმის მიზეზები. საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით და ეს პროგრესი სავარაუდოდ გაგრძელდება. საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია განიხილება, როგორც ეკონომიკური პოლიტიკური ზრდის და სტაბილურობის მთავარი მამოძრავებელი. აგრეთვე ქვეყანა მოწოდებულია გააგრძელოს რეფორმები თავის ევროპული მისწრაფებების მისაღწევად. საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრიანების კიდევ ერთი უპირატესობა არის, მისი პოლიტიკური სტაბილურობა და უსაფრთხოება. ევროკავშირში გაწევრიანება ხელს შეუწყობს საქართველოს დემოკრატიასა და კანონის უზენაესობის დამკვიდრებას, რაც უზრუნველყოფს კარგი მმართველობისა და ადამიანის უფლებების დაცვას. ეს ასევე ხელს შეუწყობს რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობას, რაც აუცილებელია ეკონომიკური განვითარებისთვის.²

უფრო მეტიც, ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოს უფრო დიდ დიპლომატიურ ბერკეტს მისცემს გლობალურ ასპარეზზე. როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყანა, საქართველოს ექნება უფრო დიდი გავლენა საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორცაა გაერო და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. ეს საშუალებას მისცემს საქართველოს უკეთ წარმოაჩინოს თავისი ინტერესები და გაავრცელოს თავისი ღირებულებები მსოფლიო მასშტაბით.³

დასკვნა

<https://www.isfed.ge/geo/politikis-dokumentebi/evrokavshiris-sagareo-moqmedebebis-dafinanseba>

2021-2027-tslebis-mravltslian-finansur-charchoshi-MFF-da-misi-savaraudo-gavlana-saqartveloze

საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ. n.d. „ევროპული სამეზობლო პოლიტიკა.“

<https://old.infocenter.gov.ge/euinfo-the-eastern-partnership>

Darchiashvili, David and Bakradze, David. 2019. “The EU Eastern Partnership Initiative And Georgia”. Politeja.

No. 5(62): 117-140. doi:10.12797/politeja.16.2019.62.07

Mirel, Pierre. 2021. “The Eastern Partnership: Between Resilience and Interference”. European Issues N°589. Foundation Robert Schuman. <https://www.robert-schuman.eu/en/doc/questions-d-europe/qe-589-en.pdf>

⁷ Mirel, Pierre. 2021. “The Eastern Partnership: Between Resilience and Interference”. European Issues N°589. Foundation Robert Schuman. <https://www.robert-schuman.eu/en/doc/questions-d-europe/qe-589-en.pdf>

გზა ევროპისკენ - გამოწვევები, მიდგომები, ახალი პერსპექტივა

უფროსი სერჟანტი მიხეილ გოგიჩაშვილი

აბსტრაქტი

თანამედროვე პერიოდის საქართველოს მთავრობას ადებული აქვს დასავლური კურსი და ეს ურთიერთობები თანდათან უფრო მტკიცდება. თანამშრომლობა დასავლურ ორგანიზაციებთან მრავალმხრივია, ჩვენ მტკიცე თანამშრომლობა გვაქვს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან, ევროკავშირთან და გაეროსთან. საქართველოს განვითარებისთვის და ქვეყანაში სტაბილური გარემოს შესაქმნელად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირთან თანამშრომლობა. საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები 1992 წლიდან იღებს სათავეს. ამ ფონზე ევროკავშირმა საქართველოსთვის უანგარო დახმარების გაწევა დაიწყო. ევროკავშირის დახმარების პროგრამებმა და პროექტებმა უდიდესი როლი შეასრულეს საქართველოს, როგორც თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, ისე ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობაში. 1999 წლიდან 2004 წლამდე ევროკავშირის დახმარების სამი ძირითადი მიმართულება არსებობდა - ჰუმანიტარული, ფინანსური და ტექნიკური. ამ პერიოდში ევროკავშირმა საქართველოზე, მიახლოებითი მონაცემებით, მილიარდ ევროზე მეტი ფინანსური სახსრები გახარჯა. დღეს ევროკავშირის საერთაშორისო დახმარება, მათ შორის საქართველოსთვის, ოთხი ძირითადი ინსტრუმენტის მეშვეობით ხორციელდება: 1) გეოგრაფიული პროგრამები, რომლებიც ცალკეული რეგიონების ქვეყნებისთვისაა განკუთვნილი. 2) ეკონომიკური პროგრამები-ევროკავშირის მხრიდან ქვეყნებისთვის დახმარების ერთ-ერთი ქმედითი მექანიზმია, რომლის ფარგლებში იგეგმება დახმარების სამწლიანი ციკლები, დაფინანსების პრიორიტეტული მიმართულებებით. 3) თემატური პროგრამები, რომლებიც განვითარების კონკრეტული თემების დაფინანსებას უზრუნველყოფენ. 4) ევროკავშირის საფინანსო ინსტიტუტების (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი - EBRD, ევროპის საინვესტიციო ბანკი - EIB) მიერ განხორციელებული საინვესტიციო პროექტები და გრანტები. საქართველოსთვის ევროკავშირის დახმარებამ 90-იან წლებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარებაში, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირის პოლიტიკური მხარდაჭერაც ქვეყნის დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის დაცვაში, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობაში მისი ინტეგრირების საქმეში.

საკვანძო სიტყვები:

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი, დემოკრატიული პრინციპები, ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერა, განვითარება.

The Road to Europe - Challenges, Approaches, and New Perspective

Senior Sergeant Mikheil Gogichashvili

Abstract

The modern government of Georgia has adopted a western course and these relations are gradually becoming stronger. Cooperation with Western organizations is multifaceted - we have strong cooperation with the North Atlantic Alliance, the European Union and the United Nations. Cooperation with the European Union is especially important for the development of Georgia and for creating a stable environment in the country. Relations between Georgia and the European Union date back to 1992. In this context, the European Union began to provide generous aid to Georgia. The aid programs and projects of the European Union played a major role in the formation of Georgia as a modern state as well as in promoting the development of the market economy and the establishment of democratic principles in the country. From 1999 to 2004, there were three principal directions of EU assistance - humanitarian, financial and technical. According to approximate data, the European Union spent more than one billion euros of financial funds on Georgia during this period. Today, the international aid of the European Union, including for Georgia, is implemented through four key instruments: 1) Geographical programs that are intended for the countries of individual regions. 2) Priority funding directions that are one of the effective mechanisms of mutual assistance for the countries by the European Union that envisage three-year aid cycles. 3) Thematic programs that provide financing for specific development topics; Investment projects and grants implemented by financial institutions of the European Union (European Bank for Reconstruction and Development - EBRD, European Investment Bank - EIB). In the 1990s, EU aid to Georgia played an important role in solving the economic and social problems of the country but the EU's political support was equally important in both protecting the independence and sovereignty of Georgia and in its integration into the international community.

Keywords:

North Atlantic Alliance, democratic principles, financial and political support, development

შესავალი

საქართველოს განვითარებისთვის და ქვეყანაში სტაბილური გარემოს შესაქმნელად საჭიროა ღირსეული პარტნიორის პოვნა, რომელთან გაერთიანებითაც ქვეყანაში შეიქმნება სტაბილურობა, გაძლიერდება ეკონომიკა და შეიქმნება უსართხო და მშვიდი გარემო. ისტორიის განმავლობაში საქართველო ხშირად ეძებდა ასეთ პარტნიორს, მაგრამ სამწუხაროდ, რიგ შემთხვევებში, პარტნიორობა არ აღმოჩნდა სანდო და მყარი. ამის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ გეორგიევსკის ტრაქტატი, რომელიც ქართული მხარის დაკნინებითა და სისხლში ჩამხრჩვალ აჯანყებებით დასრულდა. ეს კარგი მაგალითი იყო ქართველი ხალხისთვის და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის დღიდანვე საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო პარტნიორების ძებნა დასავლეთში. „ჩვენთვის არ არსებობს არჩევანი ჩრდილოეთსა და დასავლეთს შორის, ჩვენ მუდამ ვირჩევთ ევროპას“- ეს არის საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარის ნოე ჟორდანიას სიტყვები. ამ პერიოდში საქართველომ აირჩია გერმანოფილური საგარეო პოლიტიკის კურსი. ეს ფაქტი ნათლად ასახავს იმ გარემოებას, რომ რეალური და მტკიცე პარტნიორების ძებნა ჩვენს სახელმწიფოს ევროპაში უნდა დაეწყო და არა ჩრდილოელ მეზობელთან.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე პერიოდის საქართველოს მთავრობას ადებული აქვს დასავლური კურსი და ეს ურთიერთობები თანდათან უფრო მტკიცდება. ჩვენი თანამშრომლობა დასავლურ ორგანიზაციებთან მრავალმხრივია, ჩვენ მტკიცე თანამშრომლობა გვაქვს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან, ევროკავშირთან და გაეროსთან. ეს კავშირები წარმოდგენილია პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით, რომლებიც ავითარებენ და აძლიერებენ საქართველოს სახელმწიფოს, მაგრამ ამავდროულად უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ურთიერთობების მთავარ ხელისშემშლელ გარემოებას წარმოადგენს რუსეთი. ისმის ლოგიკური კითხვა: რამდენად შეძლებს ჩვენს დახმარებას ევროპა რუსეთთან მიმართებაში და როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, როდესაც ჩვენ გვაქვს 2008 წლის საქართველოს ანექსიის ფაქტი; საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების საკითხის დადგომისთანავე რუსეთმა მოახდინა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია. მოვლენები თითქმის იგივე სცენარით განვითარდა უკრაინის შემთხვევაში. ამ გარემოებამ საქართველოს მოსახლეობის ნაწილის აზრი შეცვალა ევროპულ არჩევანთან დაკავშირებით. მაგალითისთვის, თუ საქართველოში 2004 წელს ჩატარებული პლემბისციტი აჩვენებდა, რომ მოსახლეობის 92% ირჩევდა ევროპულ გზას, 2022 წლისთვის ის საგრძნობლად შემცირდა. ეს გამოწვევა დღემდე რჩება ქვეყნის წინაშე და აქტიური მუშაობა არის საჭირო ამ მიმართულების გასაძლიერებლად, რადგან დასავლური ორიენტაცია არის ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის.¹ დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერა და მათი უსფრთხოების ქოლგის ქვეშ გაერთიანება მოგვცემს ქვეყანაში სტაბილური გარემოს შექმნის გარანტიას; სტაბილურობა გამოიწვევს ეკონომიკის განვითარებას და ქვეყანაში დამატებითი ინვესტიციების შემოსვლას. ასევე მნიშვნელოვანია განათლების პროგრამების განვითარება, რაც საბოლოო ჯამში ქმნის ძლიერ სახელმწიფოს. საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით ერთობ საინტერესოა, როგორც რუსეთისთვის, ასევე დასავლეთისთვის, ამიტომაც საჭიროა ყველა ხელთარსებული საშუალების გამოყენება. ეს ინტერესი, რომელიც დასავლეთიდან მოდის უნდა მივიღოთ და მას ფეხი ავუწყოთ. ამ პროცესში ერთ-ერთი წამყვანი როლი უჭირავს დიპლომატიას, რომელიც მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული ინტეგრაციის საქმეში.

თუ გადავხედავთ ისტორიას და დავაკვირდებით ევროკავშირის შექმნის პროცესს, დავრწმუნდებით, რომ მსოფლიო ომებგამოვლილმა და დასუსტებულმა ევროპამ მალევე შეძლო გაძლიერება და განვითარება. კერძოდ, ამ ორგანიზაციის ფარგლებში საერთო ბაზრის შექმნამ და რესურსების გაერთიანებამ მალევე მოახდინა მთელი ევროპის გაძლიერება. ამ გარემოების გათვალისწინებით, ჩვენი ეკონომიკური განვითარება, შეიძლება ითქვას, პირდაპირ კავშირშია დასავლეთთან. ამიტომაც აუცილებელია არ მოხდეს ქვეყნის პოლიტიკური კურსის შეცვლა და გავაგრძელოთ თანამშრომლობა ევროპასთან.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები 1992 წლიდან იღებს სათავეს.² საქართველო მაშინ ღრმა კრიზისში შედიოდა. ახალგაზრდა სახელმწიფო საბჭოთა კავშირის სივრცეში არსებული ეკონომიკური კავშირების ნგრევის, გასაღების ბაზრების დაკარგვის, შიდა კონფლიქტების, პოლიტიკური არასტაბილურობის, სოციალური გაჭირვებისა და სხვა უამრავი ნეგატიური მოვლენის ფონზე ვითარდებოდა.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან სულ რამდენიმე წელიწადში 1989 წლის დონიდან 76,4%-ით შემცირდა.³ ამ ფონზე ევროკავშირმა საქართველოსთვის უანგარო დახმარების გაწევა დაიწყო. ევროკავშირის დახმარების პროგრამებმა და პროექტებმა უდიდესი

¹ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, accessed June 16, 2023, <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2022/03/monographia.pdf>.

² “ევროკავშირი და საქართველო,” EEAS, accessed June 16, 2023, https://www.eeas.europa.eu/georgia/evrovavshiri-dasakartvelo_ka?s=221.

³ Ibid.

როლი შეასრულეს საქართველოს, როგორც თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, ისე ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობაში.

1999 წლიდან 2004 წლამდე ევროკავშირის დახმარების სამი ძირითადი მიმართულება არსებობდა - ჰუმანიტარული, ფინანსური და ტექნიკური.⁴ ამ პერიოდში ევროკავშირმა საქართველოზე, მიახლოებითი მონაცემებით, მილიარდ ევროზე მეტი ფინანსური სახსრები გახარჯა. 2004 წლის შემდგომ ქვეყნის ეკონომიკური და შესაძობისად სოციალური მდგომარეობა შესამჩნევად დასტაბილურდა და ჰუმანიტარულმა დახმარებამ, რომელიც მოწყვლადი ჯგუფებისთვის საკვები პროდუქტების, სამკურნალო საშუალებების და პირველადი აუცილებლობის საგნების მიწოდებას ისახავდა მიზნად, თავისი ფუნქცია ამოწურა. შემდგომ ეტაპზე და დღემდე ევროკავშირი აგრძელებს ფინანსური და ტექნიკური დახმარების ორმხრივი და მრავალმხრივი პროექტების დაფინანსებას ევროგაერთიანების ფონდებიდან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში (გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაციები, მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი, სხვა) გაწეული კონტრიბუციებისა და ევროკავშირის მიერ დაარსებული საფინანსო ორგანიზაციებიდან გაცემული კრედიტებისა და გრანტების სახით.

დასკვნა

დღეს ევროკავშირის საერთაშორისო დახმარება, მათ შორის საქართველოსთვის ოთხი ძირითადი ინსტრუმენტის მეშვეობით ხორციელდება:

1. გეოგრაფიული პროგრამები, რომლებიც ცალკეული რეგიონების ქვეყნებისთვისაა განკუთვნილი. ამ ჯგუფის ინსტრუმენტებიდან საქართველო კონკრეტულად ბენეფიციარია სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტისა, რომელიც ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე ყველა ქვეყნის დახმარებას ემსახურება.
2. ეკონომიკური პროგრამები-ევროკავშირის მხრიდან ქვეყნებისთვის ორმხრივი დახმარების ერთ-ერთი ქმედითი მექანიზმია, რომლის ფარგლებში იგეგმება დახმარების სამწლიანი ციკლები, დაფინანსების პრიორიტეტული მიმართულებებით. ამ ეტაპზე ასეთი დახმარებიდან საქართველო ყოველ სამ წელიწადში დაახლოებით 330-400 მლნ. ევროს ოდენობის ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას იღებს. აღმოსავლეთ პარტნირობის მიმართულებით „მეტი-მეტისთვის“ პრინციპის შემოღებით, სავარაუდოდ, დახმარების მოცულობები მომავალ წლებში საქართველოსთვის კიდევ უფრო გაიზრდება.
3. თემატური პროგრამები, რომლებიც განვითარების კონკრეტული თემების დაფინანსებას უზრუნველყოფენ. ასეთი სახის პროგრამებს შორის საქართველო აქტიურად იღებს დახმარებას ევროკავშირის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ინსტრუმენტიდან და სტაბილურობისა და მშვიდობის მხარდაჭერის ინსტრუმენტიდან.
4. ევროკავშირის საფინანსო ინსტიტუტების (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი - EBRD, ევროპის საინვესტიციო ბანკი - EIB) მიერ განხორციელებული საინვესტიციო პროექტები და გრანტები⁵.

საქართველოსთვის ევროკავშირის დახმარებამ 90-იან წლებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარებაში, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირის პოლიტიკური მხარდაჭერაც ქვეყნის დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის დაცვაში, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობაში მისი ინტეგრირების საქმეში. ასეთი მხარდაჭერის ფაქტებს შეიძლება მივაკუთვნოთ ევროკავშირის პოზიცია ეუთოს ბუდაპეშტის (1994) და ლისაბონის (1996) სამიტებზე, სადაც დოკუმენტურად იქნა აღიარებული ეთნიკური წმენდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ევროკავშირის პოლიტიკური და ტექნიკური მხარდაჭერით საქართველო 1999 წელს გაწევრიანდა ევროპის საბჭოში, ხოლო 2001 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში.

გამოყენებული ლიტერატურა

Old.infocenter.gov.ge. Accessed June 16, 2023. http://old.infocenter.gov.ge/uploads/files/2017-11/1509606255_saqarthvelo-evrokavshiris-urthierthobebi-da-samomavlo-perspeqtivebi.pdf.

“ევროკავშირი საქართველო.” EEAS. Accessed June 16, 2023. https://www.eeas.europa.eu/georgia/evrokavshiri-da-sakartvelo_ka?s=221.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. Accessed June 16, 2023. <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2022/03/monographia.pdf>.

პროექტი სტრატეგია საქართველოსთვის. Accessed June 16, 2023. <https://www.ebrd.com/downloads/country/strategy/georgia-draft-georgian.pdf>.

4 Old.infocenter.gov.ge, accessed June 16, 2023, http://old.infocenter.gov.ge/uploads/files/2017-11/1509606255_saqarthvelo-evrokavshiris-urthierthobebi-da-samomavlo-perspeqtivebi.pdf.

5 პროექტი სტრატეგია საქართველოსთვის, accessed June 16, 2023, <https://www.ebrd.com/downloads/country/strategy/georgia-draft-georgian.pdf>.

ევროპული პერსპექტივის საკითხი საქართველოს თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში

მასტერ-სერჟანტი შაქრო მშენიერაძე

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია განვიხილოთ საქართლოს გზა ევროპიკენ. მიმოვიხილავთ, თუ როგორ მიმდინარეობდა წინსვლა ევროპისაკენ დროთა განმავლობაში; რა გამოწვევები იყო, როგორი იყო საქართველოს მიდგომები და რა პერსპექტივები გააჩნია გზას ევროპისკენ. ჩვენი მსჯელობა დაფუძნებულია სხვადასხვა ავტორების ანალიზზე. საქართველოსათვის ევროკავშირში წევრობა ნიშნავს სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებული დემოკრატიული ინსტიტუტების საბოლოოდ ჩამოყალიბებას და უსაფრთხო, თავისუფალი, სამართლიანი გარემოს ფარგლებში საქართველოს მოქალაქეების განვითარებისა და კეთილდღეობისათვის ახალი შესაძლებლობების შექმნას. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, რეალური ხდება კონსტიტუციით განმტკიცებული ქართველი ხალხის არჩევანის დეკლარირება დაამკვიდროს დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება და სამართლებრივი სახელმწიფო, ეკონომიკური თავისუფლება, უზრუნველყოს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა, განამტკიცოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომელიც იმთავითვე, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გარეშე, წარმოუდგენელია. რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად, 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეროვნული საბჭოს თავჯდომარემ ნოე ჟორდანიამ სიტყვით მიმართა ქართველ ერს და აღნიშნა, რომ ქართველი ერის გზა ევროპისკენ მიმავალი გზაა და რომ საქართველო უბრუნდება თავის ისტორიულ სამშობლოს. დამოუკიდებელი საქართველოს მთელი სამწლიანი პერიოდის განმავლობაში არ შეწყვეტილა მცდელობები ჩვენი ქვეყნის შესვლისა ერთა ლიგაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა გარკვეული პოლიტიკური მიზეზების გამო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ცნეს რიგმა ქვეყნებმა (მათ შორის საბჭოთა რუსეთმა), მაინც ვერ მოხერხდა ოკუპაციის თავიდან აცილება. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, დიდი ხნით ჩაიკეტა გზა ევროპისაკენ. მხოლოდ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან გახდა შესაძლებელი კვლავ მიბრუნებოდა ჩვენი ქვეყანა ევროპული განვითარების გზას. დაიწყო ინტენსიური ურთიერთობები ევროკავშირთან, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა და გაამდიერა სამოქალაქო ინსტიტუტები საქართველოში. ქვეყანამ მიღწია ასოცირების ხელშეკრულებას და ვიზალიბერალიზაციას. საქართველოს მოქალაქეებისათვის ფაქტიურად გაიხსნა ევროპის საზღვრები და ა.შ. ყოველივე ეს მიუთითებს ჩვენი ქვეყნის სწრაფვაზე ევროპული ღირებულებებისადმი.

საკვანძო სიტყვები:

ევროპა, ნოე ჟორდანია, ასოცირების ხელშეკრულება, ვიზალიბერალიზაცია, ოკუპაცია, რუსეთი, 12 რეკომენდაცია, პოლარიზაცია, უვიზო მიმოსვლა, იუნესკო, ევროპის საბჭო.

The Issue of the European Perspective in the Modern Political Life of Georgia

Master Sergeant Shakro Mshvenieradze

Abstract

The paper aims to consider Georgia's road to Europe. We discuss the issues such as how the advance towards Europe has progressed over time; What were the challenges, what kind of approaches Georgia had and what are the perspectives of the road to Europe. For Georgia, membership in the European Union means the final establishment of democratic institutions based on the rule of law and the creation of new opportunities for the development and well-being of Georgian citizens within a safe, free and fair environment. After Georgia gained its independence, it became real to declare the choice of the Georgian people confirmed by the constitution, to establish a democratic public system and a legal state, economic freedom, to ensure the protection of universally recognized human rights and basic freedoms, and to strengthen state independence, which is unimaginable without Georgia's integration into Europe. As a result of the collapse of the Russian Empire, Georgia declared its independence on May 26, 1918. Chairman of the National Council Noe Zhordania delivered a speech for the Georgian nation, mentioning that the path of the Georgian nation is the path leading to Europe and that Georgia is returning to its historical homeland. During the entire three-year period of independent Georgia, attempts to enter our country into the League of Nations did not stop but, unfortunately, it failed due to some political reasons. Despite the fact that Georgia was recognized as an independent state by a number of countries (including Soviet Russia), it was still not possible to avoid the occupation. After the Soviet occupation, the road to Europe was blocked for a long time. Since the 90s of the last century, it has only become possible to return our country to the path of European development. Intensive relations with the European Union began, which significantly improved and strengthened civil institutions in Georgia. The country has achieved the Association Agreement and visa liberalization. European borders were actually opened for Georgian citizens, etc. All this indicates the aspiration of our country towards European values.

Keywords:

Europe, Noe Zhordania, Association Agreement, Visa Liberalization, Occupation, Russia, 12 recommendations, Polarization, Visa-free travel, UNESCO, Council of Europe.

შესავალი

გზა ევროპისკენ თავისუფლებაზე, ჰუმანურობაზე და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული თანაცხოვრების წესია. ეს კი ის თვისებებია, რომლებიც ქართულ საზოგადოებას და ქართველ ხალხს ისტორიულად ახასიათებდა. ევროპისკენ მიმავალი რთული გზა ყოველთვის იყო ქართველთა ისტორიული ორიენტირი, რადგან ჩვენი კულტურა თავისი არსით იყო ევროპული ფესვებიდან აღმოცენებული და მასზე გაზრდილი. გზა ევროპისკენ-ეს არის ქართველი ხალხის ღირებულებითი არჩევანი. ჯერ კიდევ 102 წლის წინ ნოე ჟორდანიამ დამფუძნებელ კრებაზე დაუვიწყარი და ისტორიული სიტყვები წარმოთქვა. „ბატონებო! გვაქვს საფუძველი სიამაყისა. მოხდა იშვიათი ამბავი. მთელმა ევროპამ, განურჩევლად პარტიისა და კლასისა, ერთხმად გვითხრა; კეთილი იყოს შენი დაბადება, კეთილი იყოს შენი მოზრდნება და ჩვენ გვმართებს ეს ერთსულოვანი კურთხევა გავამართლოთ საქმით, გავხდეთ ნამდვილი ევროპელები და ამას გავამართლებთ, თუ ჩვენ შემდეგშიც ვაწარმოებთ იმ პოლიტიკას, რომელსაც ვაწარმოებდით დღემდე ... ჩვენთვის არ არსებობს არჩევანი ჩრდილოეთსა და დასავლეთს შორის, ჩვენ მუდამ ვირჩევდით ევროპას“.¹ როდესაც საქართველოს პირველი რესპუბლიკა დაამხეს, დაიწყო საბჭოთა ოკუპაცია: 70- წლიანი საბჭოური და პრორუსული ეპოქა. თუმცა, ამ უმძიმესმა და ხანგრძლივმა პერიოდმა ბოლომდე მაინც ვერ ჩააქრო ქართველი ხალხის პროდასავლური ოცნებები და მისწრაფებები. ახალი შესაძლებლობები საქართველოს გზაზე ევროპისკენ 20-ე საუკუნის ბოლოდან დაიწყო. ქვეყანა თავისი ახალბედა დიპლომატიური კორპუსით აქტიურად ცდილობდა ხმა მიეწვდინა ევროპისთვის. ევროკავშირმა საქართველოს ფინანსური და ჰუმანიტარული დახმარება დაიწყო. შემდეგ კი იყო 2008 წლის აგვისტოს ომი. ამ მოვლენებმა უფრო ცხადად აჩვენა მთელ მსოფლიოს, თუ რამდენად სჭირდებოდა საქართველოს დასავლეთის მხარდაჭერა. დასავლეთი ამ კონფლიქტის მოგვარებაში ჩაერთო. თბილისში საქართველოს მხარდასაჭერად ევროკავშირის ქვეყნების ლიდერები ჩამოვიდნენ და სწორედ მათი უშუალო მონაწილეობით მოეწერა ხელი შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. სწორედ ამ მოვლენებმა დააჩქარა სწრაფვა ევროპისკენ.

ევროპული ორიენტაცია საქართველოში საბჭოთა კავშირის დანგრევამდე ცოცხლდება. ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ევროპულ ორიენტაციაში ეჭვი არასდროს ეპარებოდათ, მეოცე საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებიდან კი ეს განწყობა საჯარო ხდება. საბჭოთა კავშირის დაშლას შეიძლება მოსოფლიოსთვის დიდი პრობლემები მოეტანა, ერებს შორის დაწყებულიყო ომები ტერიტორიებისა და წიაღისეულისათვის, ამიტომ ევროამერიკულმა სამყარომ მოახერხა და ისე დაასუსტა საბჭოთა კავშირი, რომ ის, ფაქტობრივად, წინააღმდეგობის გარეშე გარდაიცვალა. მისი დაშლის შემდეგ საქართველო და საბჭოთა კავშირში შემავალი ბევრი რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაშიც მიიღეს. 2014 წელს ევროპარლამენტმა რეზოლუცია მიიღო, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს ევროკავშირის წევრობაზე შეუძლია წარადგინოს განაცხადი. 2014 წლის 27 ივნისს გაფორმდა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება. ამ დოკუმენტის მიზანი და ფუნქცია ნათლად მიუთითებს დასავლეთთან ასოცირების პრიორიტეტებზე, რომ საქართველო ევროპული ღირებულებების ქვეყანა უნდა გახდეს. დოკუმენტი მოიცავს როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ ნაწილს და სწორედ ამ შეთანხმებით მიეცა საქართველოს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ევროკავშირთან. 2016 წლის ბოლოს საქართველომ ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია მიიღო, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს მოქალაქეების შენგენის ზონაში მოკლევადიანი ვიზიტებისას უვიზო მოგზაურობას. ამავე დროს ევროკავშირმა საქართველოს „ევროპული პერსპექტივა“ მიანიჭა.² ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა ბლოკთან საბოლოო ინტეგრაციის გზაზეა. 2022 წლამდე საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას, რომლებსაც ტერიტორიული პრობლემები აქვთ რუსეთთან, ევროკავშირისკენ მისწრაფებების წინსვლის მცირე იმედი ჰქონდათ. თუმცა, რუსეთის შეჭრამ უკრაინაში შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკა შეცვალა. ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა, რომ ბლოკის კარი ღიაა და „ახლა საქართველომ უნდა გადადგას აუცილებელი ნაბიჯები წინსვლისთვის“. საინტერესოა, ევროკავშირის 12 რეკომენდაციის შესაბამისად, თუ რა ვალდებულებებს იღებს საქართველო, რომელთა შესრულებაც ერთ-ერთი გარანტი გახდება ევროპაში ჩვენი დამკვიდრებისა:

1. აღმოფხვრის პოლიტიკურ პოლარიზაციას. ამ საკითხებზე უნდა იმუშაოს ყველა პარტიამ, „19 აპრილის შეთანხმების სულისკვეთების დაცვით.“
2. ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი გამართულად იმუშავეს. გაიზრდება მათი დამოუკიდებლობა, ანგარიშვალდებულება და დემოკრატიული ზედამხედველობა მათზე. ხელისუფლება გაითვალისწინებს ეუთო-ოდირის, ევროპის საბჭოსა და ვენეციის კომისიის დასკვნებს საარჩევნო სისტემაზე.
3. მიიღებს გამჭვირვალე და ეფექტიანი სასამართლო რეფორმის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას. დაიწყებს მის განხორციელებას. „უზრუნველყოფს სასამართლო სისტემის მთლიან და ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას, ანგარიშვალდებულებასა და მიუკერძოებლობას“. ამ პროცესში სხვა პოლიტიკური პარტიებიც უნდა ჩაერთონ. სასამართლო ინსტიტუტებმა და პროკურატურამ დამოუკიდებლად და გამჭვირვალედ უნდა იმუშაონ. მოსამართლეები და

¹ <https://euronewsgeorgia.com/> სოფო მაქაცარია, 2021 წლის 28 ივნისი.

² <https://kvirispalitra.ge/> ეკა სალაღია, 2022 წლის 30 მაისი.

- იუსტიციის უზენაესი საბჭოს წევრები ასევე გამჭვირვალედ უნდა ინიშნებოდნენ.
4. გააძლიერებს ანტიკორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობას და ეფექტიანად გამოიძიებს ელიტური კორუფციის შემთხვევებს. გააძლიერებს სპეციალურ საგამოძიებო და პირადი მონაცემების დაცვის სამსახურებს. უზრუნველყოფს მათ ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას.
 5. აიღებს და შეასრულებს “დეოლიგარქიზაციის” ვალდებულებას. აღმოფხვრის იმ გადაჭარბებულ ზეგავლენას, რომელიც პირად ინტერესებს აქვთ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაზე.
 6. გააძლიერებს ბრძოლას ორგანიზებულ დანაშაულთან და ეფექტიანად გამოიძიებს სამართალდარღვევებს. სამართალდამცავი ორგანოები იქნებიან ანგარიშვალდებულები და გამჭვირვალე.
 7. შექმნის თავისუფალ, პროფესიულ, პლურალისტურ და დამოუკიდებელ მედიაგარემოს. “სამართალწარმოება მედიასაშუალებების მფლობელების წინააღმდეგ უპასუხებს უმაღლეს სამართლებრივ სტანდარტებს”. ხელისუფლება ეფექტიანად და დროულად გამოიძიებს ჟურნალისტებზე ძალადობის საქმეებს.
 8. სასწრაფოდ დაიცავს მოწყვლადი ჯგუფების უფლებებს. ეფექტიანად გაასამართლებს მათზე მოძალადეებს და ამ ძალადობის დამკვეთებს.
 9. “გააერთიანებს ძალისხმევას” გენდერული თანასწორობისთვის და ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან საბრძოლველად.
 10. ჩართავს სამოქალაქო საზოგადოებას გადაწყვეტილებების მიღებაში “ყველა დონეზე.”
 11. მიიღებს კანონს, რომელიც უზიძგებს ქართველ მოსამართლეებს, “პროაქტიურად გაითვალისწინონ საკუთარ მსჯელობებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებები.”
 12. ახალ სახალხო დამცველად დაინიშნება დამოუკიდებელი ადამიანი. დანიშვნა იქნება გამჭვირვალე, მისი სამსახური - ზეგავლენებისგან თავისუფალი.³

2019 წლის 27 ნოემბრიდან 2020 წლის 15 მაისის ჩათვლით საქართველო ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ქვეყანა გახდა. ეს არის ის, რაც ევროპასთან ინტეგრაციის, ევროპულ ოჯახში სრულფასოვანი და ღირსეული ადგილის დამკვირდების პროცესის კანონზომიერი და მკაფიო გამოვლინებაა. დღეს ჩვენი ცივილიზაციის ორი უმთავრესი საყრდენის-თავისუფლების და ტოლერანტობის ცენტრია ევროპა. ჩვენ ამ ღირებულებითი ერთობის გამო ვართ ისტორიულად ევროპის ნაწილი და ამ დიდი ოჯახის წევრი, ევროპა საქართველოს სახლია. დღეს ჩვენ, უკვე ევროკავშირთან ასოცირებული, ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა ვართ, მაგრამ თითოეულმა ქართველმა, პირველ რიგში, ევროპა საკუთარ თავში, ყოველდღიურ ყოფაში უნდა დავამკვიდროთ და ამ შემთხვევაში ევროკავშირის ოფიციალურ წევრად ქცევა უკვე მხოლოდ ფორმალურობა იქნება. ევროპაში უნდა შევიდეთ როგორც სახელმწიფო, როგორც ქვეყანა, ასევე აუცილებლად უნდა შევიდეთ ინდივიდუალურადაც, როგორც თითოეული ცალკე ადამიანი, რომელიც ყველაზე დიდი ფასეულობაა ამ კულტურულ სივრცეში. საქართველოს ეროვნული მომავალი გარდაუვალია ახალგაზრდა თაობასთან ერთად, რომელიც თავისუფალი და ამაყი თაობაა; არასოდეს მოითმენს ვინმეს მხრიდან ჩაგვრას, არასოდეს აიტანს ვინმეს მხრიდან დამცირებას, ეს არის გონიერი თაობა, რომელიც ვინმეს მხრიდან პროპაგანდირებულ სივრცეს არასოდეს დაიჯერებს. ეს ის თაობაა, რომელიც არავის აპატიებს ძალადობას, არავის აპატიებს სიყალბეს და არცერთ პოლიტიკურ ძალას არ მისცემს გასაქანს ვისი არსებობაც ამ მეთოდებზეა დამყარებული. ევროპელობა არის კეთილსინდისიერება საკუთარ თავთან, თანამოქალაქეებთან. ეს არის საქმისადმი თავდადება, სამშობლოს სიყვარული და მოფრთხილება. მჯერა რომ, მომავალი თაობა, დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში დაბადებული ადამიანები, უფროსი თაობის მიერ ევროპისკენ რთულად, წვალებით გაკვალულ გზაზე წარმატებით გავივლით, საქართველოს ევროპულ ოჯახში თავის ადგილს სამუდამოდ დავუმკვიდრებთ.

გზა ევროპისკენ ყოველთვის იყო ქართველთა საუკუნოვანი ოცნება, რადგან ჩვენი კულტურა თავისი არსით იყო ევროპული ფესვებიდან აღმოცენებული და მასზე გაზრდილი. ჩვენი ხალხის ნება ურყევი და მტკიცეა, ჩვენი ხალხი ვერასოდეს დაუპირისპირდება თავის ევროპულ იდენტობას. გზა ევროპისკენ არის მისი ღირებულებითი არჩევანი. საქართველო, როგორც ევროპული ცივილიზაციის ნაწილი, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების თვალსაზრისითაც ევროპულ გზას ადგას. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მუშაობის შედეგად, „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ UNESCO-ს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაშია. UNESCO-მ აგრეთვე ქართულ ჭიდაობასაც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა. 2019 წელს საქართველო ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების „პრეისტორიული კლდის ხელოვნების“ მარშრუტის სრულფასოვანი წევრი გახდა. საქართველო პრეისტორიული ხელოვნების ევროპული მარშრუტის მე-8 სრულფასოვანი წევრია. ბოლო პერიოდში კი საქართველო უპრეცედენტო პროცესების მოწმე გახდა: ევროკავშირი, როგორც მედიატორი, აქტიურად ჩაერთო საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. 2024 წელს ქვეყანა აპირებს ევრობლოკის წევრობაზე გააკეთოს განაცხადი.

³ <https://netgazeti.ge/> ნინო ჩიჩუა, 2019 წლის 27 ნოემბერი.

დასკვნა

1999 წლის 27 აპრილს საქართველო ევროპის საბჭოს 41-ე წევრი ქვეყანა გახდა. მას შემდეგ თანამშრომლობის მთავარი მიზანია ქვეყნის მხარდაჭერა ორგანიზაციაში გაწევრიანებისას აღებული და სხვა კონკრეტული ვალდებულებების შესრულებაში, რაც ემსახურება ქვეყანაში დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცებას. ევროპული პერსპექტივის ჭრილში, შესაძლებელია განხილული იქნას არაერთი საკითხი საქართველოს მომავლის საკეთილდღეოდ. თუმცა განათლება ის ახალი პერსპექტივაა, რაც შესაძლებელია ევროპამ მისცეს ისეთ პატარა ქვეყანას, როგორც საქართველოა. სწორედ რომ განათლება ერთ-ერთი უმთავრესი ქვაკუთხედი იმ ღირებულებებისა, რასაც ევროპა ქადაგებს არა ერთი საუკუნეა. საქართველოში განათლების სტანდარტი თანხვედრაში უნდა მოვიდეს ევროკავშირის უმაღლესი განათლების მოდელთან. ასევე მიზანშეწონილია განიცადოს მოდერნიზაცია, ტრანსფორმაცია. შესაბამისად გაიზრდება ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა სტუდენტებისთვის, ევროპული სასტიპენდიო და გაცვლითი პროგრამებში მონაწილეობის გზით, რაც ასევე ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრირებას საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა გზა ევროპისკენ- ეს არის ქართველი ხალხის ღირებულებითი არჩევანი.

გამოყენებული ლიტერატურა

<https://euronewsgeorgia.com/> სოფო მაქაცარია, 2021 წლის 28 ივნისი.
<https://kvirispalitra.ge/> ეკა სალაღია, 2022 წლის 30 მაისი.
<https://netgazeti.ge/> ნინო ჩიჩუა, 2019 წლის 27 ნოემბერი.

ევროკავშირის ჩამოყალიბება და განვითარება

მასტერ-სერჟანტი ჰამლეტ შერმადინი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ევროპისკენ სწრაფვა მისი გამოწვევებით, მიდგომებით და ახალი პერსპექტივებით. განხილულია ქვეყნის განვითარების გზა, რაც მოგვცემს საშუალებას ვუპასუხოთ თანამედროვე გამოწვევებს და ქვეყანაში სტაბილური და უკეთესი გარემოს შეიქმნას. საქართველოსთვის ევროკავშირში წევრობა ნიშნავს სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებული დემოკრატიული ინსტიტუტების საბოლოოდ ჩამოყალიბებას, უსაფრთხო, თავისუფალი, სამართლიანი გარემოს ფარგლებში საქართველოს მოქალაქეების განვითარებისა და კეთილდღეობისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნას. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, რეალური ხდება კონსტიტუციით განმტკიცებული ქართველი ხალხის არჩევანის დეკლარირება. საჭიროა, რომ დამკვიდრებულ იქნას დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება და სამართლებრივი სახელმწიფო, ეკონომიკური თავისუფლება, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებათა დაცვა, მტკიცე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომელიც იმთავითვე, საქართველოსთვის ევროპული ინტეგრაციის გარეშე ძალზე რთულია და შეიძლება ითქვას, რომ ამ დიდი ორგანიზაციის გარეშე წარმოდგენილიც კი. ნაშრომში აღნიშნულია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ალიანსისკენ სწრაფვა და ალიანსში გაწევრიანება. აგრეთვე ყურადღება გამახვილებულია, თუ რამდენად აუცილებელია ევროკავშირში შესვლა საქართველოსთვის; ასევე, ხაზსასმულია ევროკომისიის მიერ შემუშავებული სამეზობლო პოლიტიკა და იმ სტანდარტების ფორმები, რომლებიც აუცილებელია გაწევრიანებისთვის. ნაშრომში ასევე გამოკვეთილია, 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობის მოიპოვება და მისი დემოკრატიისკენ სვლა. ასევე აღნიშნულია, რომ ევროკავშირის წევრი შეიძლება გახდეს ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც აღიარებს პლურალისტურ დემოკრატიას, კანონის უზენაესობას, იცავს საკუთარი მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებებს, გააჩნია გამართული და კონკურენტუნარიანი საბაზრო ეკონომიკა, იზიარებს ევროკავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზნებს.

ნაშრომში აღნიშნულია რუსული აგრესიული პოლიტიკა უკრაინაში, რომელიც დაიწყო 2022 წლის 24 თებერვალს.

საკვანძო სიტყვები:

გამოწვევები და შესაძლებლობები, ევროპული გზა, ალიანსის წევრობა, დამოუკიდებლობა, ევროპული ღირებულებები.

Formation and Development of the European Union

Master Sergeant Hamlet Shermadini

Abstract

The article discusses the aspiration of Georgia towards Europe along with its challenges, approaches and new perspectives. It also deals with the development path of Georgia that will allow us to respond to modern challenges and create a stable and better environment in the country. For Georgia, membership in the European Union means the final establishment of democratic institutions based on the rule of law and creating new opportunities for the development and well-being of Georgian citizens within a safe, free and fair environment. After gaining the independence, it becomes real for Georgia to declare the choice of the Georgian people confirmed by the constitution. It is necessary to establish a democratic public system and legal state, economic freedom, to protect universally recognized human rights and stable state independence that is very difficult for Georgia to achieve without European integration. It can be said that this is even unimaginable without this great organization. The paper mentions how important it is to strive for and join an international alliance. In addition, attention is focused on how necessary it is for Georgia to join the European Union; Also, the paper emphasizes the neighborhood policy developed by the European Commission and the forms of standards necessary for membership. It also highlights Georgia's independence after the collapse of the Soviet Union in 1991 as well as its move towards democracy. The article also talks about the fact that any European state that recognizes pluralistic democracy, the rule of law, protects the constitutional rights of its citizens, has a stable and competitive market economy, and shares the political and economic goals of the European Union can become a member of the European Union.

The paper also focuses on the Russian aggressive policy in Ukraine, which began on February 24, 2022.

Keywords:

Challenges and opportunities, European way, alliance membership, independence, European values

შესავალი

საუკუნეების განმავლობაში, ევროპის კონტინენტმა მრავალი სისხლისმღვრელი ომი იხილა, მეორე მსოფლიო ომმა კი ევროპას არა მხოლოდ მილიონობით დაღუპული მოქალაქე, არამედ განადგურებული ეკონომიკა და მყიფე უსაფრთხოება მოუტანა. ნათელი იყო, რომ ქვეყნებს შორის მშვიდობის უზრუნველყოფა მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის მეშვეობით იქნებოდა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ დროიდან იწყებენ ევროპის ლიდერები სერიოზულად ფიქრს და მსჯელობას, თუ რა სახით შეიძლება ევროპის ქვეყნების გაერთიანება და ერთ-ერთი პირველი იყო დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი, რომელმაც ჯერ კიდე 1946 წელს ევროპის შეერთებული შტატების შექმნის აუცილებლობაზე საკითხი წამოაყენა, მაგრამ იმ დროისათვის უყურადღებოთ დატოვეს. ამის შემდეგ, უკვე 1951 წელს იქმნება ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება, რომელშიც შევიდა 6 (ბელგია, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, საფრანგეთი)¹ ქვეყანა. გაერთიანება ახალი წევრი სახელმწიფოების მიღების შედეგად ტერიტორიულად გაიზარდა. სხვადასხვა პოლიტიკური დებატების შედეგად გადაწყდა, რომ შეიქმნებოდა ე.წ. „უმაღლესი ხელისუფლება“, რომელიც განაგებდა ამ ქვეყნებში ნახშირისა და ფოლადის წარმოებას და მოახდენდა მის რეალიზაციას. ეს ორგანიზაცია სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელით და ფორმით გვევლინებოდა, ხოლო 1992 წლიდან მასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე „ევროკავშირი“ ეწოდა. ევროკავშირი, დღესდღეობით, 27 დემოკრატიული სახელმწიფოს უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას, თავისი 508 მილიონზე მეტი მოქალაქისთვის. ევროკავშირი მოქმედებს გადაწყვეტილების მიღების სუპერეროვნული და მთავრობათაშორისი სისტემების ჰიბრიდის პრინციპით. შექმნილია გადაწყვეტილების მიმღები 7 ძირითადი ორგანო, რომელთაც ევროკავშირის ინსტიტუტებს უწოდებენ. ესენია: ევროპული საბჭო, ევროპის კავშირის საბჭო, ევროპარლამენტი, ევროკომისია, ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლო, ევროპის ცენტრალური ბანკი და ევროპის აუდიტორთა სასამართლო. ევროკავშირის გამოკვეთილი დედაქალაქი არ გააჩნია, მას ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ქალაქებში (ბრიუსელი, სტრასბურგი, ლუქსემბურგი, ჰააგა, მაინის ფრანკფურტი.) აქვს ორგანიზაციული სტრუქტურები. ასევე ევროკავშირის ქვეყნებისთვის 1999 წელს გადაწყდა ერთიანი ვალუტის შემოღება, რომელიც ძალაში შევიდა 2002 წელს და ამჟამად ევროზონას 19 სახელმწიფო აერთიანებს, რომელშიც „ევრო“ მოქმედებს.

ძირითადი ნაწილი

1951 წლიდან დღემდე ეს ორგანიზაცია ფართოვდებოდა და უფრო მეტი და მეტი ქვეყანა უერთდებოდა. ევროკავშირი, რომელშიც მსოფლიო მოსახლეობის 7,3% ცხოვრობს, გაეროს განვითარების პროგრამის თანახმად, ევროკავშირის 27 ქვეყნიდან 26-ქვეყნის ადამიანის განვითარების ინდექსი არის ძალიან მაღალი. 2012 წელს, ევროკავშირის გადაეცა „ნობელის პრემია“ მშვიდობის დარგში. ერთიანი საგარეო და უშიშროების პოლიტიკის შედეგად, ევროკავშირის განვითარებული აქვს საგარეო ურთიერთობები და თავდაცვა. ევროკავშირის მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჰყავს მუდმივი დიპლომატიური მისიები და წარმოდგენილია გაეროში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, დიდ რვიანსა და დიდ ოცეულში. ამ დიდი გლობალური გავლენის გამო, ევროკავშირის ხშირად უწოდებენ „ზესახელმწიფოს“ ან პოტენციურ ზესახელმწიფოს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავიდან 6-მა ქვეყანამ შექმნა ეს ორგანიზაცია და მას შემდეგ გაფართოების 7 ტალღა გაიარა. ეს პროცესი მეტად საინტერესო იყო, რადგან ცივი ომისა და საბჭოთა კავშირის დაშლის ფონზე მიმდინარეობდა. ევროკავშირის ძირითადი დოკუმენტი დღეისათვის არის 2003 წლის „მიერთების შეთანხმება“ (Treaty of accession), რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის 1 მაისს. ზემოაღნიშნული შეთანხმებებით განსაზღვრული ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის ვალდებულებები ჩამოყალიბდა ერთიან დოკუმენტში, ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტში.

ევროკავშირის წევრი შეიძლება გახდეს ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც აღიარებს პლურალისტურ დემოკრატიას, კანონის უზენაესობას, იცავს საკუთარი მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებებს, გააჩნია გამართული და კონკურენტუნარიანი საბაზრო ეკონომიკა, იზიარებს ევროკავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზნებს. აქედან გამომდინარე 2003 წელს ევროკავშირმა წარმოადგინა დოკუმენტი „გაფართოებული ევროპა-მეზობლობა: ახალი ჩარჩო აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე ჩვენს მეზობლებთან ურთიერთობისთვის“. ხოლო 2004 წელს ევროკავშირის საბჭომ მოიწონა ევროკომისიის მიერ შემუშავებული სამეზობლო პოლიტიკა და დაიწყო იმ ქვეყნებთან მუშაობა და იმ სტანდარტების ფორმაში მოყვანა, რომელიც აუცილებელია გაწევრიანებისთვის. ამ ფორმატში ჩართულია სხვადასხვა სახელმწიფოები, რომლებიც სიღრმისეულად და ფართოდ თანამშრომლობენ და ითვალისწინებენ მათ რეკომენდაციებს. არიან ისეთებიც, რომლებიც ზედაპირულად განიხილავენ მათ მიერ დასახულ ამოცანებს და საკითხებს. ამ მიზნით ორგანიზაცია ითვალისწინებს მთელ რიგ პრიორიტეტულ მიმართულებებს:

¹ <https://knews.ge/> ნატალია ცისკარიშვილი 2023 წ;

1. დემოკრატია, კარგი მმართველობა, კანონის უზენაესობა და სამართლის დამოუკიდებლობა;
2. ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;
3. ევროკავშირის საერთო ბაზარში ინტეგრაცია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნის მიზნით;
4. ეკონომიკური მოდერნიზაცია და სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა;
5. დასაქმების ხელშეწყობა შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და პროფესიული ცოდნის ამაღლების მიზნით;
6. ტრანსპორტი და კავშირუბრუნების განვითარება;
7. ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და კლიმატის საკითხებზე თანამშრომლობა;
8. უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაძლიერება;
9. მიგრაცია და მობილურობა, რაც გულისხმობს პარტნიორ ქვეყნებთან გაძლიერებულ თანამშრომლობას, როგორც არალეგალური და იძულებითი მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის, ასევე ლეგალური გადაადგილების ხელშეწყობის მიზნით.

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და დემოკრატიის გარდამავალ გზას დაადგა. საწყის ეტაპზე ქვეყანას შეექმნა შიდა კონფლიქტები, ეკონომიკური გაჭირვება და პოლიტიკური არასტაბილურობა. თუმცა, ამ სირთულეების ფონზე საქართველომ ევროპასთან კავშირების მოძებნა და მისი გაღრმავება დაიწყო. ევროპასთან და მის სტრუქტურებთან დაახლოების დასაწყისშივე არსებობდა ზოგადი ენთუზიაზმი და ოპტიმიზმი მასთან მჭიდრო კავშირების მიმართ.² აქედან გამომდინარე, საქართველო თავისი კულტურით, ცხოვრების წესით, ჰუმანურობით და დემოკრატიის უზენაესობით ყოველთვის იდგა ამ პრინციპების სადარაჯოზე და იღვწოდა ერთიან დიდ ოჯახში გაწევრიანებისთვის, რასაც ევროპული დემოკრატია და კონკრეტულად ევროკავშირი ჰქვია. ჯერ კიდევ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას ასეთ სიტყვებს ამბობდა: „ჩვენთვის არ არსებობს არჩევანი ჩრდილოეთსა და დასავლეთს შორის, ჩვენ მუდამ ვირჩევდით ევროპას.“ ამჟამად ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა (80%) რეფერენდუმის მიხედვით ევროპას და მასთან ინტეგრაციას განიხილავს, როგორც ქვეყნის მომავალს. აქედან გამომდინარე საქართველოს მოქალაქეები ევროკავშირს ხედავენ, როგორც სტაბილურობის, კეთილდღეობისა და დემოკრატიის ღირებულებების საფუძველს, რომელიც ქვეყანას მოუტანს ეკონომიკურ შესაძლებლობებს, უფრო ძლიერ ინსტიტუტებს და უკეთეს მმართველობას. ევროინტეგრაციის სურვილს აძლიერებენ დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის საერთო ღირებულებები, რომლებიც არსებითად განიხილება საქართველოს წინსვლისთვის. საქართველოს და ევროპის პირველ ოფიციალურ ურთიერთობად შეიძლება მიჩნეულ იქნას 2004 წელი, რომელიც მიზნად ისახავდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკას (ENP), ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში საქართველომ უზრუნველყო, რომ მისი პოლიტიკა და კანონმდებლობა შესაბამისობაში ყოფილიყო ევროპულ სტანდარტებთან, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობასთან. ეს იყო საქართველოს მისწრაფებების კატალიზატორი ევროპულ ოჯახში ინტეგრაციისკენ³. გარდა ამისა, აღმოსავლეთ პარტნიორობა (EAP), რომელიც დაიწყო 2009 წელს, მნიშვნელოვანი ეტაპი იყო საქართველოს ევროპასთან ურთიერთობაში. ის მიზნად ისახავდა ევროპის აღმოსავლეთით მდებარე 6 ქვეყნის, მათ შორის საქართველოს და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კუთხით. ამის მეშვეობით საქართველომ მიიღო მოწვევა ევროკავშირთან უფრო მჭიდრო კავშირების დასამყარებლად, რამაც საფუძველი ჩაუყარა ეტაპობრივი ინტეგრაციის პროცესს. 2014 წელს კი დაიწყო აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა, სადაც ევროპარლამენტმა რეზოლუცია მიიღო, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს ევროკავშირის წევრობაზე შეუძლია წარადგინოს განაცხადი. ამავე წლის 27 ივნისს გაფორმდა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება. დოკუმენტი მოიცავს როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ ნაწილს და სწორედ ამ შეთანხმებით მიეცა საქართველოს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ევროკავშირთან. 2016 წლის ბოლოს კი საქართველომ მიიღო ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია, რომელიც შენგენის ზონაში მოკლევადიან უვიზო რეჟიმში მოგზაურობას გულისხმობს.

რუსული აგრესიული პოლიტიკის გამო, რომელიც უკრაინაში შეჭრაში გამოიხატა 2022 წლის 24 თებერვალს, უკრაინამ რამოდენიმე დღეში, კერძოდ 28 თებერვალს ევროკავშირში განაცხადი წარადგინა. ამ გადაწყვეტილების შემდეგ, იმავე წელს, საქართველოს და მოლდოვასაც მიეცა საშუალება დაჩქარებული წესით მიემართა ორგანიზაციისათვის და 3 მარტს საქართველომ და მოლდოვამაც ანალოგიური განაცხადით ევროკავშირს მიმართეს. ამ განაცხადით და გეოპოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოს ევროპული პერსპექტივა მიენიჭა, რაც გულისხმობს, რომ მას აქვს შესაძლებლობა ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი გახდეს. ამ დროს უკვე, საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე ახალი ეტაპი დაიწყო. 2024 წელს ქვეყანა აპირებს ევრობლოკის წევრობაზე გააკეთოს განაცხადი⁴. ბოლო თვეების განმავლობაში კი საქართველო უკვე უპრეცედენტო პროცესების ეპიცენტრშია, რადგან ევროკავშირი უკვე ღიად ჩაერთო და ეხმარება ქვეყანას მედიატორის ფორმატში, როგორც პოლიტიკურად

2 <https://www.eeas.europa.eu> 2021 წლის 29 ივლისი

3 <https://tabula.ge> 2016 წლის 8 დეკემბერი

4 <https://civil.ge> დავით ზალკალიანი 2019 წლის 11 ნოემბერი

ისე ეკონომიკურად, რადგან თავის დროზე და სრულფასოვნად შესრულდეს ის 12 რეკომენდაცია, რომელიც დაგვისახეს და რომლის შესრულების შედეგადაც იმედია ავტომატურად გავხდებით ამ დიდი ორგანიზაციის წევრი, ეს ყოველივე კი სადად და ნორმალურად მოაზროვნე ყველა ქართველის სურვილი და საწინდარია, როგორც ქვეყნის ისე თითოეული მოქალაქის უკეთესი მომავლისთვის.

დასკვნა

1999 წლის 27 აპრილს საქართველო ევროპის საბჭოს 41-ე წევრი ქვეყანა გახდა. მას შემდეგ, თანამშრომლობის მთავარი მიზანია ქვეყნის მხარდაჭერა ორგანიზაციაში გაწევრიანებისას აღებული და სხვა კონკრეტული ვალდებულებების შესრულებაში, რაც ემსახურება ქვეყანაში დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცებას. ევროპული პერსპექტივის ჭრილში, შესაძლებელია განხილული იქნას არაერთი საკითხი საქართველოს მომავლის საკეთილდღეოდ. დიდი და ძლიერ გაერთიანებას წარმოადგენს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, რომელიც წლების განმავლობაში იცავს ევროპის და არა მხოლოდ ევროპის უსაფრთხოებას. ის ასევე მტკიცედ დგას მსოფლიო მშვიდობის სადარაჯოზე. ალიანსისკენ სწრაფვა და ალიანსში გაწევრიანება მნიშვნელოვანია ასევე საქართველოსთვის, რათა ქვეყანამ შეძლოს და შეინარჩუნოს ტერიტორიული მთლიანობა და ერთიანობა. საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ალიანსს და მის პარტნიორ ქვეყნებს. ეს პროცესი გრძელდება დღემდე, ამავდროულად უნდა ითქვას რომ საქართველოს თავდაცვის ძალებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს როგორც ტერორიზმთან ბრძოლაში, ასევე საერთო უსაფრთხოების საკითხში. ქართველმა სამხედროებმა თავისი მაღალი პროფესიონალიზმით და მოტივაციით საერთაშორისო მისიებსა თუ სწავლებებში ბევრჯერ დაანახეს ალიანსს თავისი შესაძლებლობები, რამაც კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ქართული თავდაცვის ძალები თავსებადია ნატოსთან.

გამოყენებული ლიტერატურა

<https://knews.ge/> ნატალია ცისკარიშვილი 2023 წ;
<https://www.eeas.europa.eu> 2021 წლის 29 ივლისი
<https://tabula.ge> 2016 წლის 8 დეკემბერი
<https://euronewsgeorgia.com> სოფო მაქაცარია 2021 წლის 28 ივნისი,
<https://civil.ge> დავით ზალკალიანი 2019 წლის 11 ნოემბერი



**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
LEPL - DAVID AGHMASHENBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA**

ვებ-გვერდი: www.eta.edu.ge

ტელეფონი: +995 32 2 30 52 85

ტელეფონი: +995 5 77 19 92 05

ელ. ფოსტა: nda@mod.gov.ge

თირაჟი: 30

ISBN-978-9941-8-5745-4